ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

ორშაბათი, 9 აპრილი, 2012 | №84 (5774) | ფასი: 30 თეთრი

„ახალი თაობა"+ აინშტაინი
8 ლარი
28 მარტიდან




# „თარგამაძე, ბენდუქიძე და უგულავა შეიძლება ივანიშვილთან გადაბარგდნენ"



რატომ დუმან გავლენიანი ნაციონალები





გვ.2



## ილია II: დიდება და დაცემა ძალიან ახლოს არის ერთმანეთთან

გვ.2




## ლაშა თორდიას „დემოკრატიული მოძრაობა" სტრასბურში უჩივლებს

გვ.3



## ცხინვალში არჩევნები მშვიდად ჩატარდა

გვ.3



გვ.4

## რატომ იყრის თავს უცხოელი დიპლომატების ჯარი „ქართულ ოცნებაში"

## ზაზა ფირალიშვილი: სააკაშვილი პოლიტიკიდან შეიძლება სამუდამოდ წავიდეს



გვ.5



გვ.7

## სად დაუშვა საბედისწერო შეცდომა სააკაშვილმა?

## რატომ არის სომხეთში საწვავი უფრო იაფი



გვ.7

## ხანძარს 2 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა

რუსთაველის 23-ში სამსართულიან საცხოვრებელ სახლში ხანძრის შედეგად ცოლ-ქმარი დაიღუპა, მათი 11 წლის შვილის გადარჩენა კი მაშველებმა მოახერხეს. ხანძარი გამთენისას გაჩნდა და 2 000კვ. მ-დე ფართობი გაანადგურა. ამ ეტაპზე ხანძრის გამომწვევი მიზეზები უცნობია, თუმცა, წინასწარი ვერსიით, ცეცხლი ელექტროგაყვანილობას გაუჩნდა.

ნიუსპრესი

ISSN 1987-9385

**2** დღეიდან ვნების შვიდეული იწყება

**4** ტყეების მართვის სფეროში არაკომპეტენტურობა და ქაოსია

**2** საქართველოს პრეზიდენტი სააღდგომოდ პატიმრებს შეიწყალებს

**9** „ყველა ვარსკვლავის მატჩის" გამოკითხვა დაიწყო

# „თარგამაძე, ბენდუქიძე და უგულავა შეიძლება ივანიშვილთან გადაბარგდნენ“

## რატომ დუმან გავლენიანი ნაციონალები

შორენა კოწოწაშვილი

### ინტერვიუ ლეიბორისტული პარტიის გენერალურ მდივან სოსო შატბერაშვილთან

*— ბატონო სოსო, აქამდე ბიძინა ივანიშვილი უშეცდომო პოლიტიკოსად ფასდებოდა ექსპერტების მხრიდან. თქვენი აზრით, რა შეცდომა დაუშვა „ქართული ოცნების“ ლიდერმა და თქვენ რას თვლით მის ყველაზე მნიშვნელოვან შეცდომად?*

— თქვენს შეკითხვაზე პასუხს შეკითხვით დავიწყებ: ვინ აფასებდა ივანიშვილს უშეცდომოდ? მე ასეთი შეფასებები არ გამიგია ივანიშვილის გარემოცვის – ზოგიერთი რეჟისორის, მსახიობისა და სპორტსმენის შეფასების გარდა. ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც ივანიშვილისგან მსუყედ ფინანსდებოდნენ. კი, ძალიან ბევრს იმედი გაუჩნდა, როდესაც გაიგეს, რომ მას აქვს 6,5 მლრდ, იქნებ ჩვენც რაღაც შეგვხვდესო და ბევრი ტაშს უკრავდა და უკრავს დღესაც, მაგრამ უშეცდომო რომ არის ივანიშვილი, მე ასეთი განცხადება არ გამიგია. ბიძინა ივანიშვილმა პირველივე ნაბიჯის გადადგმის დროს დაუშვა უდიდესი შეცდომა, როდესაც ლეიბორისტულ პარტიას უწოდა ხელისუფლებასთან შეკრული და ხელისუფლებისგან დაფინანსებული. ძალიან საკითხავია, კაცი, რომელიც წლების განმავლობაში აფინანსებდა „ვარდების რევოლუციას“, სააკაშვილის მთავრობას, მის მინისტრებს ხელფასს უხდიდა, აფინანსებდა სააკაშვილის სპეცრაზმს, შს სამინისტროს, აფინანსებდა სააკაშვილის მეუღლეს; აფინანსებდა აგრეთვე ნაციონალების ცნობილ ოჯახებს და მათ შორის გიგა ბოკერიას ოჯახს, ნინო ანანიაშვილის ოჯახს, რომლის მეუღლეც საგარეო საქმეთა მინისტრია; აფინანსებდა დილარ ხაბულიანსა და შტანგისტ ასანიძეს და ა.შ. როდესაც ამ ბანდის დამფინანსებელი ადამიანი და მისი ერთ-ერთი წევრი, რომელიც აცხადებს, ვხსნიდი სკოლებს, ვარემონტებდი სკოლებს, სკვერებს და ვეუბნებოდი, თქვენ დაიბრალეთ, ვითომ თქვენ გახსენითო. ეს ადამიანი რომ ლეიბორისტულ პარტიაზე იტყვის, ხელისუფლებისგან ფინანსდებაო, აი, ეს არის მისი უდიდესი შეცდომა. ეს ერთი. მეორე დიდი შეცდომაა, რომ მან ჟურნალისტებზე განაცხადა, მე ყველას ვიყიდი, ვინც დამჭირდებაო; და მესამე – საზოგადოებაზე განაცხადა, მე ვარ საქართველოში ერთადერთი თავისუფალი ადამიანიო. როგორც ჩანს, მას თავისუფლებად მიაჩნია მხოლოდდამხოლოდ მილიარდები. ასე ნამდვილად არ არის. შეიძლება, ღარიბი იყო და თავისუფალი. მეტიც, შეიძლება ციხეში იჯდე და სულიერად იყო თავისუფალი. ეს არის მისი უდიდესი შეცდომა, რომ პოლიტიკაში შემოსვლისთანავე დაიწყო პოლიტიკოსების, ჟურნალისტებისა და საზოგადოების დაყოფა და მათ შორის ზღვარის გავლება, შემდეგ კი განაცხადა, ეს შუა ზღვარი უნდა გაიკრიფოსო. შემდეგ ისიც გავიგეთ მისი გუნდისგან, ვისაც ფული არ აქვს, მისი ადგილი პოლიტიკაში არ არისო.

*— პოლიტიკური ძალების შერჩევაში დაუშვა შეცდომა?*

— შერჩევაში კი არა, განცხადებებში დაუშვა შეცდომა. რა თქმა უნდა, მას დავალებული აქვს, გვერდით დაიყენოს პირწავარდნილი პროამერიკული ძალები და რაც დაავალეს, გააკეთა კიდეც.

*— „სახალხო კრებისთვის“ მიუღებელი პოზიცია გამოხატა ივანიშვილმა იმ ტენდენციის გამოკვეთით, რომ ის მზად არის, ითანამშრომლოს კრებასთან, მინუს ნინო ბურჯანაძე. ბურჯანაძეს თუ პუტინთან შეხვედრის გამო იწუნებს ივანიშვილი, კობა დავითაშვილმა და ზვიად ძიძიგურმაც ხომ ჩაატარეს რუსული ვოიაჟი?*



— მეტსაც გეტყვით, კობა დავითაშვილსა და ზვიად ძიძიგურს ბავშვობის ოცნება აუსრულა და ერთ დღეში გახადა მილიონერები. ივანიშვილს რასაც დაავალებენ, იმას გააკეთებს. დაავალეს და შეასრულა. დაავალეს, ლეიბორისტულ პარტიას დაპირისპირებოდა და შეასრულა. მიუხედავად ამისა, ჩვენ შემხვედრი ნაბიჯი მაინც გადავდგით და 25 დეკემბერს განვაცხადეთ, რომ მივდიოდით შერიგებაზე; უკან მიგვქონდა და თავს ვიკავებდით ყველა იმ ფაქტის დასახელებისგან, რაც ჩვენ მასზე მოვიპოვეთ, თუ ივანიშვილი საახალწლოდ გაჭირვებულ ადამიანებს 300-300 ლარს დაურიგებდა. მაგრამ მან ისევ ე.წ. ელიტის დაფინანსება არჩია; ე.წ. ცნობილი პოლიტიკოსების გამილიონერება არჩია გაჭირვებული ხალხისთვის ფულის მიცემას.

*— ამ ფონზე ივანიშვილს საპარლამენტო არჩევნების გზით ხელისუფლებაში უმრავლესობით მოსვლა გაუჭირდება?*

— ივანიშვილისადმი ამერიკელების პოზიცია უკვე გამოჩნდა: მას 10% დაუწერეს და მორჩა.

*— ანუ, თქვენი აზრით, ივანიშვილის კოალიცია არჩევნების შედეგების მიხედვით მეორე ან მესამე ადგილზე იქნება?*

— კი, ან მეორე, ან მესამე ადგილზე იქნება. ჩვენ „აირაი“ და „ენდიაი“ ყოველთვის 2-3%-ს გვიწერდა, მეტს არა. ზოგჯერ 4-5%-ს გვიწერდნენ ანუ ზღვართან გვამყოფებდნენ და ამით ასეთ მესიჯს გვიგზავნიდნენ: თუ ჭკვიანად მოიქცევით, პარლამენტში შეგიშვებთ, თუ არადა, არაო. ჭკვიანად ქცევაში, ხომ ხვდებით, ამერიკელები რასაც გულისხმობენ. უნდა შევაჩეროთ ანტიამერიკული, ანტინატოური და ანტიავლანური პიარკამპანია. რა თქმა უნდა, ჩვენ ამაზე არავითარ შემთხვევაში არ წავალთ და ნაკლებად გვაინტერესებს, ამერიკელები შეგვიშვებენ თუ არა პარლამენტში. ჩვენ ჩვენს გასაკეთებელს ვაკეთებთ. თუ მოხდა ისე, რომ შევედით პარლამენტში, ხომ კარგი, ხოლო თუ არ შევედით, ქვეყანა არც ამით დაიქცევა.

*— ბატონო სოსო, მოდით, ვისაუბროთ იმ სვლებზე, რომლებიც ლიად არც ისე ჩანს. მხოლოდ საკანონმდებლო დონეზე იბრძვის სააკაშვილი ოპონენტების წინააღმდეგ თუ ამ ბრძოლაში იმავე მეზობელი ქვეყნების პოლიტიკურ ინტერესებსაც იყენებს? თუნდაც აზიზიეს მეჩეთის მშენებლობა ავიღოთ. თურქეთთან გარკვეული გარიგება იკვეთება?*

— პირველი და ყველაზე მთავარი მეზობელი, რომელსაც სააკაშვილი სათავისოდ იყენებს, აზერბაიჯანია. როდესაც ამ ბოლოს დროს ბაქოში ბრძანდებოდა სააკაშვილი, მას ჰქონდა ასეთი გარიგება: ალიევს მისთვის უნდა მოეწოდებინა ნავთობი ჩვეულებრივად და მონოპოლისტი ამ სფეროში უნდა ყოფილიყო სააკაშვილის ძმა თავისი „ვისოლით“, ასევე „სოკარი“, რომელიც ვანო მერაბიშვილს ეკუთვნის. აი, ეს ბიზნესგარიგება შედგა. სამაგიეროდ, ალიევი უზრუნველყოფდა აზერბაიჯანელი მოქალაქეების მხრიდან მიშა სააკაშვილისთვის ხმების მიცემას. მოგეხსენებათ, აზერბაიჯანელი მოსახლეობა ყოველთვის ხელისუფლების მძევალი იყო და ყოველთვის იმას ასრულებდა არჩევნების დროს, რასაც ბაქოდან უბრძანებდნენ. ჩვენ სწორედ ამიტომ გავილაშქრეთ ამ არასწორი პოლიტიკის წინააღმდეგ. მოვუწოდეთ აზერბაიჯანის ხელისუფლებას და გადავეცით პეტიცია, რომ შეწყვიტოს აზერბაიჯანის მხარემ საქართველოს საარჩევნო სისტემაში ჩარევა. ეს ერთი, რაც შეეხება აზერბაიჯანს. მეორე: რა თქმა უნდა, იყენებს თურქულსაც. შედგა საიდუმლო გარიგება და რატომაა საიდუმლო, ჩემთვის ძალიან საკვირველია, როდესაც ისეთი სერიოზული საქმეა წამოწყებული, როგორიც არის სულთან აზიზიეს მეჩეთის აშენება. ძალიან საკვირველია, რატომ არის ეს გასაიდუმლოებული. როგორც ჩანს, თურქულ მხარესაც იყენებს საარჩევნოდ სააკაშვილი.

*— არ გამორიცხავთ, რომ ამ მეჩეთის მშენებლობის თანხმობაში თურქულმა მხარემ სოლიდური ფინანსებიც გადაიხადოს და ეს ფული ხელისუფლებამ წინასაარჩევნოდ გამოიყენოს?*

— კი, თურქულმა მხარემ სერიოზული თანხები შეიძლება გადაიხადოს, იმიტომ რომ ეს არის თურქული ექსპანსია საქართველოში. მათ პრეტენზია აქვთ აჭარაზე. ასე რომ, არამცთუ არ გამოვრიცხავთ თურქული მხარისაგან ფულის გადახდას ხელისუფლებისთვის მეჩეთის მშენებლობის სანაცვლოდ, მიგვაჩნია, რომ ჩვეულებრივი გარიგება ხდება თურქებსა და სააკაშვილს შორის. ის აჭარაში თავის ინტერესებს ახორციელებს, სააკაშვილი კი თავის ინტერესებს იკმაყოფილებს სამშობლოს გაყიდვით.

*— ბატონო სოსო, რა ინფორმაციას ფლობთ შიდა სახელისუფლებო დინებებზე, მართლაც დაიწყო გადაჯგუფების პროცესი და იგრძნობა განრიდება სააკაშვილის მმართველ პარტიასთან ან გუნდის შიგნით? ზოგში ეჭვებს აჩენს გივი თარგამაძის გაუჩინარება, ზოგში კი – ვანო მერაბიშვილზე ივანიშვილის შეფასებები.*

— გივი თარგამაძეც ჩუმად არის და ბევრი ისეთი გავლენიანი ნაციონალიც, იგივე უგულავაც. ის, ასე ვთქვათ, საკმაოდ ფარდის უკან არის და კახა ბენდუქიძეც. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ბევრი ელოდება, რა მოხდება. ბევრი ელოდება ამას იმ მიზეზით, რომ იცოდეს, საით გადაბარგდეს. გავიხსენოთ შევარდნაძის მმართველობის ბოლო წელი და ბოლო თვეები. ბევრი ბიზნესმენი და პოლიტიკოსი ორჭოფობდა შევარდნაძის ბანაკიდან, საით წასულიყო. გავიხსენოთ იგივე სახელმწიფო მინისტრი ავთო ჯორბენაძე, რომლის ჩანაწერებიც და მიშასთან გარიგებები შემდგომში გამოქვეყნდა. ასეა დღესაც ბევრი გაყუჩებული. ფიქრობს, რომელი იმძლავრებს და საით წავიდეს, რომ თავი გადაირჩინოს.

# ილია II: დიდება და დაცემა ძალიან ახლოს არის ერთმანეთთან



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II მრევლს ბზობის დღესასწაული მიულოცა და ადამინის მიერ საკუთარი თავის შეცნობის აუცილებლობაზე იქადაგა.

პატრიარქის თქმით, ადამიანმა დიდი ყურადღება უნდა ადევნოს თავის გონებას აზროვნებას და საქმიანობას.

„ძველი ფილოსოფოსები ამბობდნენ, რომ ყველაფერი იცვლება, დრონი იცვლებიან და ჩვენც ვიცვლებით. სხვა ფილოსოფოსი ამბობს – შეიცან თავი თვისი. ყოველი ადამაიანი მოწოდებულია იმისთვის, რომ შეიცნოს საკუთარი თავი“ – ბრძანა პატრიარქმა.

უწმინდესმა ასევე აღნიშნა, რომ ეს მეტად რთულია და სხვისი შეცნობა გაცილებით მარტივია, ვიდრე საკუთარი თავის. ეს კი იმიტომ ხდება, რომ ადამიანი ობიექტური არ არის.

მისივე თქმით, ადამიანის სახე და არსება სამი სახით წარმოსდგება – როგორ გვხედავენ ჩვენ სხვა ადამიანები, როგორ ვხედავთ ჩვენ საკუთარ თავს და როგორი ვართ სინამდვილეში, ანუ როგორს გვხედავს უფალი.

„დაე ინებოს უფალმა, რომ ჩვენი სული და გონება, ჩვენი მოქმედება, საქმიანობა წარმართული იყოს იმისათვის, რომ შევიცნოთ თავი თვისი“ – განაცხადა პატრიარქმა.

უწმინდესმა დღევანდელ ქადაგებაზე ამპარტავნებაზეც გაამახვილა ყურადღება.

მისი თქმით, ერთ მქადაგებელს რომელიც ევროპაში, ნეპალში და ინდოეთში ქადაგებდა, ჰკითხეს – ამდენ ხალხს უსმენ და ნუთუ ამპარტვნება არ დაგეუფლაო. მან მაგალითად იერუსალიმში მაცხოვრის შესვლა მოიყვანა.

„როდესაც ხალხი ჯორს თავის ტანსაცმელს უფენდა, სინამდვილეში ჯორს კი არ უფენდნენ, არამედ მასზე მყოფ მაცხოვარს. მე ვარ ჭურჭელი – სულიერი სახლი, სადაც ცხოვრობს უფალი და როგორ უნდა დამეუფლოს ეს ამპარტავნება“ – აი ასე უპასუხა მოციქულმა“ – აღნიშნა პატრაიარქმა.

მისი თქმით, დღევანდელი დღესასწაული გვიჩვენებს და მიგვითითებს იმაზე, რომ დიდება და დაცემა ძალიან ახლოს არის ერთმანეთთან.

პატრიარქის ბრძანებით, მაცხოვარმა ამ დიდების შემდეგ უნდა დაგმოს გოლგოთა, ჯვარცმა და მხოლოდ ამის შემდეგ იქნება აღდგომა და ამაღლება.

„უფალმა ინებოს რომ ჩვენს გულსა და გონებაში, მთელს საქართველოში შემოვიდეს უფალი იესო ქრისტე. ღმერთმა დაგლოცოთ და ღმერთმა მოგვასწროს ბედნიერ აღდგომას“ – დალოცა პატრიარქმა მრევლი.

ნიუსპრესი

# საქართველოს პრეზიდენტი სააღდგომოდ პატიმრებს შეიწყალებს

საქართველოს პრეზიდენტი სააღდგომოდ პატიმრებს შეიწყალებს. შეწყალების კომისიის სხდომა გუშინ გაიმართა.

კომისიამ 416 პატიმრის განაცხადს განიხილა. აქედან 71 – ქალი, ხოლო 9 არასრულწლოვანია. შესაწყალებელთა სიაში მძიმე დანაშაულში ეჭვმიტანილები არ არიან.

პირველი

# დღეიდან ვნების შვიდეული იწყება

9 აპრილიდან ვნების შვიდეული იწყება. ვნების შვიდეული აღდგომის მარხვის ბოლო კვირას ეწოდება, რომელსაც ქრიატიანული ეკლესია მარხვით აღნიშნავს ქრისტეს ვნების (ტანჯვის) მოსაგონებლად და იმ ცოდვების გამოსასყიდად, რომლებიც ადამიანს უფლის წინაშე აქვს.

ვნების შვიდეულის პირველი დღე – დიდი ორშაბათი, ბიბლიური იოსების ხსოვნას ეძღვნება. ვნების შვიდეულის ორშაბათს, სამშაბათს და ოთხშაბათს ტაძარში სრულდება წირვები პირველშეწირულთა ძღვენთა, რომლებზეც მთელი სახარება იკითხება.

ვნების კვირაში მკაცრი მარხვაა დაწესებული, თუმცა ე.წ. დიდი ხუთშაბათი ზეთით ხსნილია, რადგან ეკლესიაში სადღესასწაულო წირვა სრულდება. ამ დღეს იესო ქრისტემ თავისი თორმეტი მოწაფის საიდუმლო სერობა მოიწვია და ზიარების საიდუმლო დააწესა. ტრადიციულად, წმინდა სამების საკათედრო ტაძარში ამ დღეს მორწმუნეებს თვითონ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე აზიარებს.

ამავე დღეს სიონის საკათედრო ტაძარში ფეხთბანის რიტუალი სრულდება. კათოლიკოს-პატრიარქი თორმეტ მღვდელს იწვევს და ფეხებს ბანს.

დიდი, იგივე წითელი პარასკევი ყველაზე მძიმე დღეა წლის განმავლობაში, როდესაც მაცხოვრის ჯვარცმა მოხდა. დღის ორ საათზე ეკლესიაში ე.წ. „გარდამოხსნის გადმოსვენება“ სრულდება, სალამოს კი „თორმეტი ვნების სახარება“ იკითხება. ამ დღეს მძიმე მარხვაა.

48-დღიანი დიდმარხვა აღდგომის დღესასწაულზე ხსნილდება. მართლმადიდებელი ეკლესია აღდგომის დღესასწაულს წელს 15 აპრილს აღნიშნავს.

პირველი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკვეიშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა განდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2-94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ლაშა თორდიას „დემოკრატიული მოძრაობა“ სტრასბურში უჩივლებს

## რას ემსახურება პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის განცხადება





თეა მარხვაიძე

**სხვა ქვეყანაში პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს ასეთი განცხადება რომ გაეკეთებინა, დიდი ამბები ატყდებოდა. საქართველო კი ასეთ უცნაურობებს უკვე შეჩვეულია. შესაბამისად, ერი ძალიან მშვიდად შეხვდა ლაშა თორდიას განცხადებას. ბევრმა ის ყურადღების ღირსადაც არ ჩათვალა. არადა, ეს განცხადება ნამდვილად იმსახურებს დიდ ყურადღებას, მით უმეტეს, როცა მას ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის პოსტი უკავია.**

ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავკაცს ადამიანის უფლებების დარღვევისთვის „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველო“ სასამართლოში უჩივლებს.

როგორც მოძრაობის მიერ გავრცელებულ სპეციალურ განცხადებაში ნათქვამია, ამის მიზეზი თორდიას მიერ გაზეთ „ვერსიისთვის“ მიცემული ინტერვიუა, რომელშიც ის აცხადებს, რომ 26 მაისს მისთვის მხოლოდ ორი ადამიანი გარდაიცვალა, რომლებსაც ბადრი ბიწაძემ და ნინო ბურჯანაძემ მანქანით თავზე გადაუარეს.

– ეს განცხადება პირდაპირი მიზანმიმართული ცილისწამებაა ნინო ბურჯანაძის, როგორც პოლიტიკოსის დისკრედიტაციის მიზნით. „დემოკრატიული მოძრაობა“ უახლოეს დღეებში აღნიშნულ განცხადებასთან დაკავშირებით, ლაშა თორდიას წინააღმდეგ სარჩელს შეიტანს. ბუნებრივია, ჩვენ ილუზია არ გვაქვს, რომ სააკაშვილის სასამართლო სამართლიან გადაწყვეტილებას ამჯერად მაინც მიიღებს, მაგრამ „დემოკრატიული მოძრაობა“ დარწმუნებულია, რომ ძალიან მალე ჩვენს ქვეყანაში ის დრო დადგება, როდესაც ყველა დამნაშავეს საკუთარ ქმედებებზე თავისუფალი სასამართლოს წინაშე პასუხისგება მოუწევს, – აღნიშნულია განცხადებაში.

რატომ ჩივიან სასამართლოში, რას ნიშნავს ლაშა თორდიას განცხადება, რატომ დუმს 26 მაისზე ოპოზიცია ამის შესახებ „დემოკრატიული მოძრაობის“ მთავარი საბჭოს წევრი თამარ ცინცაბაძე „ახალ თაობას“ ესაუბრება.

**თამარ ცინცაბაძე:**

– ქართველებს ერთი დიდი უბედურება გვჭირს, თუ პირადად არ შეგვეხო რამე არაფერს არ ვაპროტესტებთ. ასეა ცხოვრებაში, ასე არის პოლიტიკაშიც. რაც საერთო საქმეს ნამდვილად არ წაადგება. ამიტომაც მოვუწოდეთ ოპოზიციას რამდენჯერმე, რომ უსამართლობის წინააღმდეგ ერთობლივად გამოვსულიყავით. ოპოზიციისთვის მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, რომელი პარტია გახდება უსამართლობის მსხვერპლი. ხმა ყველაფერზე უნდა ამოვიღოთ. ჩვენ შეძლებისდაგვარად ვაპროტესტებთ ყოველგვარ უსამართლობას. 26 მაისს ხელისუფლებამ გაუგონარი სისასტიკე და უსამართლობა ჩაიდინა. სამწუხაროდ, ეს ფაქტი სათანადოდ არ გაუპროტესტებია პოლიტიკურ სპექტრს. დადგება დრო და სამართალს აუცილებლად ვიპოვით.

*– მოდით, ახლა ლაშა თორდიას განცხადებაზე ვისაუბროთ. რას ნიშნავს, როცა პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ასეთ განცხადებას აკეთებს?*

– ასეთი განცხადების გაკეთება არავის არ ეპატიება. მით უმეტეს, დეპუტატს. ამასთან უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბატონი თორდია პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტს უდგას სათავეში. გარდა იმისა, რომ ის უპასუხისმგებლო განცხადებას აკეთებს ის ტყუის. ნაციონალებს ასე აქვთ საქმე დაყენებული, ისინი იცავენ მხოლოდ საკუთარ უფლებებს. მხოლოდ იმ ადამიანებზე ზრუნავენ ვინც მათი მხარდამჭერია. სხვების ბედი კი არ ანაღვლებთ. არც იმის უფლებას აძლევენ, რომ მათ სამართალი იპოვონ. დღეს საქართველო ორად არის გაყოფილი.

*– რას გულისხმობთ ორად გაყოფილ საქართველოში?*

– ნაციონალებისათვის და მათი მხარდამჭერებისთვის არის ყველაფერი. დანარჩენი საქართველოსთვის კი არაფერი არ არის. ისევ თორდიას განცხადებას დავუბრუნდები, ასეთი ამორალური განცხადებები მე ნაციონალებისგანაც კი არ მომისმენია. ეს ადამიანი უსირცხვილოდ ტყუის1

*– თქვენ უკვე ორჯერ ახსენეთ, რომ თორდია ტყუის. რა გაქვთ მხედველობაში?*

– მან თქვა, რომ მისთვის მხოლოდ 2 ადამიანი დაიღუპა, რომელსაც ბურჯანაძემ და ბიწაძემ გადაუარეს მანქანით. ეს არის დიდი ტყუილი! საქართველოში დღეს ყველამ იცის, რომ ეს ასე არ მომხდარა. ამ ქვეყნად არსებობს სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიურო. მას ხელისუფლებაც ენდობა. ამ ბიურომ დადო დასკვნა. სადაც წერა, რომ არანაირი შეჯახება ამ მანქანების მხრიდან ადამიანებზე არ მომხდარა.

*– ეს დასკვნა რამდენიმე თვის წინ გამოქვეყნდა. ნაციონალებმა მაშინვე თქვეს, რომ ეს დასკვნა არაფერს ცვლიდა,*

– მათ საკუთარი თავი კანონზე მაღლა ჰყავთ დაყენებული. მიაჩნიათ, რომ მათ სიტყვას უფრო მეტი ფასი აქვს, ვიდრე ექსპერტიზის დასკვნას. ეს ექსპერტი ჩვენი მოყვანილი რომ ყოფილიყო, კიდევ შეიძლებოდა რაღაც ეჭვები გაჩენილიყო. მაგრამ ეს არის ექსპერტიზის ბიურო, რომელსაც თავად ხელისუფლებაც ენდობა. და სწორედ ამიტომ შევიტანთ სარჩელს ლაშა თორდიას წინააღმდეგ.

*– როდის აპირებთ სარჩელის შეტანას?*

– თორდიას წინააღმდეგ სარჩელი სასამართლოში ან დღეს, ანდა ხვალ შევა. სამწუხაროდ, თორდიას განცხადება კიდევ უფრო მძიმეა, ვიდრე მარტო ტყუილი. იმ საშინელი დარბევის დროს გაცილებით მეტი ადამიანი დაიღუპა. 2 ხელებშეკრული ადამიანი სახურავზე რომ იპოვეს, აღარ ახსოვთ? ამ ადამიანების სიცოცხლე თორდიასთვის არაფერს არ წარმოადგენს? მისთვის არაფერს ნიშნავს დარბევის შემდგომ დღეებში დაღუპული ადამიანები. ვიცით, რომ ადამიანი გარდაიცვალა გულის შეტევით. იმ დარბევის დროს ათეულობით ადამიანი დაასახიჩრეს. ეს თორდიასთვის არაფერს ნიშნავს? ადამიანის უფლებათა დამცველი ხმას რატომ არ იღებს იმის გამო, რომ ათეულობით ადამიანი უკანონოდ დააპატიმრეს. რამდენიმე ათეული ადამიანი დღესაც ზის საპატიმროში. და ლაშა თორდიასთვის ეს არაფერს არ ნიშნავს თურმე. ლაშა თორდიას ასეთი განცხადებების გამო უნდა რცხვენოდეს, თუმცა მისიც მესმის. ასეთი განცხადებებით მათ ქულები ეწერებათ. არჩევნები მოდის და ყველას უნდა საარჩევნო სიაში მოხვედრა.

*– ვის თვალში ეწერება ქულები?*

– სააკაშვილის. ეტყობა განსაკუთრებით მაღალი ქულები იწერება ბურჯანაძის და დემოკრატიული მოძრაობის ლანძღვაზე. კი ბატონო, გალანძღე და გააკრიტიკე პარტიის პოლიტიკა. მაგრამ მორალს და ზნეობას არ უნდა გადააბიჯო. თორდიამ კი მორალი დაივიწყა და სამარცხვინო განცხადება გააკეთა.

*– თქვენი პარტიის მიერ გაკეთებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ ილუზიებში არ ხართ და სასამართლოს იმედი არა გაქვთ. თუ სასამართლოსი არ გჯერათ მაშინ რატომღა შეგაქვთ სარჩელი?*

– როგორ შეიძლება ამ სასამართლოს იმედი გვქონდეს. მაჩვენეთ ერთი ადამიანი, მაინც ვისაც სჯერა, რომ დღევანდელი ხელისუფლების პირობებში სამართალს იპოვის. ასე რომ იყოს, ჩვენი მოსახლეობა სტრასბურში არ დაიწყებდა სამართლის ძიებას. დადგენილია, რომ საქართველოდან ძალიან ბევრი ადამიანი ეძებს სამართალს ევროპულ სასამართლოში. აქ რომ სამართალი იყოს, მერწმუნეთ, იქ ამდენი საჩივარი არ წავიდოდა. ილუზიებში არც ჩვენ ვართ და ვიცით, რომ სამართლიანი გადაწყვეტილება არ იქნება. ამის მიუხედავად მაინც შეგვაქვს სარჩელი.

*– მერე ამას რა აზრი აქვს?*

– აზრი როგორ არა აქვს. თუნდაც იმიტომ ვიჩივლებთ, რომ ხელისუფლებამ რწმენა არ დაგვიკარგოს. ამათ უნდათ, რომ ხალხმა ყველაფრის რწმენა და იმედი დაკარგოს. ვიმეორებ, რომ სასამართლოს სამართლიანობის არ გვჯერა, მაგრამ სარჩელს მაინც შევიტანთ. ჩვენ აუცილებლად მოვივლით ყველა ინსტანციას. როცა ამას ამოვწურავთ, უფრო ზევით ვიჩივლებთ.

*– მხედველობაში სტრასბურის სასამართლო გაქვთ?*

– რა თქმა უნდა, სტრასბურამდე მივალთ. თორდიას განცხადება რეაგირების გარეშე არ უნდა დარჩეს. სტრასბურის სასამართლოში ჩვენ სხვა საქმეების გასაჩივრებასაც ვაპირებთ. ჩვენი პარტიის მიმართ ბევრი უსამართლობა ჩაიდინა ხელისუფლებამ. აქ სამართალი ვერ ვიპოვეთ, მაგრამ არ გავჩერებულვართ. ჩვენ გვჯერა, რომ სამართალს აუცილებლად ვიპოვით. მე მჯერა, რომ საქართველოში მალე დადგება დრო, როცა ხალხი აქაც იპოვის სამართალს. მჯერა, რომ ეს ხელისუფლება ყველაფერზე აგებს პასუხს. ამისთვის კი, პირველ რიგში, ხალხის და ოპოზიციის ერთიანობაა საჭირო.

# ცხინვალში არჩევნები მშვიდად ჩატარდა

თეა მარხვაიძე



**გუშინ ცხინვალში დიდი ამბები იყო. ბოლო შვიდი თვის განმავლობაში ოსებმა უკვე მეოთხედ სცადეს პრეზიდენტის არჩევა. არჩევნებითა და პოლიტიკური მაიმუნობით გადაღლილი ხალხი შეძლებისდაგვარად მშვიდად მივიდა არჩევნების მეორე ტურამდე.**

**ერთმანეთისთვის თავპირი არც პრეზიდენტობის კანდიდატებს დაულეწავთ. ისინი ერთმანეთს მხოლოდ სიტყვიერი განცხადებებით დაუპირისპირდნენ. ორივე მათგანს არჩევნების მოგების იმედი ჰქონდა.**

გუშინდელ არჩევნებში ერთმანეთის პირისპირ 2 კანდიდატი წარდგა. პირველი ტურის შემდეგ საპრეზიდენტო მარათონს დიმიტრი მედოევი და სტანისლავ კოჩიევი გამოეთიშნენ.

ეს უკანასკნელი სამხრეთელი ოსი კომუნისტების ბელადია. თავის დროზე პარლამენტის სპიკერის პოსტიც ეკავა. რამდენიმე თვის წინ ის კოკოითის მომხრე დეპუტატებმა სპიკერის პოსტიდან ჩამოაგდეს. ეს გასაკვირი არც არის. რადგანაც კოჩიევმა ყველაფერი გააკეთა, რომ ოსურ კონსტიტუციაში ცვლილება არ შესულიყო. ამ ცვლილებით კოკოითის მესამე ვადით მიეცემოდა პრეზიდენტობის უფლება.

დიმიტრი მედოევს კი რუსეთში სამხრეთ ოსეთის სრულუფლებიანი ელჩის პოსტი ეკავა. არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე მან ეს თანამდებობა დატოვა. რუსული და ოსური მედიის ცნობით, კრემლი სწორედ მედოევზე აკეთებდა აქცენტს. მართალია ღიად ეს განცხადება არ გაკეთებულა, მაგრამ გულში თურმე ძალიან ნერვიულობდნენ მასზე.

თუ მართლაც კრემლის ფავორიტი იყო მედოევი მაშინ გამოდის, რომ ოსებმა მეორედ გააბანძეს კრემლის ნებიერა.

შარშან ჩატარებულ არჩევნებზე ოსებმა დამაჯერებლად აქციეს ზურგი კრემლის ფავორიტ ანატოლი ბიბილოვს. ამ უკანასკნელს მხარს გენერალი სერგეი შოიგუ უჭერდა. რომელიც თავის მხრიც ცხინვალში დიდი პოპულარობით სარგებლობს. ბიბილოვის მხარდასაჭერად ცხინვალში კონსტანტინე კოსაჩოვიც ჩავიდა. თუმცა ამაო გამოდგა ყველაფერი. ოსებმა კრემლის ნებიერას ალა ჯიოევა არჩიეს. მან ორჯერ მოიგო არჩევნები მაგრამ არ ჩაუთვალეს, ბოლოს უზენაესმა გააუქმო ის შედეგები და ვადამდელი არჩევნები დაინიშნა.

ეს არჩევნები 25 მარტს ჩატარდა. ეს არჩევნების ალა ჯიოევამ დაწყევლა. კანდიდატებს აშკარად უწია ჯიოევას წყევლამ. პირველმა ტურმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა. მეორე ტურში ლეონიდე თიბილოვი და დავით სანაკოევი გავიდნენ.

ექსპერტები მეორე ტურს თავიდანვე ვარაუდობდნენ. მეორე ტურში სწორედ ამ 2 კანდიდატს უწინასწარმეტყველებდნენ გასვლას. სანაკოევი წლების განმავლობაში იცავდა ადამიანის უფლებებს. ის მოსახლეობაში საკმაოდ დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა.

მისი მთავარი კონკურენტი ლეონიდ თიბილოვი კი გავლენიანი ხალხის მფარველობით არის განებივრებული. ბოროტი ხმები ამბობენ, რომ მას მხარს კოკოითის ხალხიც კი უჭერდა.

უშიშროების ყოფილ მინისტრს მხარს ცნობილი ბიზნესმენი გოჩა ძასოხოვიც უჭერს. ოსური მედიის ცნობით, ძასოხოვი თურმე ხშირად აკითხავს თიბილოვს ცხინვალში. ამბობენ, რომ სწორედ ძასოხოვმა ჩამოაცილა თიბილოვს ისეთი სერიოზული კონკურენტი, როგორიც ძამბოლატ თედეევი იყო.

ასე და ამგვარად მივიდნენ კანდიდატები მეორე ტურამდე. პირველი ტურით ორივე კმაყოფილი იყო. ცოტა სანაკოევს ეჯღანებოდა სახე. ამტკიცებდა, რომ მან უფრო მეტი ხმები მოაგროვა.

პრეზიდენტობის კანდიდატები ამ ორი კვირის განმავლობაში საკმაოდ კორექტულად იქცეოდნენ. ერთმანეთისთვის სიტყვიერი შეურაცხყოფაც კი არ მიუყენებიათ. მხოლოდ სანაკოევი საუბრობდა არჩევნების ფალსიფიკაციაზე. ამასთან ერს უმტკიცებდა არჩევნებს მე მოვიგებო.

იგივეს ამტკიცებდა ლეონიდ თიბილოვიც. რომელიც, როგორც ამბობენ, აქტიურად ცდილობდა მედოევის მხარდამჭერების გადაბირებას. პირველ ტურში პირველი ადგილი ალა ჯიოევას მომხრეების დახმარებით მოიპოვა.

პირველი ტურის მსგავსად მეორე ტურიც მშვიდად დაიწყო. საარჩევნო უბანზე ორივე კანდიდატი დილაუთენია მივიდა. ალბათ ძნელი გამოსაცნობი არ არის, ვის მისცეს ხმა ამ კაცებმა.

მთელი დღის განმავლობაში აქტიურად აკეთებდა კომენტარებს ადგილობრივი ცესკოს თავმჯდომარე ბელა პლიევა. მისი განცხადებით, არჩევნები მშვიდად მიმდინარეობდა. არჩევნების სიმშვიდეს სამართალდამცავები და დამკვირვებლები უზრუნველყოფდნენ. ოსური მედიის ცნობით, არჩევნებს 100 უცხოელი დამკვირვებელი აკვირდებოდა.

დღის პირველ ნახევარში კანდიდატებიც მშვიდად იყვნენ. ნაშუადღევს კი სიტუაცია დაიძაბა.

განგაშის ზარს პირველებმა სანაკოევის შტაბში შემოჰკრეს. ავით სანაკოევის შტაბი დასახლებულ პუნქტ „ზემო როკის“ საარჩევნო უბნებზე მომხდარი დარღვევების შესახებ იტყობინებოდა.

სანაკოევის შტაბის იურისტის მადინა კოზაევას თქმით, აღნიშნული პუნქტის საარჩევნო უბნებზე დამკვირვებლებს მუშაობისას დაბრკოლებები შეექმნათ. მათ საშუალება არ ჰქონდათ, დაკვირვებოდნენ, ვინ მიდიოდა საარჩევნო ყუთთან და რამდენ ბიულეტენს აგდებდა.

მისივე თქმით, შტაბმა აღნიშნულის შესახებ საჩივრით ცენტრალურ საარჩევნო კომისიას უკვე მიმართა. კომისიაში კი დარღვევის ფაქტი უარყვეს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, არჩევნებს 100 დამკვირვებელი აკვირდებოდა. მათი დიდი ნაწილი რუსები იყვნენ. „ეხო კავკაზას“ ცნობით, ისინი არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებაზე საუბრობდნენ.

# ვლადიმერ სოკორი: „ვაშინგტონის სიტყვას თბილისში დიდი წონა აქვს, ხანდახან — გადაჭარბებულიც“

შალვა ჯოხაძე

უცხოელი დიპლომატების, განსაკუთრებით ამერიკელების იმედად ყოფნა ბოლო დროის მოდად იქცა. არა, უცხოელებისადმი, მით უმეტეს, დიპლომატებისადმი ამოუხსნელი მორჩილება და მათდამი გაფაციცებული მზერა ქართულ პოლიტიკაში არახალია. თუმცა, ბოლო თვეების განმავლობაში საქართველოში პოლიტიკური პოლუსების გამოკვეთასთან ერთად უცხოელი არბიტრების სასტვენის ხმის მოლოდინი განსაკუთრებით გამძაფრდა. მიხეილ სააკაშვილის იდილიის დამრღვევი ბიძინა ივანიშვილის ერთი დაძახება და „ქართული ოცნების“ ოფისში დიპლომატების მთელი ჯარი იყრის თავს. დიპლომატებიც რისი დიპლომატები არიან, ყველაფერს ისმენენ და მკვეთრი განცხადებებისაგან მაინც თავს იკავებენ. მათი პოზიციები, ზოგადად, მოზომილი და სარეკომენდაციო ხასიათისაა. თუმცა, აშშ-ის ელჩი საქართველოში, ჯონ ბასი მაინც აპარებს ისეთ მესიჯებს, რომელიც მიხეილ სააკაშვილისათვის, რეკომენდაციაზე მეტად, გაფრთხილებაა. კიდევ უფრო ხისტი ჩანს ამ მხრივ აშშ-ის მომავალი ელჩი, რიჩარდ ნორლანდი.

ხისტი და თანაც უტაქტო შეიძლება უწოდო მმართველი ძალის ზოგიერთი წარმომადგენლის განცხადებას იმ სამართლიან შენიშვნებზე, რომელიც უცხოელი დიპლომატებისაგან მათი მისამართით ისმის. მაგალითად, აშშ-ის საელჩოს ერთ-ერთ განცხადებაზე შოთა მალაშხიამ ჟურნალისტებს უთხრა, რომ აშშ რჩება საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორად, მაგრამ კონკრეტული საკითხების გადაწყვეტისას პრიორიტეტებს ქართული მხარე განსაზღვრავს. მალაშხიას თქმით, ყველას, მათ შორის ელჩებსაც აქვთ საკუთარი აზრების გამოთქმის უფლება, მაგრამ მათი გათვალისწინება დამოკიდებულია იმაზე, რამდენად ჩათვლის ამას საჭიროდ ქართული მხარე. აკაკი ბობოხიძემ კი აღნიშნა, რომ ნებისმიერი ელჩის პოზიცია ანგარიშგასაწევია, მაგრამ დირექტივას არ წარმოადგენს.

— აშშ-ის ელჩი საქართველოს ხელისუფლებას დირექტივას ვერ მისცემს, მაგრამ თუ მაინც აძლევს და ხელისუფლება იღებს, ასეთი არც ხელისუფლება მინდა და არც ელჩი, — განაცხადა ბობოხიძემ.

მაგრამ არც მთლად ასეა საქმე. ახლა, ქვეყნისათვის გადამწყვეტ მომენტში უცხოელი დიპლომატების მოსაზრებებისა თუ შენიშვნების გათვალისწინება აუცილებელია. ისინი ხომ ცუდს არაფერს ურჩევენ ხელისუფლებას?! უბრალოდ, უთითებენ, რა არის კანონიერი და რა — უკანონო. დირექტივა ჯონ ბასის სიტყვა კი არა, ის კანონებია, რომელიც მსოფლიოში წესრიგის დასამყარებლად ჩამოყალიბდა და მათი გადახვევა ასევე, კანონით ისჯება.



რატომ იყრის თავს უცხოელი დიპლომატების ჯარი „ქართულ ოცნებაში“

უცხოელი დიპლომატების როლზე საქართველოში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით არა მხოლოდ ქართული მედია წერს. ჯეიმსთაუნის ფონდის ანალიტიკოსის, ვლადიმერ სოკორის მოსაზრებით, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მთავრობამ საქართველო-აშშ-ს კავშირი იმდენად ძლიერად გაამყარა, რომ ოპოზიციონერი პოლიტიკოსებიც კი, როგორიცაა, მაგალითად, მილიარდერი ბიძინა ივანიშვილი, რომელიც დღემდე აშშ-ისადმი ინტერესს არ იჩენდა, ვალდებულნი არიან, წინასაარჩევნოდ ვაშინგტონთან დაამყარონ კავშირები. სოკორის მოსაზრებების თარგმანს ფორინპრეს.გე გვთავაზობს.

— უდავოა, რომ საქართველო ყოფილ საბჭოთა ქვეყნებს შორის ყველაზე მეტად იხრება დასავლეთისკენ. მეტიც, მხოლოდ საქართველოში აღიქვამენ პოლიტიკური ძალაუფლებისთვის მოქიშპეები შეერთებულ შტატებს როგორც ლეგიტიმურობის მისაღებ საგარეო წყაროს და ინსტანციას აპელაციისათვის. ამგვარი მიდგომა, იქნება ის ტაქტიკური სვლა თუ ღირებულებებზე დამყარებული პოზიცია, შეერთებულ შტატებს განსაკუთრებულ გავლენას ანიჭებს. თბილისში აშშ-ს საელჩოსა და ვაშინგტონის სიტყვას დიდი წონა აქვს. მას ითვალისწინებენ და განიხილავენ (ხანდახან გადაჭარბებულადაც). ქართველი პოლიტიკური ოპონენტები საკუთარი შიდა პოლიტიკური სტრატეგიებისათვის აშშ-ს სხვადასხვა გზის მეშვეობით ფაქტორად იყენებენ.

ამ როლს აშშ სერიოზულად და ხანდახან მძიმედ ეკიდება, როგორც ქვეყნის (აშშ) საგარეო პოლიტიკის, ასევე ვაშინგტონის პოლიტიკის კუთხით. ამერიკის მიერ ქართველი პოლიტიკოსებისა და კანონმდებლობის ღირებულებითი შეფასებები უწყვეტ დარიგებად იქცევა ხოლმე და საქართველოზე განსაკუთრებული გავლენა წინასაარჩევნო და საარჩევნო პერიოდში აქვს.

მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ს ოფიციალურმა პირებმა შეიძლება ამგვარი როლი იუარონ, შეერთებული შტატები საქართველოს პოლიტიკის საგარეო მსაჯად აღიქმება. ეს როლი უფრო მეტად პროცესუალურ საკითხებზეა ფოკუსირებული, ვიდრე პოლიტიკურზე. ხანდახან ევროკავშირიც (წევრი სახელმწიფოების ელჩები კოლექტიურ ფორმატში) იმავე როლს თამაშობს თბილისში, მაგრამ აშშ-ს აქტიურობა და გავლენა ევროკავშირისას ნამდვილად აღემატება, — აცხადებს სოკორი.

ანალიტიკოსის მოსაზრებით, აშშ-ს ორგანიზაციები აფინანსებენ და ატარებენ საზოგადოებრივი აზრის გავლენიან გამოკითხვებს და აშშ-ს საელჩოსგან ყველა ელის სადავო პოლიტიკური მოვლენების ან კანონების შეფასებას და ხშირ შემთხვევაში მას სთხოვენ კიდეც ამის გაკეთებას. ოპოზიციური პარტიებიც რეგულარულად მიმართავენ ამავე საელჩოს მთავრობის საწინააღმდეგო ჩივილებით. ვაშინგტონის კონგრესის ყველა დოკუმენტი მრავალჯერ განიხილება თბილისში და აშშ-ს ოფიციალური პირებიც, დაწყებული პრეზიდენტ ბარაკ ობამადან, დამთავრებული ელჩად დანიშნული რიჩარდ ნორლანდით, საქართველოს დემოკრატიულ ქმედებებს „ტესტებს უტარებენ“.

— ივანიშვილი, რომლის ქონებაც საქართველოს წლიური მთლიანი შიდა პროდუქტის ნახევარს უდრის, კარჩაკეტილი ცხოვრებიდან ცოტა ხნის წინ გამოჩნდა და თავისი მოძრაობით „ქართული ოცნება“ სახელმწიფოებრივი ძალაუფლების მოსაპოვებლად დაიწყო მოქმედება. ივანიშვილი ინარჩუნებს ხანგრძლივ ბიზნესკავშირებს რუსეთთან. ძალაულებისთვის ბრძოლის დაწყებამდე მას და „ქართული ოცნების“ სხვა პოლიტიკოსებს შეერთებული შტატების მიმართ ინტერესი არასდროს გამოუჩენიათ. მათ წარსულში არც საქართველოს ევრო-ატლანტიკურ სივრცეში გაწევრიანებისაკენ მისწრაფება შეინიშნება. მათი გუნდი ინტენსიურად პროვინციულ-შეზღუდულია, 1990-იანი წლების აზროვნებით. რა შეიძლება იყოს უფრო მეტად განსხვავებული სააკაშვილის ახალგაზრდა, ინგლისურად მოლაპარაკე, აშშ-სადმი დაინტერესებული და ნატოზე ფოკუსირებული მთავრობისაგან.

ქართულ პოლიტიკაში აშშ-ს როლის გათვალისწინებით, ივანიშვილმა მას შემდეგ, რაც საქართველოში პოლიტიკური კამპანია წამოიწყო, თავი ვალდებულად იგრძნო, აშშ-ში აქტიური ლობირებით შეეცვალა გულგრილობა, რომელსაც მთელი ცხოვრების განმავლობაში იჩენდა. ივანიშვილმა თვის პირველ და მთავარ მოკავშირედ ირაკლი ალასანია აირჩია, გაითვალისწინა რა ალსანიას წარსული, პროამერიკული რეპუტაცია და დიპლომატიური კავშირი ვაშინგტონთან. თუკი ეს მის მთავარ დამატებით ღირებულებას წარმოადგენდა ივანიშვილის კამპანიისთვის, მალე დამტკიცდა, რომ ეს ფაქტორი გაზვიადებულად შეაფასეს. აშშ და ევროკავშირის დიპლომატებმა უმტკივნეულოდ მოიცილეს ის თავიდან, როდესაც ალასანიამ საქართველოს მთავრობას სირიის ტიპის ჰომსის სცენარის დაგეგმვაში დასდო ბრალი და დასავლეთს ამის აღკვეთისკენ მოუწოდა. ალასანია, რომლის პარტიასაც გამოკითხვებში მხოლოდ ერთციფრიანი რეიტინგი აქვს, უფრო შორს წავიდა და დაიმუქრა, რომ „ქართული ოცნების“ კოალიცია არჩევნების შედეგებს არ აღიარებს თუ ისინი „ქართული ოცნების“ ეგზიტ პოლს არ დაემთხვევა, — წერს ვლადიმერ სოკორი.

სოკორი აცხადებს, რომ ივანიშვილმა ალასანია და მისი პარტია ვაშინგტონის ლობისტურ ფირმებთან დადებული პირველი კონტაქტის ბენეფიციარებად აქცია. ამასობაში კი, ვაშინგტონის ოთხი ყველაზე ძვირადღირებული ლობისტური კომპანია ივანიშვილისა და მისი „ქართული ოცნების“ ლობირებისთვის დაიქირავეს. ეს ინფორმაცია ფირმების იმ ჩანაწერებიდანაა მოპოვებული, რომელთა გამოაშკარავებაც კანონის მიხედვით მოეთხოვებათ.

— ამ ძვირად ღირებული ლობირების მიზანი, როგორც ჩანს, ოთხმაგია (ჩამონათვალი მნიშვნელოვნების ზრდის მიხედვით) პირველი — ივანიშვილისადმი დადებითი და ქართული მთავრობისადმი უარყოფითად განწყობილი კომენტარების გაზრდა, რომლებსაც არჩევნების განმავლობაში ქვეყანას გაუმეორებენ. მეორე — ქართველ ამომრჩევლებზე შთაბეჭდილების მოხდენა იმით, რომ ივანიშვილის აშშ-დან პოლიტიკური მხარდაჭერისთვის საჭირო კვალიფიკაცია აქვს. ეს ლეგიტიმურობის სავალდებულო ფაქტორია ნებისმიერისთვის, ვისაც საქართველოში ძალაუფლების მიღება სურს. მესამე — უპრეცედენტოდ ფართო ლობისტური აპარატის გამოყენება იმისათვის, რომ დებატები საქართველოს შესახებ დეზინფორმაციით შეავსონ (ვარიაციები „დიქტატურის“ თემაზე) იმ იმედით, რომ ასე ამერიკა საქართველოს ჩამოშორდება და მეოთხე (ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანი) დაარწმუნოს აშშ-ს ოფიციალური პირები, თანაბრად ჩამოშორდნენ, როგორც ქართულ პოლიტიკურ ძალებს, ასევე არჩევნების სტრატეგიულ შედეგებს.

ოფიციალურად აშშ-ს მიდგომა ასეთია, ის უბრალოდ დაინტერესებულია საქართველოს „საარჩევნო პროცესით“ და არაფერში ერევა. ასე საუბარი სავალდებულოა, მაგრამ რეალურად ჩაურევლობა არც სავალდებულოა და არც პროდუქტიული. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ აშშ ინდიფერენტულია იმის მიმართ, თუ რა გავლენა ექნება არჩევნების სტრატეგიულ შედეგებს აშშ-ს ან საქართველოს ინტერესებზე. ამის ნაცვლად ის ამბობს — მთავარი „პროცესია“. ასევე აცხადებენ იმას, რომ აშშ არც ერთ ქართველ პოლიტიკურ ძალას არ უჭერს მხარს. ესეც სავალდებულოა, მაგრამ ეს მიდგომაც გულისხმობს ინდიფერენტულ მიდგომას იმ პოლიტიკური მეტოქეებისადმი, რომლებსაც სხვადასხვა მიზნები და პროგრამები აქვთ, არადა ერთი მათგანი, რუსეთში ჩამოყალიბებული მილიარდერის მიერ ქვეყნის ხელში ჩაგდებას გულისხმობს, — ასეთი მოსაზრებები აქვს სოკორს.

სოკორის აზრით, აშშ-ს შეუძლია, ისე, რომ მხარდაჭერა არ გამოხატოს, არჩევნებამდე ჩამოაყალიბოს საქართველოს მომავლის ხედვა და ქართველი ამომრჩევლებიც შეძლებენ ამ ხედვის სხვადასხვა პარტიების ხედვასთან შედარებას. საქართველოს საშინაო პოლიტიკაზე აშშ-ს უნიკალურ ზეგავლენას, რაღა თქმა უნდა, სტრატეგიულ შედეგებზე პასუხისმგებლობაც თან სდევს.

# ტყეების მართვის სფეროში არაკომპეტენტურობა და ქაოსია



შალვა ჯოხაძე

საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების“ თემატურ ჯგუფებში სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით მიდის მსჯელობა და ეს ყველაფერი ერთგვარ პროგრამად ყალიბდება, რომელიც, არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, ბიძინა ივანიშვილის გუნდმა უნდა გაითვალისწინოს. ერთ-ერთი თემატური ჯგუფის წარმომადგენელმა, ტყეთმცოდნემ, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა რევაზ ქვაჩაკიძემ „ახალ თაობას“ უამბო, თუ რა მოსაზრებები აქვს მას ქართულ ტყესთან დაკავშირებით. ქვაჩაკიძის თქმით,

ბოლო ასწლეულების განმავლობაში საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, ტყით დაფარული ტერიტორია საგრძნობლად შემცირდა.

— ტყიანობის მკვეთრი შემცირება მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, დაკავშირებულია ტყის მერქნიანი რესურსების გადაჭარბებულ მოხმარებასთან, რამაც წარმოშვა დისბალანსი ტყეში მერქნის ყოველწლიური კვლავწარმოების ბუნებრივ შესაძლებლობასა და ტყიდან ყოველწლიურად გამოტანილი მერქნის (მალალხარისხოვანი მასალა, შეშა) ოდენობას შორის, — აცხადებს ქვაჩაკიძე.

მეცნიერის თქმით, საყოველთაოდ ცნობილია მთის ტყეების განსაკუთრებული გარემოსდაცვითი (ეროზიასაწინააღმდეგო, მეწყერსაწინააღმდეგო, ზვავსაწინააღმდეგო), წყალმარეგულირებელი და კლიმატშემქმნელი როლი. მთის ტყეების გარემოსდაცვითი, მდინარეთა ნაპირსამაგრი და ვაკის (ქარსაფარი) ტყეებისა და ხელოვნურად გაშენებული ტყის ზოლების მოვლისა და გამოყენების წესებისა და მეთოდების იგნორირებამ, ხოლო უკანასკნელი 15-20 წლის განმავლობაში ტყეების მართვის სფეროში დამკვიდრებულმა არაკომპეტენტურობამ და ქაოსმა ქვეყანა მძიმე ეკოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების წინაშე დააყენა.

— საქართველოს მთის ტყეების არასწორი (ხშირად მტაცებლური) ექსპლუატაციით და მოუვლელობით მათი ფართობი ბოლო წლებში საგრძნობლად შემცირდა; მაღალპროდუქტიული ტყეები (წიფლნარები, სოჭნარები, ნაძვნარები და სხვა) მასობრივად შეიცვალა შედარებით დაბალხარისხოვანი და დაბალპროდუქტიული ტყეებით (ამონაყრითი მუხნარით, რცხილნარით, მთის ვერხვნარით და სხვა) და ტყისშემდგომი ბუჩქნარებით (ჯაგრცხილნარი, შქერიანი, წყავიანი და სხვ.); მთის ტყეების ნახევარზე მეტი (ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით — 55%) დღეისათვის იმდენად გამეჩხერებულია (სიხშირე დაწეულია 0,5-0,4-მდე და მეტად), რომ ფაქტობრივად ტყემ დაკარგა თესლით განახლების უნარი, რამაც ეჭვქვეშ დააყენა მომავალში მისი არსებობაც კი, — აცხადებს რევაზ ქვაჩაკიძე.

ტყეთმცოდნის მოსაზრებით, ყოველივე ამან გამოიწვია ქვეყნის მთის ტყეების გარემოსდაცვითი, განსაკუთრებით მათი წყალმარეგულირებელი ფუნქციის მკვეთრი დაქვეითება. ამის პირდაპირი შედეგია ბარში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების და ნაგებობების წალეკვის და დატბორვის, პირუტყვის დაღუპვის ხშირი შემთხვევები აღმოსავლეთ საქართველოში; სასოფლო-სამეურნეო მიწების დაჭაობება დასავლეთ საქართველოში (კოლხეთის დაბლობზე). მინდორსაცავი და ქარსაფარი ტყის კორომებისა და ხელოვნურად გაშენებული ტყის ზოლების მასობრივად განადგურებამ საქართველოს ბარში საგრძნობლად გააძლიერა ზაფხულის ცხელი ქარები, რამაც დიდად დააზარალა ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო წარმოება (ქარული ეროზია, ნიადაგის გამოშრობა და გამოფიტვა). ქვეყნის მაღალმთიან ტერიტორიაზე (სუბალპურ სარტყელში) მაღალი მთის ტყეების (აღმოსავლეთის მუხის მუხნარი, მაღალმთის წიფლნარი, ლიტვინოვის არყის არყნარი და სხვ.) ფართობების შემცირება უსისტემო ჭრით და შინაური პირუტყვის მოუწესრიგებელი ძოვებით, ძვირად დაუჯდა ქვეყანას, განსაკუთრებით მის მაღალმთიან ჭარბტენიან რეგიონებს (სვანეთი, აჭარა, რაჭა-ლეჩხუმი), სადაც გახშირებულმა ზვავებმა და მეწყერებმა დიდი ზიანი მიაყენა სოფლებს.

— ტყიანობის შემცირებასა და ტყეების ბუნებისდაცვითი ფუნქციების შესუსტებასთან უშუალო კავშირშია ქვეყნისათვის კიდევ ერთი, პერსპექტივაში კატასტროფული ხასიათის ეკოლოგიური საფრთხე. საქმე ეხება ტერიტორიის საგრძნობი ნაწილის (ქვემო ქართლის ბარი, ივრის ზეგანი, ალაზნის ანუ შიდა კახეთის ვაკე) გაუდაბნოებას. ეს პროცესი, რომლის საფრთხეს აძლიერებს დედამიწაზე საერთო (გლობალური) დათბობა, ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში ძირითადად გამოწვეულია ადგილობრივი ტყეების (საკმლის ხის, ხემაგვარი ღვიების, აკაკის და სხვა გვალვისამტანი ხემცენარეებისაგან შექმნილი ე.წ. ნათელი ანუ არიდული ტყის) ფართობების მკვეთრი შემცირებითა და ხელოვნურად გაშენებული ქარსაფარი ტყის ზოლების ფაქტობრივად სრული განადგურებით.

უკანასკნელ წლებში ამ რეგიონებში, მეტადრე ივრის ზეგანზე (შირაქი, ელდარი) გარედან შემოჭრილი უდაბნოს მცენარეების და მასთან დაკავშირებით, ადგილობრივი მცენარეულობის (ზამთრის საძოვრების) თანდათანობითი ცვლილებების ანალიზი ადასტურებს, რომ „უდაბნოს სუნთქვა“ უკვე სახეზეა. თუ ეს პროცესი დროულად არ შევაჩერეთ, რაშიც სხვა ღონისძიებებთან ერთად ქარსაფარი ტყის ზოლების გაშენებაც ერთ-ერთ მთავარ როლს შეასრულებს, შორს არ არის ის დრო, როცა საქართველოს ამ სპეციფიკურ (არიდულ) რეგიონს, — ხორბლის, მზესუმზირის, ტკბილი ნუშის, ვაზის წარმოების ტერიტორიას, ქვეყანაში მეცხოველეობის განვითარებისათვის აუცილებელ ზამთრის საძოვრებს — დაკარგვის რეალური საფრთხე დაემუქრება, — აცხადებს ქვაჩაკიძე.

მეცნიერის მოსაზრებით, შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, აუცილებელია, ძირეულად გადაიხედოს, ფაქტობრივად ახლად დამუშავდეს საქართველოს ტყეებთან დაკავშირებული ყველა პრობლემა — ეკოლოგიური, ეკონომიკური, სოციალური და სხვა. ეს დიდი და შრომატევადი საქმეა. იგი მოითხოვს სამეცნიერო, საპროექტო, იურიდიული და სხვა, ტყესთან ამა თუ იმ სახით დაკავშირებული ძალების ჩართულობას. ფაქტია, რომ მოქმედი კანონმდებლობით ვერ ხორციელდება სახელმწიფოს წამყვანი როლი ქვეყნის სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტის — ტყეების მართვაზე, ტყის რესურსების გამოყენებაზე, ტყეების აღდგენაზე და პროდუქტიულობის ამაღლებაზე, ახალი ტყეებისა და დაცვითი ტყის ზოლების გაშენებაზე, საერთოდ — ტყითსარგებლობაზე და ტყეების გარემოსდაცვითი ფუნქციების ამაღლებაზე.

— ჩვენეული ხედვები, რომლებიც ემყარება ტყეთმცოდნეობასა და მეტყევეობაში მრავალი ათეული წლების ადგილობრივ და ამ სფეროში მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების გამოცდილების ანალიზს, შემდეგია: აუცილებელია შეიქმნას ქვეყნის ერთიანი სატყეო პოლიტიკა და სტრატეგია, რომელიც კანონის სახეს მიიღებს. მასში აისახება: საქართველოს ტყეების მრავალფეროვნება და გავრცელება ბუნებრივ პირობებთან დაკავშირებით; ტყეების გარემოსდაცვითი როლი და მნიშვნელობა ბუნებრივი რესურსების — წყლის, ნიადაგის, ჰავის აღწარმოებასა და მდგრად გამოყენებაში; ტყითსარგებლობის პროცესში მოსალოდნელი ეკოლოგიური რისკები.

საქართველოს ტყეების განსაკუთრებული გარემოსდაცვითი და რესურსწარმოებითი ფუნქციებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია ტყეების უდიდესი ნაწილი, არანაკლებ 75-80% მოექცეს სახელმწიფო საკუთრებაში. მასში გაერთიანდება ქვეყნის მთისა და ბარის სპეციალური (გარემოსდაცვითი, რესურსმწარმოებელი) დანიშნულების ტყეები. ამ ტყეებში, ტყეთსარგებლობის დადგენილი წესების მტკიცედ დაცვის პირობებში, შესაძლებელია ქვეყნისა და ადგილობრივი მოსახლეობისათვის უაღრესად საჭირო ხეტყის დამზადება.

მიზანშეწონილია მაქსიმალურად გაფართოვდეს ეროვნული პარკების, — როგორც ქვეყანაში ტყეთსარგებლობისა და ტყეების გარემოსდაცვითი (ეკოლოგიური) ფუნქციების ამაღლე-

გაგრძელება მე-5 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზაზა ფირალიშვილი: სააკაშვილი პოლიტიკიდან შეიძლება სამუდამოდ წავიდეს

## ნაციონალები ბოლშევიკებს დაემსგავსნენ

გულიკო ბალაძე

### ინტერვიუ ფილოსოფოს ზაზა ფირალიშვილთან

*— ბატონო ზაზა, „პოლიტიკა ზნეობის გარეშე", თითქოს ასეთი სლოგანი აქვს არსებულ ხელისუფლებას და ამ სლოგანის მიხედვით მოქმედებს მთელი თავისი არსებობის მანძილზე. რატომ განვითარდა ქართული პოლიტიკური რეალობა ისე, რომ ზნეობის ადგილი აღარ დარჩა პოლიტიკაში?*

— ამას საკმარისად გრძელი ისტორია აქვს. გავიხსენოთ, რა წიაღში იშვა თანამედროვე ქართული პოლიტიკა. იგი იშვა საბჭოთა პოლიტიკური პირველ ნიმუშების წიაღში. ბევრი რამ იქიდან ვისესხეთ, განსაკუთრებით – პოლიტიკურ პროპაგანდაში. ეროვნული მოძრაობაც კი, რომელიც რადიკალურად უარყოფდა ყველაფერს, რასაც საბჭოურობის ნიშანი ედო, ხშირად სარგებლობდა საბჭოთა პროპაგანდისტული გამოცდილებით. საქმე იქამდე მივიდა, 80-იანი წლების ბოლოს მთელი სერიოზულობით ქვეყნდებოდა სერია წერილებისა, სადაც მსჯელობდნენ იმაზე, უნდა ყოფილიყო თუ არა პოლიტიკა ზნეობრივი და ერთ-ერთ ავტორს, უაღრესად სერიოზულ ადამიანს, გამოჰქონდა დასკვნა: საიმისოდ, რომ მივაღწიოთ პოლიტიკურ მიზნებს, აუცილებელია პოლიტიკა გავათავისუფლოთ ზნეობრივი ცრურწმენებისაგანო. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ შეიძლება მიზნების მიღწევის გზაზე დავმარცხდეთო. ეს იყო პოლიტიკური ინფანტილიზმის, პოლიტიკური კულტურის დეფიციტის ხანა. გარკვეული პირობითობები და თამაშის წესები ახლალა იწყებდა ჩამოყალიბებას.

*— მას შემდეგ 20 წელი გავიდა და რატომ ვერ ჩამოყალიბდა პოლიტიკური კულტურა და იგივე რეალობა რატომ არის?*

— ბოლომდე ვერ დაგეთანხმებით. დღეს უკვე მძაფრად განვიცდით ამ ორი სფეროს ურთიერთდაშორებას. დღეს ჩვენს ხელისუფალს არ ვაპატიებთ იმას, რასაც ვაპატიებდით 20 წლის წინ. მაშინ ჯერ კიდევ იყო გულუბრყვილო წარმოდგენები, ახლა ასეა საჭირო, რომ რაღაცეებზე თვალი უნდა დავხუჭოთ, რაღაც ტყუილი უნდა მივიღოთ, როგორც აუცილებელი და ა.შ. ამან ჩვენ საკმაოდ გვაზარალა. საბოლოო ჯამში, ჩვენ შევქმენით ის უცნაური პოლიტიკური სხეული, რომლის ტყვეობაში აღმოვჩნდით ყველანი და დღეს მისგან გათავისუფლებას ვცდილობთ.

*— რატომ არ გრძნობს დღეს არსებული ხელისუფლება ზნეობის საჭიროებას პოლიტიკაში? ხომ ამბობენ, რომ ისინი არიან „ახალი პოლიტიკოსები", „რეფორმატორები"?*

— საქმე ისაა, ძალაუფლების სივრცეში მოხვედრილი ადამიანები იოლად თავისუფლდებიან ზნეობრივი იმპერატივებისაგან. მათთვის ძალაუფლების იდეა ფარავს ყველაფერს. თუ ჩვენთვის, ადამიანებისთვის, რომლებიც გარედან ვადევნებთ თვალს პოლიტიკურ პროცესებს, ზნეობა რაღაც როლს თამაშობს, პოლიტიკურ სივრცეში ეს ხშირად იცვლება. დღევანდელი ხელისუფლება თავისი ტოტალური სიცრუის სისტემით პოლიტიკური კულტურის დეფიციტის პროდუქტია. ჩვენ ჯერ ვერ შევქმენით ის, რასაც ჰქვია პოლიტიკური პირობითობების სისტემა, თუმცა, ვგრძნობთ, რომ რაც შევქმენით, არ არის ის, რაც უნდა იყოს. სწორედ ამ განწყობილების მსხვერპლად იქცევა დღევანდელი ხელისუფლება. ზნეობრივ პირობითობებს მოკლებული პოლიტიკის მიმართ დაგროვილი აგრესია პერიოდულად მთელი ძალით ამოიფრქვევა ხოლმე. არადა, პოლიტიკოსები ვერ შეეჩვივნენ ამის გათვალისწინებას. როდესაც პოლიტიკა და ზნეობა ერთმანეთს დაშორდება, მთელი საზოგადოება ტყუილის ტყვეობაში აღმოჩნდება. ამ უკანასკნელს არავითარი პირობითობები აღარ ელობება წინ და სიცრუის ტოტალურ ტყვეობაში ვიწყებთ არსებობას. დღეს ჩვენ ვართ სიტუაციაში, როდესაც ტყიბულიდან ატყუებენ თელაველებს, თელავიდან – ქუთაისელებს, ქუთაისიდან – თბილისელებს. უნდათ, უბრალო ადამიანს შეუქმნან შთაბეჭდილება, რომ, მართალია, მას უჭირს, მაგრამ სადღაც მაინც კარგად არის საქმე.

*— ისე, სააკაშვილს სიცრუის შემოქმედებითი უნარი გააჩნია. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, სადმე რომ დგას და ლაპარაკობს, იმ წუთში იგონებს ბევრ ტყუილს. ტოტალური ტყუილის ფენომენია გამეფებული „ნაციონალებში".*

— ჩვენმა საზოგადოებამ დაუშვა ის, რომ მსგავსი ხელისუფლება ჰყოლოდა. წლების წინ „აუცილებელი ტყუილის" პრინციპით თვალს ვხუჭავდით ბევრ რამეზე და თავადვე დავუგეთ საკუთარ თავს მახე, რომელშიც აღმოვჩნდით. გავიხსენოთ, რომ 2001 წელს დღევანდელი ხელისუფალი აცხადებდა, რუსთავში ევროპული დონის ციხე ავაშენეო. მაშინვე შეიძლებოდა ჩასვლა და შემოწმება. იქ მხოლოდ გადაუხურავი კედლები იყო. მაშინ ეს ჩვენმა საზოგადოებამ მიიღო, როგორც აუცილებელი და საჭირო ტყუილი შევარდნაძის წინააღმდეგ. მანამ, სანამ ჩვენ არ გავიაზრებთ, რომ არ არსებობს საჭირო ტყუილები და რომ ამით საკუთარ თავს ვუნადგურებთ საარსებო გარემოს, მსგავსი ისტორიები განმეორდება.

*— ქართველი საზოგადოება ზნეობრივი პოლიტიკური კრიტერიუმებისა და ნორმების დამკვიდრებას შეძლებს?*

— ზნეობას აქვს ერთი უცნაური თვისება, თუ გნებავთ, საიდუმლოება – ხანგრძლივ პერსპექტივაში იგი გაცილებით უფრო პრაქტიკულია, ვიდრე – უზნეობა. ამის აღმოჩენას დრო და გამოცდილება უნდა. როდესაც ჩვენ, ბოლოს და ბოლოს, მიხვდებით, რომ თურმე სიმართლე უფრო მომგებიანია, ხოლო პატიოსნება – საუკეთესო პოლიტიკა, როგორც ამას ფრანკლინი ამბობდა, ყველაფერი უკეთესისაკენ დაიძვრება. მაშინ მივხვდებით, რომ თუ სიმართლე, პატიოსნება და წესიერება არ დაედება საფუძვლად ჩვენს სოციალურ თანაცხოვრებას, ყოველთვის ვიქნებით ნაგავსა და სიბინძურეში. ვფიქრობ, უკვე დადგა მომენტი, როდესაც ამის გააზრება ჩვენთვის აუცილებელი გახდა.

*— ფაქტობრივად, პოლიტიკური არც შეიძლება ეწოდოს იმ სივრცეს, რომელშიც დღეს პოლიტიკოსებს უწევთ საქმიანობა. თვითონ ბატონი ივანიშვილი, რომელსაც თქვენ დღეს წარმოადგენთ, როგორ გრძნობს არსებულ პოლიტიკურ ველში თავს?*

— მისთვის, როგორც წესიერი ადამიანისთვის, ბუნებრივია, ბევრი რამ უცხოა. თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ ამან დააბნია.

*— უზნეო პოლიტიკა მასაც შეეხო...*

— რა თქმა უნდა, ბატონი ბიძინასთვის, ალბათ, ბევრი რამ მოულოდნელი გახლდათ. პირადად ჩემთვის წარმოუდგენელი იყო, თუკი შეიძლებოდა ყოველგვარი წესების, ყოველგვარი ნორმის დარღვევით მიეღოთ საკანონმდებლო გადაწყვეტილებები პირადად მის წინააღმდეგ. ე.წ. „ივანიშვილის კოდექსს" ვგულისხმობ. ნორმალურ საზოგადოებაში არსებობს რაღაც თამაშის წესები, რომელსაც თუ არ იცავს მხარე, ის უბრალოდ პოლიტიკური ცხოვრებიდან განიდევნება. როგორც ჩანს, ხელისუფლება ფიქრობს, რომ ჩვენ ჯერ ნორმალური საზოგადოება არ ვართ და თავისუფლად შეუძლია მოგვექცეს.

*— სააკაშვილი ევროპიდან ჩაგვჩიჩინებდა, რომ მან „მოდელი სახელმწიფო" შექმნა და ქვეყანაში პროგრესია. ახლა ხადარკოვსკიზე ფილმს აჩვენებენ და ამბობენ, რომ რაც მოხდა რუსეთში, არსად მომხდარა, თითქოს უარესი არ მომხდარიყოს საქართველოში ჩვენს უახლეს ისტორიაში. თითქოს რაც გაუკეთეს ბადრი პატარკაციშვილს და რასაც აკეთებენ ივანიშვილთან დაკავშირებით, არაფერია. ეს რა არის, ნაციონალები რეალურ, უზნეო პოლიტიკას ფუთავენ?*

— დიახ, ხდება იმ პოლიტიკური რეალობის ჭრელი დეკორაციებით შეფუთვა, რომელშიც ვიმყოფებით. რეფორმებისა და მოდერნიზაციის სახელი ზედმეტად ხშირად ერქმევა იმას, რაც რეალურად არც რეფორმაა და არც მოდერნიზაცია, მხოლოდ უმწიფარი გონების მიერ ცუდად მოფიქრებული ექსპერიმენტებია. ძალიან ბევრი რამ კეთდება წამიერი შთაგონებების საფუძველზე. ხელისუფალი მყისიერად დგება რაღაც ხასიათზე და შემდეგ მთავრობა იძულებულია გაამართლოს მისი სურვილები. ტყუილი დღევანდელი ხელისუფლების დიდი ნაწილისათვის ჩვეულებრივი ქცევის წესია. სამწუხაროა, რომ მათ ტყუილი ძირითად პოლიტიკურ ინსტრუმენტად აქციეს. თუკი ამას უბრალო ადამიანი ვერ გრძნობდა 2003-2004-2005 წლებში, 2007 წელი გარდატეხის შემომტანი აღმოჩნდა ჩვენს ისტორიაში. 2007 წლის ნოემბერში ჩვენმა რიგითმა ადამიანმა იგრძნო, რომ თურმე ხელისუფალი შეთქმულია მის წინააღმდეგ; თურმე ჩუმად ემზადება, ამზადებს რაღაც რაზმებს, რომელთა არსებობის შესახებ არც არაფერი ვიცოდით.

*— ამასთან დაკავშირებით ქუთელიამ განაცხადა, თითქოს ამ ე.წ. ტერიტორიული რეზერვის საკითხი გაწერილი ჰქონდათ უშიშროების საბჭოს გეგმაში. უშიშროების საბჭოს თუნდაც ძალიან კარგი გეგმა რამდენად ასრულებს კანონის ფუნქციას?*

— არ ვიცი. ეს უნდა ჰკითხოთ იურისტებსა და კონსტიტუციონალისტებს. რაც მე ყველაზე სახიფათოდ მეჩვენება ისაა, რომ უშიშროების



საბჭომ სარეზერვო ძალებს მიანიჭა კრიზისის შემთხვევაში სამოქალაქო ხელისუფლების მხარდაჭერის ფუნქცია. ეს თავისთავად ძალზე საშიში ჩანაწერია. არ არის განმარტებული, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს კრიზისად. კრიზისი შეიძლება იყოს სოციალური. ვთქვათ, უკმაყოფილება გამოთქვა 500-მა კაცმა სოციალური მდგომარეობის გამო. ამ დროს შესაძლებელია სარეზერვო ძალები გამოიყენო? ჩანაწერი ზედმეტად ფართი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა და მისი წყალობით სარეზერვო ძალები შეიძლება ცუდი ხელისუფლის იარაღად იქცეს.

*— როგორც ჩანს, ეს იგივეა, რაც იყო ე.წ. ზონდერები, რომელთა საქმიანობა ნაცნობია საზოგადოებისთვის, მიტინგებზე ხალხის დასარბევად რომ იყენებდნენ.*

— მით უმეტეს, მსგავსი ჩანაწერის არსებობა საშიშია.

*— გამოდის, „ზონდერებს" აკანონებენ?*

— დიახ, გამოდის, რომ აკანონებენ. როდესაც შენ რაღაც უცნაურ ძალებს ამზადებ კრიტიკული მომენტისთვის, როდესაც შენი ძალაუფლების ინტერესებს საფრთხე შეიძლება შეექმნას, ეს ნიშნავს, რომ არ ხარ გულწრფელი და ღია შენი საზოგადოების მიმართ, საკუთარ საზოგადოებასთან დიალოგში არ ხარ, საკუთარი საზოგადოების არ გესმის და არც გინდა, რომ გესმოდეს. შენთვის მთავარია ძალაუფლების შენარჩუნება. ასეთი მდგომარეომა დიდხანს ვერ გაგრძელდება. ჩვენ ვსაუბრობდით, რომ ქართველი კაცი მგრძნობიარე გახდა პოლიტიკოსთა სიცრუის მიმართ. რაც დრო გავა, მით უფრო მეტი იქნება აგრესია. დადგება მომენტი, როდესაც ხელისუფლების რეალური წარმატებებიც კი მის საწინააღმდეგო არგუმენტებად იქცევა. დასავლურ საზოგადოებებს ამის დიდი გამოცდილება აქვთ. დასავლელმა პოლიტიკოსებმა გამოიმუშავეს გამოსავალი: დროებით გადგებიან პოლიტიკური პროცესებისაგან, რათა გადაარჩინონ ის პოლიტიკური კაპიტალი, რომელიც ჯერ კიდევ გააჩნიათ. ეს გამოსავალი იქნებოდა დღევანდელი ხელისუფლებისთვისაც.

*— გააჩნია კი სააკაშვილს კიდევ პოლიტიკური კაპიტალი?*

— რა თქმა უნდა, საზოგადოების გარკვეულ ნაწილში გააჩნია. გამოკითხვების თანახმად, საზოგადოების გარკვეული ნაწილი მას მხარს უჭერს.

*— ე.ი. თუ სააკაშვილი ახლა ჩამოშორდება ხელისუფლებას, პოლიტიკიდან მთლად უსახელოდ არ წავა?*

— დიახ, სწორედ ამის თქმა მინდა. მაგრამ თუ იგი ისე გააგრძელებს, როგორც აქამდე, შეიძლება უსახელოდ წავიდეს. დღეს მისი ყოველი გამარჯვება პოლიტიკურ მეტოქეებზე, უბრალო ადამიანებში აღტაცებას კი აღარ იწვევს, არამედ მის საწინააღმდეგო აგრესიას და პროტესტს აძლიერებს.

*— ნაციონალების ზოგიერთი წარმომადგენლისაგან მოვისმინე, რომ ეს ხალხი ელიტის რჩეული ნაწილია (ასე წამოაძახეს ნაციონალებმა პარლამენტში ოპოზიციას) ე.ი. ამიტომ უნდა გმართოთ აწ და მარადისო. რამდენად წარმოადგენს ნაციონალური მოძრაობა ელიტის რჩეულ ნაწილს და რამდენად ამართლებს ის ამ სახელს?*

— მათი ნებაა, ასე რომ ფიქრობენ. ჩვენი ნებაა, არ დავუშვათ, რომ ასეთი წარმოდგენების მქონე ადამიანები გვმართავდნენ უკუნითი უკუნისამდე. ელიტის თაობაზე განცხადება არ მომისმენია. თუ ასეთი რაღაც თქვეს, უბრალოდ, უხერხულია.

*— საქართველოში პოლიტიკური მეთოდებით ბრძოლით შედეგის მიღწევა თითქმის შეუძლებელია. რა როლს შეასრულებს „ქართული ოცნება" ამ სიტუაციაში?*

— „ქართულმა ოცნებამ" ამ ეტაპზე უკვე შეასრულა ძალიან დიდი როლი. მან შექმნა პოლიტიკური ალტერნატივა. ეს, თავისთავად, უკვე ძალზე მნიშვნელოვანია. რა თქმა უნდა, საუბარია იმაზე, რომ „ქართულმა ოცნებამ" გაიმარჯვოს და შეცვალოს დღევანდელი ხელისუფლება, მაგრამ თუნდაც ის, რომ შეიქმნა ალტერნატიული პოლიტიკური ცენტრი და დღეს აღარ გვაქვს ერთპოლუსიანი პოლიტიკური ცხოვრება, უკვე თავისთავად კარგია ამ ეტაპისათვის.

*— მიუხედავად ყველაფრისა, ბიძინა ივანიშვილი ორი დღის წინ დიპლომატებს სთხოვდა, ზეწოლა მოახდინონ სააკაშვილზე, რომ არჩევნების გზით გახდეს შესაძლებელი ხელისუფლების ცვლილება...*

— სხვა ფორმა არ არსებობს. თუ ჩვენ არ მივაღწიეთ იმას, რომ არჩევნების გზით შევცვალოთ ყოველი, თუნდაც უკიდურესად არასასურველი ხელისუფლება, მუდმივად მანკიერი საზოგადოების მდგომარეობაში ვიქნებით, რომელსაც ტოტალური ნგრევის გარეშე ცვლილებების მიღწევა არ შეუძლია. ეს ჩვენს თავს არ უნდა ვაკადროთ.

*— ზოგიერთი თქვენი კოლეგა ფილოსოფოსი ამ ხელისუფლების იდეოლოგებს წარმოადგენენ. ისინი სააკაშვილის პოლიტიკისა და ბრჭყვიალა და ცარიელი იდეების გენერირებაში დიდ როლს ასრულებენ. თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ, ფილოსოფიამ და კულტურამ რა როლი შეიძლება ითამაშოს თანამედროვე საზოგადოების ჩამოყალიბებაში?*

— პოლიტიკა ინტელექტუალური ბაზისა და სულიერების გარეშე მხოლოდ ვულგარული ინტრიგების სფეროა. ფილოსოფიისა და კულტურის გარეშე პოლიტიკა წარმოუდგენელია. კულტურა, ფილოსოფია, ფსიქოლოგია და სოციოლოგია უნდა მონაწილეობდნენ მის შექმნაში. იგი ინტეგრალური ფენომენი გახლავთ და ნაყოფად გვაძლევს იმ სასიცოცხლო გარემოს, რომელშიც ცხოვრება გვიწევს.

*— თქვენ როგორ უყურებთ თქვენი კოლეგა იმ ფილოსოფოსების საქმიანობას, რომლებიც სააკაშვილის ხელისუფლებასთან არიან დაკავშირებული?*

— ეს მათი გადაწყვეტილებაა. მათი მრწამსი ასეთია. როგორ ვუთხრა მათ, რატომ სწამთ ასე და რატომ არ სწამთ სხვანაირად? თუმცა, დარწმუნებული ვარ, ბევრი მათგანი გრძნობს სიტუაციის უხერხულობას.

*— ხელისუფლების წარმომადგენლებისგან ხშირად გვესმის, რომ ჩვენთან პოლიტიკური პრობლემა კი არ არის, არამედ მენტალიტეტებს შორის ბრძოლა მიმდინარეობს. მაგალითად, თუ არ ვცდები, ევროკავშირში გამოსვლისას ეს თქვა პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძემ. თქვენ როგორ გესმით ასეთი განცხადებები? „ნაციონალები" თავიანთ თავს ახალი მენტალიტეტის წარმომადგენლებს უწოდებენ, ხოლო დანარჩენებს – ძველი მენტალიტეტის წარმომადგენლებს.*

— ეს სიტუაცია ძალიან ჰგავს გასული საუკუნის 20-იანი წლების სიტუაციას, როდესაც ბოლშევიკები და კომკავშირლები საკუთარ თავს ახალი საზოგადოებისა და ადამიანის შემქმნელებად მიიჩნევდნენ. ძველი ადამიანური მასალა უნდა გადაშენებულიყო. ისინი ფიზიკურად სპობდნენ კიდეც ადამიანებს. ასეთი რამ ისტორიაში ბევრჯერ მომხდარა. მოდის ჯგუფი ადამიანებისა, რომელიც ფიქრობს, რომ პროგრესის მატარებელია და ყველაზე კარგად იცის, რა უნდა საზოგადოებას. საზოგადოებას კი არ ესმის, რა სჭირდება მას. ამიტომაც იგი უნდა აიძულონ, რომ გახდეს კარგი და ბედნიერი. მე პირადად კარგად მახსოვს, ასეთი იძულებით, როგორი საზოგადოება შეიქმნა. იგი არც კარგი იყო და არც – ბედნიერი.

# ტყეების მართვის სფეროში არაკომპეტენტურობა და ქაოსია

დასაწყისი მე-4 გვერდზე

ბის ყველაზე ოპტიმალური ორგანიზაციული ფორმის – ქსელი. უახლოეს პერსპექტივად უნდა დაისახოს – სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ტყეების მთლიანი მოცულობით (100%) საქართველოს ეროვნულ პარკებში მოქცევა.

ქვეყნის ტყეების საერთო რაოდენობის დაახლოებით 20% მიზანშეწონილია მოექცეს მუნიციპალურ საკუთრებაში. აქ გაერთიანდება რაიონული ცენტრებისა და სოფლების მახლობლობაში გავრცელებული მთისა და ბარის ტყეები, აგრეთვე ტყისშემდგომი ბუჩქნარები – ამონაყრითი მუხნარები, რცხილნარები, მუხნარ-ჯაგრცხილნარები, ჯაგრცხილნარები, ასევე – წარსულში ხელოვნურად გაშენებული და ჩვენს პირობებში (განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში) კარგად ადაპტირებული ჩრდილოამერიკული ცრუაკაციის (თეთრი აკაციის) ტყეები. მუნიციპალური ტყეები დაექვემდებარება ადგილობრივ გამგეობას და იქნება ძირითადი წყარო მოსახლეობისათვის საჭირო ტყის რესურსებისა (შეშა, სარი, ჭიგო, სალობე მასალა და ა.შ.).

ტყეების გარკვეული (შეზღუდული) ფართობი დარჩება მოქმედი ეკლესია-მონასტრების საკუთრებაში.

საქართველოს ტყეების უდიდესი გარემოსდაცვითი (ეკოლოგიური), ეკონომიკური და რეკრეაციული მნიშვნელობიდან, ტყის რესურსების რაციონალური გამოყენების, მოვლისა და რეკონსტრუქციის სპეციფიკიდან გამომდინარე, აუცილებელია შეიქმნას ქვეყნის ტყეების მართვის ერთიანი სისტემა – სატყეო სამინისტრო და მისი დასაყრდენი რეგიონებში – ადგილობრივი სატყეო მეურნეობები. ისინი სახელშეკრულებო საფუძველზე ყველა (სახელმწიფო, მუნიციპალურ, საეკლესიო-სამონასტრო) კატეგორიის ტყეებში, მაღალ პროფესიულ დონეზე განახორციელებენ ტყეთსარგებლობის, ტყის აღდგენისა და რეკონსტრუქციის, ტყის მავნებლებისაგან და დაავადებებისაგან დაცვის სამუშაოებს.

საქართველოს ტყეებს ერთი პატრონი უნდა ჰყავდეს – ქართული სახელმწიფო, – აცხადებს რევაზ ქაჩაკიძე.სს

# სუფრის წყალი „საირმე“ – მოითხოვე და მიირთვით ყოველდღე

მინერალური წყალი „საირმე“ ქართულ ბაზარს უბრუნდება. საზოგადოებაში აქამდე ცნობილი იყო, რომ „საირმის“ დალევა მხოლოდ სამკურნალო მიზნით იყო რეკომენდებული, თუმცა, როგორც მოგეხსენებათ, საირმის წყლები რამდენიმე წყაროდან გადმოედინება და განსხვავებულია მათი შემადგენლობებიც, ის ახალი მინერალური „საირმე“, რომელიც ახლა აქტიურად ბრუნდება და იმკვიდრებს თავს ქართულ ბაზარზე, გამოირჩევა სიმსუბუქით, ვინაიდან მისი ქიმიური ფორმულა მსუბუქია, რაც შესაძლებელს ხდის ამ მინერალური წყლის ყოველდღიურად მიღებას. გამოირჩევა რბილი გემოთი, შესანიშნავი მატონიზირებელია და შეუცვლელი გახლავთ ზაფხულის სიცხეში წყურვილის მოსაკლავად. სუფრის წყალი „საირმე“ ორგანიზმს ამარაგებს საჭირო, ჯანსაღი მინერალებით, აკაჟებს და აძლიერებს იმუნიტეტს. მისი მიღება ყოველდღიურად არის შესაძლებელი და რეკომენდებული, ხოლო რაც შეეხება იმ ძველ „საირმეს“, რომელიც ახსოვს მომხმარებელს, ანუ „საირმე“ ტრადიციულს, იგი ბაზარს წლის ბოლომდე დაუბრუნდება და, მისი სამკურნალო თვისებებიდან გამომდინარე, აფთიაქებში გაიყიდება.

სანამ ამ წყლის მნიშვნელობაზე ვისაუბრებდეთ და სპეციალისტების რჩევებს გავითვალისწინებდეთ, მანამდე მცირე ისტორიული რაკურსი საირმის შესახებ.

საირმე მცირე კავკასიონის გულში, საქართველოს დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. ტერიტორია შერეული ტყითაა გარშემორტყმული, თუმცა, ბუნებასთან ერთად, მისი უმთავრესი მშვენება წყალია, რომელიც უხვად მოედინება.

კურორტის ძირითადი სიმდიდრე საირმის სამკურნალო წყალია. კურორტსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე რამდენიმე წყაროდ გადმოედინება. ისინი ქიმიური შემადგენლობითა და სამკურნალო თვისებებით ერთმანეთისგან განსხვავდებიან, რაც მათი დიფერენცირების აუცილებლობას იწვევდა. ქიმიური ანალიზის შემდეგ წყაროები დაინომრა, მკვეთრად განისაზღვრა თითოეული მათგანის უნიკალობა და სამკურნალო შესაძლებლობები – რის ცოდნაც საირმეში მოხვედრილ ყოველ ადამიანს ესაჭიროება. არსებობს რამდენიმე ტიპის სამკურნალო, სუფრის (პროფილაქტიკური) ანუ ყოველდღიური და სამკურნალო – პროფილაქტიკური მინერალური წყლები.

საირმის წყლის მოხმარება 1893 წლიდან დაიწყეს. თავდაპირველად ხალხში უბრალოდ ხმა გავრცელდა აქაუროების სასწაულმოქმედი სამკურნალო თვისებების შესახებ. თუმცა, კურორტი საკმაოდ მოშორებული გახლდათ დასახლებული ადგილებიდან და იმ დროისთვის სრულიად მოუწყობელი, ამასთან, მიუდგომელი იყო. ვირებითა და ჯორებით, უგზოობაში თითო-ოროლა დამსვენებელი მაინც ახერხებდა საირმეში ასვლას. პატარა ხის სახლებში დამსვენებლები იქამდე რჩებოდნენ, სანამ სანოვაგე არ გამოელეოდათ.

იმ დროს საირმე ერისთავებს ეკუთვნოდათ, მაგრამ წარმოდგენაც არ ჰქონდათ, რა განძს ფლობდნენ და მით უმეტეს არ იცოდნენ, როგორ გამოეყენებინათ ეს უზღვავი სიმდიდრე. როდესაც ეს ყველაფერი გაიგეს, გვიან იყო – ყველაფერი, რაც ეკუთვნოდათ, წაართვეს და საბჭოთა ხალხის საკუთრებად გამოაცხადეს.

პირველი ქარხანა 1944-45 წლებში გაიხსნა. მინერალური წყალი პრიმიტიული გზით ისხმებოდა ფარდულებში, ხოლო საჭაპანო გზებითა და ცხენებით ბარში ჩამოჰქონდათ. 1949 წელს დაიწყო ქარხნის მშენებლობა, რომელიც 1954 წელს დამთავრდა. გაკეთდა სამანქანო გზაც. იმ დროს ქსელში გადიოდა 400.000 ცალი ლიტრიან ბოთლებში ჩამოსხმული დაუმუშავებელი წყალი. შემდგომ ქარხანა აღიჭურვა მილიონ-ნახევარი ბოთლის წარმოების სისტემით, თუმცა, ისიც პრიმიტიული იყო. 60-იან წლებში, მას შემდეგ, რაც ელექტროენერგია გაიყვანეს, საათში 3.000 ბოთლი ისხმებოდა. ეს ნახევრად ავტომატური წარმოება წელიწადში 1-3.5 მილიონ ბოთლ მინერალურ წყალს უშვებდა. თანდათან სისტემა კვლავ შეიცვალა და უფრო მოდერნიზებული გახდა. ჯერ ისხმებოდა 3-4 მილიონი ნახევარლიტრიანი ბოთლი, გაფართოების შემდეგ კი – 7-8 მილიონი ბოთლი. პროდუქცია საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა რეგიონში იგზავნებოდა და მილიონობით ადამიანის მოწონება ჰქონდა დამსახურებული. სოციალისტური სისტემის ნგრევას ქარხნის გაჩერება მოჰყვა. 1998 წლიდან, პრივატიზაციის შემდეგ, დაიწყო „საირმის“ ქარხნის მოდერნიზება, მომხმარებლისა და სახელის დაბრუნებაზე ზრუნვა. განახლდა არსებული შენობა-ნაგებობების ინტერიერი და ექსტერიერი.

2 წლის წინ კი საირმის ქარხანაში საფუძვლიანი ცვლილებების დრო დადგა. ამ ხნის მანძილზე ჩატარდა სრული რეინვენტარიზაცია, შეიცვალა საირმის მინერალური წყლის ჩამოსასხმელი მოწყობილობა, დამონტაჟდა იტალიური სისტემა, რომელიც მთლიანად აღჭურვილია ავტომატიზებული მოწყობილობებითა და კომპიუტერული ტექნიკით.

დღეისათვის შესაძლებელია იმ რაოდენობის პროდუქციის წარმოება, რაც რეინვენტარიზაციამდე საირმის ქარხანაში მთელი წლის მანძილზე იწარმოებოდა. ეს ახალი, 3 სახეობის პროდუქტსა და სხვადასხვა ლიტრაჟობის შეფუთვაზე განსაზღვრული საწარმოო ხაზის საშუალებით ხდება.

გარდა ამისა, სრულად განახლდა ლაბორატორია. კომპანიამ წყლის კვლევებისთვის ერთ-ერთი საუკეთესო გერმანული დანადგარი შეიძინა. მისი მეშვეობით რეგულარულად მოწმდება წყლის ხარისხი და მკაცრად კონტროლდება ჩამოსხმის პროცესი.

საქართველოს კურორტოლოგიისა და უროლოგიის ინსტიტუტის მიერ დადგენილია, რომ საირმის მინერალური წყალი უროლოგიური და გასტროენტეროლოგიური დაავადებების სამკურნალოდ მაღალი თერაპიული ეფექტიანობით გამოირჩევა. ამავე დროს, მნიშვნელოვანია, რომ მათი სწორად მიღება ვიცოდეთ, წინაამდეგ შემთხვევაში, მკურნალობა უშედეგო, ზოგ შემთხვევაში მავნეც შეიძლება აღმოჩნდეს.

როგორც უკვე გითხარით, სუფრის წყალი „საირმე“ შედარებით ახალი აღმოჩენაა. იგი მე-3ა და მე-8 წყაროებიდან მოიპოვება.




მისი შემადგენლობიდან გამომდინარე, სავსებით შესაძლებელია დიდი დოზით მიღება, რაც ადამიანის ჯანმრთელობაზე არანაირად არ იმოქმედებს. მეტიც, ენდოკრინოლოგ თამარ ზერეკიძის თქმით, თავისი შემადგენლობის მიხედვით თვით სამკურნალო წყალი „საირმეც“ თავისუფლად შეგვიძლია მივიღოთ ყოველდღიურად, თუმცა, მხოლოდ 1-2 ჭიქა.

რაც შეეხება სუფრის წყალ „საირმეს“, ის ნაკლებად მინერალიზებულია, გააჩნია მსუბუქი ფორმულირება და სწორედ ეს იძლევა მის ჩვეულებრივ სასმელ წყლად მოხმარების საშუალებას.

***ლიკა თეთრაძე**, მედიცინის აკადემიური დოქტორი, ენდოკრინოლოგი:*

– ქიმიური შემადგენლობის მიხედვით, „საირმის“ მინერალური წყალი წარმოდგენილია სამი ჯგუფით. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება პირველი, მესამე „ა“, მერვე წყაროებისა და 68-ე ჭაბურღილის ნახშირმჟავა, კაჟმჟავა, დაბალმინერალიზებული, ჰიდროკარბონატულ ნატრიუ-კალციუმიანი ცივი წყლები. აგრეთვე წყარო „ნამარნევი“ (სილამაზის წყარო), რომელიც ხასიათდება დაბალი მინერალიზაციით და დარიშხანის შემცველობით.

მეორე ჯგუფს მიეკუთვნება მესამე „ბ“ და მეშვიდე წყაროების ნახშირმჟავა, კაჟმჟავა, დაბალმინერალიზებული, ჰიდროკარბონატულ ნატრიუ-კალციუმიანი ცივი წყლები.

მესამე ჯგუფს კი მიეკუთვნება მეოთხე და მეხუთე ჭაბურღილების ნახშირმჟავა, კამჟავა საშუალო მინერალიზაციის ჰიდროკარბონატულ ნატრიუმიანი ცივი წყლები.

აქედან გამომდინარე, „საირმის“ მიღება შესაძლებელია როგორც სამკურნალო, ასევე პროფილაქტიკის მიზნით. სუფრის წყალი საირმე კი ნაკლებ მინერალებს შეიცავს და ეს შესაძლებელს ხდის მის ყოველდღიურად, შედარებით დიდი დოზით მიღებას.

მოკლედ, „საირმე“ უკვე გაყიდვაშია და ნებისმიერ მსურველს საშუალება აქვს მისი შეძენის და დაგემოვნების. თუ როდის და სად შეგიძლიათ შეიძინოთ ეს გემრიელი წყალი, ამის თაობაზე კომპანია „საირმის“ მარკეტინგის მენეჯერ სანდრო ლომთაძეს დავუკავშირდით:

***– როდის ჩამოისხა პირველად სუფრის წყალი „საირმე“ და საიდან მოხდა მისი მოძიება?***

– 2011 წლის ზაფხულში. ეს არის ორი წყაროს კუპაჟი. საირმეში ძალიან ბევრი წყაროა და ყველა სხვადასხვა დანიშნულებას შეიცავს. 3-ა და მე-8 წყაროების კუპაჟმა კი მოგვცა საშუალება, სუფრის წყალი „საირმე“ ჩამოგვესხა.

***– საზოგადოებაში გავრცელებული აზრით, „საირმე“ მხოლოდ სამკურნალო წყალი ჰგონიათ. გამოდის, ეს აზრი მცდარია.***

– ნამდვილად. ეს არის ჩვეულებრივი მინერალური წყალი მსუბუქი ფორმულით. საზოგადოებაში გავრცელებული ცრურწმენა, რომ ეს წყალი მხოლოდ სამკურნალოდ გამოიყენება, არასწორია. როგორც გითხარით, საირმეში ძალიან ბევრი წყალი ამოდის. სამკურნალო წყლები კი მხოლოდ კურორტ საირმეშია, მის მიმდებარე ტერიტორიაზე კი ისეთი წყლებია, რომლის მიღებაც ჩვეულებრივ არის შესაძლებელი. ეს წყალი არის სასიამოვნოდ და მსუბუქად მისაღები. სწორედ ამის ხარჯზე აქვს უპირატესობა სხვა კონკურენტ წყლებთან. კიდევ უფრო მეტი უპირატესობა ის აქვს, რომ შეიცავს განსხვავებულ მინერალებს და ეს მინერალები დაბალანსებულია. გარდა ამისა, სუფრის წყალი „საირმე“ ხელს უწყობს ნივთიერებათა ცვლას.

***– კონკრეტულად რომელი მინერალია განსხვავებული?***

– სელენი, რომელიც იდეალურია ორგანიზმისთვის.

***– რა სახით მიიღებს ამ წყალს მომხმარებელი?***

– სუფრის წყალი „საირმე“ ორი ტიპის იქნება – „საირმე“, რომელიც 0,3 და 0,5- ლიტრიანი ტევადობის ბოთლების გარდა, 5,5 და 1-ლიტრიანი ტევადობის ეგრეთ წოდებულ პლასტმასის ბოთლებში იქნება და „საირმის ნაკადული“, რომელიც შუშის 0,5-ლიტრიან ბოთლსა და პლასტმასის 0,5 და 1,5-ლიტრიან ბოთლებში იქნება.

***– ეს წყლები ყველა ქსელში იქნება თუ სპეციალური ჯიხურებსა და მაღაზიებში?***

– სპეციალური ჯიხურების დადგმას არ ვგეგმავთ. მომხმარებელს შეეძლება, ყველა ხელმისაწვდომ ადგილზე შეიძინოს ჩვენი წყალი.

**ასე რომ, მოითხოვეთ და მიირთვით „საირმე“ ყოველდღიურად!**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რატომ არის სომხეთში საწვავი უფრო იაფი

შორენა გონგლაძე

არჩევნების მოახლოებასთან ერთად ოპოზიციური პარტიებისა და ე.წ. ექსპერტებისათვის ყველაზე მსუყე თემა საწვავის ფასებს უკავშირდება. საქართველოს შემდეგ ჯერი მეზობელ ქვეყნებში არსებულ ფასებზე მიდგა. მაგალითად, ბოლო პერიოდში გააქტიურდა სომხეთის თემა თანდართული კითხვებით, რატომ არის სომხეთში საწვავზე გაცილებით დაბალი ფასი, მაშინ როდესაც სომხეთში საწვავი საქართველოს გავლით შედის. სწორედ ამ კითხვით კომპეტენტური პასუხის მისაღებად ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარე **ვანო მთვრალაშვილს** მივმართეთ.



***— ბატონო ვანო, რატომაა სომხეთში უფრო იაფი საწვავი, ჩვენთან შედარებით, ამ კითხვაზე პასუხის რამდენიმე ვარიანტი არსებობს. იქნებ გაგვარკვიოთ, რეალურად რა ხდება?***

— სომხეთში ფასწარმოქმნის პროცესზე სხვადასხვა ფაქტორი ახდენს გავლენას. შესაბამისად, შევეცდებით, მოკლედ შევეხოთ თითოეულ მათგანს: სომხეთში პროდუქცია რუსეთიდან, ირანიდან სერიოზული ფასდაკლებით შედის საერთაშორისო ფასთან შედარებით, ისევე, როგორც ბუნებრივი აირი.

მნიშვნელოვანია ადმინისტრირების საკითხი. საქართველოში დღეისათვის ადგილობრივ ბაზარზე საერთოდ არ იყიდება აღურიცხავი კონტრაბანდული საწვავი. არ ხდება პროდუქციის ფალსიფიკაცია. საწვავის თითოეული რეალიზებული ლიტრი დეკლარირებულია და, შესაბამისად, ყველანაირი სახელმწიფო გადასახადი გადახდილია. რაც შეეხება სომხეთს, იქ სიტუაცია განსხვავებულია. თუნდაც მოვიყვანოთ ნოვოსტინკ.რუ-ზე გამოქვეყნებული სტატია, სადაც საუბარია, რომ სომხეთში უხარისხო ბენზინი იყიდება, ავტოგასამართ სადგურებზე ხდება ბენზინის განზავება ირანიდან შემოტანილი გაურკვეველი წარმოშობის სითხით. სტატიაში ცალსახადაა აღნიშნული, რომ სწორედ ესაა მიზეზი იმისა, რომ სომხეთში საწვავის ფასი, საქართველოსთან შედარებით, იაფია. თუმცა, აქვე აღნიშნავენ, რომ საქართველოში რეალიზებული საწვავის ხარისხი გაცილებით უკეთესია. აქვე შედარებისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ საწვავის იმპორტის სტატისტიკა. 2011 წელს სომხეთში იმპორტირებულ იქნა 358 ათასი ტონა ბენზინი და დიზელის საწვავი, მაშინ როცა საქართველოში იმპორტმა შეადგინა 780 ათასი ტონა. შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტში სომხეთში გასულ წელს შევიდა 100 მლნ ლარამდე, ხოლო საქართველოში – 450 მლნ ლარამდე. ამ სტატისტიკურ მონაცემებზე დასკვნების გაკეთება თქვენთვის მოგვინდვია. ასევე უნდა აღინიშნოს ავტოგასამართი სადგურების ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხი. დღეისათვის საქართველოში ავტოგასამართი სადგურების ინფრასტრუქტურა და მასთან არსებული სერვისი, შეიძლება ითქვას, რომ დასავლეთევროპულ მოთხოვნებს აკმაყოფილებს, რასაც, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით სომხურ ავტოგასამართ სადგურებზე. უნდა გამოიყოს საგადასახადო კანონმდებლობის საკითხიც. სომხეთში მნიშვნელოვნად ნაკლებია საწვავის იმპორტზე გადასახადი, საქართველოსთან შედარებით, განსაკუთრებით კი – დიზელის საწვავზე.

დღეისათვის სომხეთში 1 ლიტრი სუპერი მარკის ბენზინი ღირს 540 დრამი (2,28 ლარი) , პრემიუმი – 510 დრამი (2,15 ლარი), რეგულარი – 490 დრამი (2,07 ლარი). 1 ლიტრი დიზელის ფასმა კი 460 დრამს (1,94 ლარი) მიაღწია. 2012 წლის დასაწყისიდან სომხეთში ბენზინის ფასი უკვე ოთხჯერ გაიზარდა. დღეისათვის სომხეთში საწვავის ფასი, ჩვენთან შედარებით, 10-13 თეთრით ნაკლებია. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სომხეთში მოქმედებს 6 ქსელური კომპანია, რომელთაც საწვავის ფასი აბსოლუტურად იდენტური აქვთ (იხილეთ დანართი 3), განსხვავებით ჩვენთან მოქმედი ქსელური კომპანიებისა. შესაბამისად, სომხეთში ფასების მატება და კლება ერთსა და იმავე დროს ხდება.

***— აზერბაიჯანში რა ფასებია საწვავზე?***

— აზერბაიჯანში: 93 ოქტანობის ბენზინი – 0.55 გეპიკი ანუ 1.15 ლარი/ლიტრზე; აზერბაიჯანული პრემიუმის ტიპის ბენზინი – 0.60 გეპიკი ანუ 1.30 ლარი/ლიტრზე; სუპერი – 1.5 მანათი ანუ 3.15 ლარი/ლიტრზე; დიზელი – 0.45 გეპიკი ანუ 1 ლარი/ლიტრზე. მიზეზი იმისა, რომ აზერბაიჯანში იქაური წარმოშობის საწვავი მეტისმეტად იაფია, მდგომარეობს შემდეგში: აზერბაიჯანი გახლავთ ნავთობმომპოვებელი ქვეყანა და, შესაბამისად, საწვავი სახელმწიფოს მხრიდან დოტაციურია და გაცილებით იაფად მიეწოდება ადგილობრივ მოსახლეობას იმპორტიორ ქვეყნებთან შედარებით. რაც შეეხება სუპერის ტიპის ბენზინის სიძვირეს, ეს განპირობებულია იმით, რომ აღნიშნული პროდუქტი აზერბაიჯანში არ იწარმოება და მისი იმპორტი ხდება ევროპული ქვეყნებიდან. აზერბაიჯანი საქართველოში, ევროპასა და თურქეთში პროდუქტს ყიდის საერთაშორისო ფასის „ლატტს"-ის მიხედვით და ეს მრავალი წლის განმავლობაში ასე ხდება.

***— რა ვითარებაა საწვავის ფასთან დაკავშირებით?***

— 29 მარტის მდგომარეობით, „ლატტს"-ის მიხედვით, 92 მარკის რეგულარი ტიპის ბენზინის საერთაშორისო ფასი შეადგენს 1209 დოლარს/ტონაზე. წლის დასაწყისიდან ის გაზრდილია 270 დოლარით ტონაზე ანუ დაახლოებით 23 %-ით. საქართველოს საცალო ქსელში ფასების კორექტირება მიმდინარე წელს მოხდა მხოლოდ 3-ჯერ 5-5 თეთრით ლიტრზე ანუ დაახლოებით 8%-ით. აქედან გამომდინარე, გვინდა ვთქვათ, რომ საქართველოში არ დაფიქსირებულა საწვავის ფასების იდენტური ზრდა საერთაშორისო ფასების მატებისა და ეს არც მყისიერად მომხდარა. მთელი სამი თვეა, საერთაშორისო ფასი ნავთობპროდუქტებზე ძირითადად მატულობს, ჩვენთან კი მხოლოდ სამჯერ გაიზარდა საწვავის ფასი. საერთაშორისო ბაზრებზე 2, 3 და თუნდაც 5-დღიანი კლება არასდროს იწვევს არც ერთ ქვეყანაში ფასების კლებას.

# სად დაუშვა საბედისწერო შეცდომა სააკაშვილმა?

## „სააკაშვილმა საკონსტიტუციო ცვლილებით ივანიშვილი რეალურად საკუთარ თავს გაუთანაბრა"

თამარ ნინიძე

თუ როგორ და რა გზით შეეძლო მიხეილ სააკაშვილს ამერიკის კეთილგანწყობის შენარჩუნება და შიგნით საზოგადოებაში მომხრეების მოპოვება, ამის შესახებ „ახალ თაობას" პოლიტიკური ექსპერტი **ხათუნა ლაგაზიძე** ესაუბრა.

***— ივანიშვილისთვის მოქალაქეობაზე უარის თქმა დღეს ყველაზე აქტუალური თემაა. როგორ ფიქრობთ, რა იყო უარის თქმის მიზეზი?***

— დავიწყოთ იმით, რომ ეს იყო პოლიტიკური მიზეზი. მიხეილ სააკაშვილისთვის მთავარი იყო საზოგადოების თვალში, საუბარია საკუთარ ამომრჩეველზე, მომხრეებსა და გუნდზე, არ წარმდგარიყო დამარცხებულის როლში, პოზიციები არ დაეთმო არჩევნებამდე ექვსი თვით ადრე. მას შემდეგ, რაც ივანიშვილის გუნდმა გამარჯვებამდე დარჩენილი დღეების ათვლა დაიწყო, რეფრენით: აბა, გაბედოს და არ მომცეს მოქალაქეობაო, ლამის საერთო ეროვნული ფალავნის გამოვლენის რანგში გადავიდა მოქალაქეობის საკითხი. ძალიან მნიშვნელოვანი იყო აშშ-ს მყისიერი რეაქცია იმიტომ, რომ ფაქტობრივად ამერიკა ღიად არასდროს არავის უჭერდა მხარს, მაგრამ ვისკენ იყო სიმპათიები, ეს ყველაფრით ჩანდა და ბასის განცხადება გაკეთებული საჯარო რეესტრის მიერ ივანიშვილისთვის მოქალაქეობაზე უარის თქმისთანავე, მიმართული იყო იმისკენ, რომ სულ მცირე ივანიშვილი შემოეყვანა პოლიტიკურ მოედანზე საბრძოლველად. მიუხედავად იმისა, რომ აშშ ღიად მხარს არავის უჭერს, მის ინტერესშია, რომ 2012 წლის არჩევნები საქართველოში შედგეს ისე, რომ მასში მონაწილეობა მიიღონ რეალურმა პოლიტიკურმა ძალებმა. მათ საქართველოში ორი რამ სჭირდებათ: სტაბილურობა და მათთვის მისაღები პარტნიორი და ამ შემთხვევაში ივანიშვილის შემოსვლა პოლიტიკაში მათთვის სწორედ იმის გარანტიაა, რომ, ერთი მხრივ, ეს დაწევს სოციალური აფეთქების ალბათობას და, მეორე მხრივ, შეიძენენ ლოგიკურ, მათთვის კომფორტულ პარტნიორს. რაც შეეხება უშუალოდ მოქალაქეობის საკითხს: „ქრისტიან-დემოკრატების ინიციატივის" სახით ხელისუფლება ფაქტობრივად ივანიშვილს მოქალაქეობას აძლევს, უბრალოდ, არ არქმევს „მოქალაქის" სახელს. „ივანიშვილის" საკონსტიტუციო შესწორების თანახმად, მას შინაარსობრივად მოქალაქეობის ყველა ნიშანი და უფლება ენიჭება. და აქ კიდევ ერთხელ აშშ-ის საელჩოს უაღრესად აქტიურ როლზე: თავდაპირველად ეს ცვლილება ივანიშვილისთვის მხოლოდ პარლამენტარობის უფლების მიცემას ითვალისწინებდა და არამც და არამც პრემიერ-მინისტრობის, რასაც ხელისუფლების განცხადებები მოწმობდა. თუმცა სულ რამდენიმე საათში, ხელისუფლების იგივე წარმომადგენლები რადიკალურად ცვლიან პოზიციას და ერთმანეთზე მიყოლებით ახმოვანებენ, რომ ივანიშვილს ნებისმიერი არჩევითი თუ დანიშვნითი თანამდებობის დაკავების უფლება ეძლევა.

***— რა იმალება ამის უკან, სახელის დარქმევას წინ რა უდგას?***

— ერთადერთი მიზეზი – ამას არ დაერქვას მოქალაქეობის მიცემა და საკუთარი მარცხის ცნობა. ივანიშვილისთვის მოქალაქეობის მიცემის ხანგრძლივი პროცედურა ისე წარიმართა, რომ ტოლობის ნიშანი დაისვა მოქალაქეობის მიცემასა და მარცხს შორის. ეს სუფთა პიარული, ტექნოლოგიური საკითხია: გათვლა გაკეთდა რიგით ამომრჩეველზე – ამომრჩევლის უმრავლესობამ იცის, რომ ივანიშვილს მოქალაქეობა არ მიეცა, მაგრამ ის, რომ მას საკონსტიტუციო ცვლილებებით გზა გაეხსნა, რომ ქვეყნის მმართველობაში მოვიდეს, იგივე ამომრჩევლის 90%-ს არ ეცოდინება.

***— ჯონ ბასის განცხადება ახსენეთ, მან ბოლო დროს უამრავი კრიტიკული განცხადება გააკეთა, მათ შორის ხელისუფლების მიერ მართულ ელექტრონულ მედიაზე, რომელი განცხადება გქონდათ მხედველობაში? აქვე სააკაშვილის მიერ დასავლეთის წამყვანი ქვეყნების ელჩების მძაფრი კრიტიკა ხომ არ უკავშირდება ივანიშვილის პერსონის მიმართ ამ ინტერესს?***

— ჯონ ბასის პოზიცია განსაკუთრებით საინტერესო გახდა იმდენად, რამდენადაც ის არ ატარებს ფრაგმენტულ ხასიათს და უკვე სისტემური „დაჟინებული" რჩევის თუ ხალხურად რომ ვთქვათ, ზეწოლის ხასიათს იძენს. მე მის განცხადებებში გამოვყოფდი ორ უმნიშვნელოვანეს მომენტს. პირველი: მან დიპლომატიურ ენაზე ფაქტობრივად თქვა, რომ ქართული საერთო ნაციონალური ელექტრონული მედია ანუ უბრალოდ რომ ვთქვათ, ტელევიზიები, არის არაადეკვატური. მან თქვა, რომ ეს მედია განსაკუთრებულ დაკვირვებას საჭიროებს წინასაარჩევნო პროცესშიო ანუ ფაქტობრივად, უმკაცრეს კონტროლზე აიყვანა სახელისუფლო საინფორმაციო სივრცე. ეს ფაქტობრივად, სახელმწიფო ტელევიზიებისთვის და მათ მიერ გავრცელებული პიარისთვის უნდობლობის გამოცხადების ტოლფასია. და მეორე: ბასმა თქვა, რომ წინასაარჩევნო პროცესი განსაზღვრავს არჩევნების რეალურ შედეგს და არა მხოლოდ უშუალოდ არჩევნების დღე. და ამიტომ, აშშ განსაკუთრებული ინტენსივობით დააკვირდება მთელ არჩევნებამდე დარჩენილ პერიოდს. ბასის ეს განცხადება რატომღაც ყურადღების გარეშე დარჩა, არადა, სწორედ ამ განცხადებამ გასცა პასუხი იმ კითხვაზე, რომელიც აქამდე ჰაერში იყო გამოკიდებული: აშშ-ს ნამდვილად სურს საქართველოში რეალური არჩევნების ჩატარება, რომელიც ზუსტად ასახავს ამომრჩეველში არსებულ განწყობებს თუ მხოლოდ ქართულ საზოგადოებაში აშშ-ის ობიექტური იმიჯის რეაბილიტაციისთვის ილვწის. წინასაარჩევნო პროცესში მოიგება არჩევნები და არა უშუალოდ არჩევნების დღეს. გამოდის, რომ მთელი წინასაარჩევნო პროცესი ამერიკის „დაჟინებული" მონიტორინგის ქვეშ წარიმართება, რაც დიდწილად იქნება არჩევნების ობიექტურობის გარანტი. გასაგებია ამ დროს ხელისუფლების რეაქცია ამერიკის ასეთ პოზიციაზე.

სულ ვფიქრობდი, სად დაუშვა სააკაშვილმა შეცდომა იგივე აშშ-სთან ურთიერთობაში, რა შეეძლო გაეკეთებინა ივანიშვილის პოლიტიკაში შემოსვლის შემდეგ, რომ მას შეენარჩუნებინა როგორც ამერიკის კეთილგანწყობა, ასევე შიგნით საზოგადოებაში მოეპოვებინა მომხრეები. მარტივი იყო ეს გზა, ამ გადმოსახედიდან, თუმცა აბსოლუტურად არ ჯდება „ნაციონალების" მართვის სტილში: მათ გაუჭირდათ საკუთარი მართვის სტილზე და იმ პოლიტიკურ ტექნოლოგიებზე უარის თქმა, რომელიც მათ ჰქონდათ 2003 წლიდან დღემდე. ივანიშვილის პოლიტიკური განაცხადის შემდეგ უნდა გამოსულიყო სააკაშვილი და ეთქვა: ჩვენ გვაქვს ერთად მუშაობის ძალზე ეფექტური გამოცდილება, შენ ხარ ის ადამიანი, რომელთან ერთადაც წლების განმავლობაში ქვეყანაში რეფორმებს ვატარებდი და ვისი ფინანსური დახმარებითაც ქვეყანა ვმართე, მერე მოხდა აზრთა გარკვეული სხვადასხვაობა ჩვენ შორის, იყო შეცდომებიც ჩემს პოლიტიკაში, მაგრამ ჩვენ გვაქვს რესურსი, ისევ ერთად ვაკეთოთ ქვეყნისთვის სასიკეთო საქმე და კვლავ ერთად ვმართოთ ეს ქვეყანა, დავსხდეთ და გამოვნახოთ საერთო ენა ამ მიზნისთვის. რა გზა რჩებოდა ასეთ შემთხვევაში ივანიშვილს?! მას, ფაქტობრივად, მოტივი აღარ რჩებოდა შემდგომი ოპოზიციური მოქმედებებისთვის... თუკი სააკაშვილი შესთავაზებდა: მოდი, გავაერთიანოთ ჩვენი ნააზრევი, ძალისხმევა და გამოცდილება და ახალი სისხლი გადავუსხათ ხელისუფლებას, ივანიშვილი ფაქტობრივად განეიტრალდებოდა – რა მოტივით იტყოდა იგი უარს? დასავლეთის თვალში ეს იქნებოდა სააკაშვილის რეინკარნაცია. იგი იქნებოდა პირველი ადამიანი, რომელმაც რეალურად ერთადერთმა პოსტსაბჭოთა სივრცეში შეძლო და დაამკვიდრა დემოკრატია: თვითონ შემოუშვა ალტერნატიული ძალა ხელისუფლებაში. თავიდან იქნებოდა აცილებული ორად გაყოფილი საზოგადოება, რადიკალიზაცია და პოლარიზება. ელექტორატის დიდი ნაწილისთვისაც ეს იქნებოდა ძალიან სერიოზული ნიშანი იმისა, რომ ხელისუფლებასთან თანამშრომლობა შეიძლება და შემცირებული ოპოზიციური ნიშა კვლავ დარჩებოდა გამოკვეთილი ლიდერის გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილის გუნდში ბევრი უმაღლესი კლასის პოლიტტექნოლოგია, ისინი 2003 წლიდან დღემდე მოყოლებული მათ მიერვე შექმნილი პოლიტიკური მართვის სტილის ჩარჩოებიდან ვერ გამოვიდნენ. შემოქმედებითი მუხტის ნაკლებობა – ეს არის ის მთავარი ნიშანი, რაც „ნაციონალების" 2012 წლის საარჩევნო კამპანიას ახასიათებს და რაც მათი პრობლემების სათავეა. იდეალური გამოსავალი იქნებოდა მიხეილ სააკაშვილის იმიჯისთვისაც. მიუხედავად 2008 წლის ომისა და კიდევ ბევრი დაშვებული შეცდომისა, ის საქართველოს ისტორიაში დარჩებოდა როგორც ერთ-ერთი დიდი მმართველი, რომელმაც შეძლო ქვეყნის სრულიად ახალი განვითარების გზაზე გაყვანა. მას ჰქონდა ეს უნიკალური შანსი და მან ჯერჯერობით ეს ვერ გამოიყენა.

***— თქვენი ამ მოსაზრების საწინააღმდეგოა სწორედ ის ნაბიჯები, რომელიც ხელისუფლებამ უკვე გადადგა ივანიშვილის წინააღმდეგ, მაგალითად, საბანკო სისტემაში ცვლილება შეიტანა და „ქართუ" ბანკს დარტყმა მიაყენა, პარტიების დაფინანსების წესის მორგება ერთ ადამიანზე და ეს ყბადაღებული მოქალაქეობის საკითხი. იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ დასავლეთის საწინააღმდეგოდაც კი ყველა საშუალებით ცდილობს სააკაშვილი დარჩეს ხელისუფლებაში.***



— ჩავთვალოთ, რომ ივანიშვილმა დაგეგმილი საკონსტიტუციო ცვლილებებით ფაქტობრივად მოქალაქეობა მიიღო. ივანიშვილისთვის მოქალაქეობის მიცემა გაცილებით დაბალი რეგისტრის მოვლენა იქნებოდა, ვიდრე ის, რომ ივანიშვილისთვის კონსტიტუციას ცვლიან. სააკაშვილმა ამ გადაწყვეტილებით რეალურად საკუთარ თავს გაუთანაბრა ივანიშვილი ანუ ქართულ რეალობაში იმ პირის სტატუსი მიანიჭა, რომლისთვისაც კონსტიტუცია შეიძლება შეიცვალოს: 2003 წლიდან საქართველოში კონსტიტუცია იცვლებოდა მარტო სააკაშვილისთვის, სააკაშვილმა თვითონ დაუშვა პრეცედენტი, რომ კონსტიტუციას ცვლის ივანიშვილზე მოსარგებად. მე რომ მკითხოთ, ეს კიდევ ერთი დიდი შეცდომაა, ისევე როგორც თავის დროზე მოქალაქეობის ჩამორთმევა. როგორც ერთ, ასევე მეორე შემთხვევაში ეს იმ შოკის ეფექტია, რაც ივანიშვილის პოლიტიკაში შემოსვლას მოჰყვა. როგორ მიიღებს ამას ივანიშვილის გუნდი, ვერ გეტყვით, მაგრამ ეს რეალურად გამარჯვებაა და მერე როგორი – არა რუტინული ადმინისტრაციული აქტი – მოქალაქეობის მინიჭება, არამედ კონსტიტუციის ცვლილება ბიძინა ივანიშვილისთვის სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობის მიღების უზრუნველსაყოფად!

***— მედიაომი ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლისთანავე დაიწყო, გლობალტივის რომელიც ივანიშვილის საკაბელო ტელევიზიაა, ულირსად ებრძვიან, „იმედმა" და „რუსთავი 2"-მა „გლობალთან" ხელშეკრულება შეწყვიტეს. ივანიშვილს „მეცხრე არხის" ჩამოყალიბებაში ხელს უშლიან. პატარკაციშვილის მწარე მაგალითი აქვთ და იმიტომ ებრძვიან განსაკუთრებით ოპონენტის მედიას?***

— თბილისისა და რეგიონების მოსახლეობის ინფორმირებულობის ხარისხი მკვეთრად განხვავებულია. თუ მოსახლეობის ინფორმირებულობის დონე რეგიონებში ისევ ისეთი დარჩა, როგორც ახლაა, „ქართულ ოცნებას" რეგიონებში ძალიან გაუჭირდება. ამ საკითხში გადამწყვეტი როლი ეკისრება ტელევიზიებს და ხალხთან მუშაობასაც. "ნაციონალებისთვის" უმთავრესია ამ საინფორმაციო ვაკუუმის შენარჩუნება რეგიონებში. ხსენებული საკონსტიტუციო ცვლილება კარგი ფორაა ივანიშვილისთვის, თუმცა იგი, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ არ გამოკვეთს არჩევნებში გამარჯვებულს. „ნაციონალებს" სხვათა შორის აქვთ ერთი დადებითი თვისება: ისინი ბოლომდე იბრძვიან და მით უფრო ახლა, დარწმუნებული ვარ, ბოლომდე იბრძოლებენ. დარჩენილ დროში ჩვენ ძალზე დაძაბული ბრძოლის მოწმენი ვიქნებით და ბევრი რამ აქ ივანიშვილის გუნდის სტრატეგიასა და პიარტაქტიკაზეა დამოკიდებული.

***— გოგი თოფაძე შევიდა „ქართულ ოცნებაში" თავის პარტიასთან ერთად, მან ინიციატივა წამოაყენა, უშუამდგომლოს ბურჯანაძეს ივანიშვილთან. რა მოჰყვება ამ ინიციატივას?***

— ცხადია ერთი: კოალიციის ფარგლებში თუ გარეთ მათი ტაქტიკა სასურველია, რომ ურთიერთშეთანხმებული და არა გამომრიცხავი იყოს. მთავარი საფრთხე, რის გამოც ივანიშვილი თავს არიდებს ბურჯანაძესთან თანამშრომლობას, ეს არის პრორუსულობის თემის გამწვავება და მისი დაკავშირება ივანიშვილთან: დღემდე ამის ფაქტობრივი მტკიცებულება ვერავინ წარმოადგინა და გამომდინარე იქიდან, რომ ბურჯანაძე პუტინს შეხვდა, ამას გამოიყენებენ სწორედ ივანიშვილის „პრორუსულობის" ფაქტობრივ მტკიცებულებად.

# „რობერტო კავალი“ თბილისში შემოვიდა

ნათია ხურცილავა

– არ დარჩე შეუმჩნეველი – ასეთია ახალი სუნამოს მთავარი დევიზი, რომლის ავტორიც მოდის სამყაროს მნიშვნელოვანი ფიგურა რობერტო კავალია.

რობერტო კავალის სუნამოს საქართველოში პარფიუმერულ მაღაზიათა ქსელი „ისი–პარი“ გთავაზობთ.

„ისი–პარი“ თავის მომხმარებელს, შეიძლება ვთქვათ, რომ მორიგ დღესასწაულს უწყობს, რადგან – ზოგიერთი ქალი ელოდება, რომ მას შეამჩნევენ, ის არ რჩება შეუმჩნეველი! ნუ ჩაივლი შეუმჩნეველი – იპკურე სუნამო რობერტო კავალისაგან. – ასეთია სუნამო, რომელიც უკვე საქართველოშია.

– ამ სუნამოს შექმნა რობერტო კავალის ხელმეორედ დაბადება არის. ჩვენ ბევრს ვმუშაობდით, რათა მიგვეღწია საბოლოო არომატისთვის. შედეგი წარმოუდგენლად კარგია. ეს არის სრულყოფილი წვეთი სუნამოსი და ყოველ ქალს, რომელსაც უყვარს ჩვენი მოდის სახლი, სურვილი ექნება შეიგრძნოს ჩვენი სამყაროს ნაწილი. მე ყოველთვის ვამბობდი, რომ გარკვეული შემთხვევისთვის სწორად შერჩეულმა სამოსმა შეიძლება სრულიად შეცვალოს ქალის ცხოვრება. კავალის კაბა, ერთი წვეთი კავალის სუნამო და ძლიერი ინდივიდუალიზმი არის პირობა, რომ ქალი შეუმჩნეველი ვერ ჩაივლის. – ამბობს რობერტო კავალი.

რობერტო კავალის სუნამო მიეკუთვნება ამბრისებრ–ყვავილოვან არომატთა ოჯახს. ეს არის მდიდარი და ნათელი, რომლის ვარდისფერი წიწაკით გაჯერებული ზედა ნოტები ხაზს უსვამენ ხასიათის სიძლიერეს.




რობერტო კავალის სუნამოს გულის ნოტში იპოვით ფორთოხლის ყვავილის აბსოლუტურ დიდებულებას. ეს არის სურნელი, რომელიც ამჟღავნებს ულტრა ქალურ შარმს და არავის ტოვებს გულგრილს.

სუნამოს საბოლოო მგრძნობელობა განპირობებულია ტონკას მარცვლების მომაჯადოებელი არომატით. კანზე მადის აღმძვრელი და არსებითად გამომწვევი კვალი რჩება.

ინგლისელი პარფიუმერი ლუისა ტურნერი არის ავტორი კავალის სუნამოსი, რომელიც დიზაინერის ხელწერას წარმოადგენს.

სუნამოს შინაარსთან ერთად მომხიბლავ, საკმაოდ მდიდრულ კომპოზიციას ქმნის თავად სუნამოს ფლაკონი.

სუნამოს ფლაკონის ფორმა გრძნობადი ქალის ვნებიანი სხეულის ფორმის გამოძახილია. ფლაკონის მყარი ძირი ასოცირდება კავალის ქალის ძლიერ ხასიათთან. თავსახურად ფლაკონს დიადემასავით ამშვენებს თავად რობერტო კავალის ოქროსფერი ბეჭედი, საყელოს კი დიზაინერის ემბლემად ქცეული ვეფხის ტყავისებრი ანაბეჭდი.

რობერტო კავალი თბილისს სტუმრობდა. რა შეგვიძლია მასზე ვთქვათ?

რობერტო კავალი ფლორენციაში 1940 წლის 15 ნოემბერს დაიბადა. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს ის არ იზრდებოდა მოდის გარემოცვაში, მაგრამ ოჯახისთვის ახლობელი იყო მხატვრობა, ფერები და ფუნჯები. ბაბუა ჯუზეპე როსსი მე–19 საუკუნის ცნობილი მხატვარი იყო, რომლის ნამუშევრები ფლორენციაში – უფიცას გალერეაში იყო წარმოდგენილი. ამან განაპირობა, რომ რობერტო კავალიმ ხელოვნების განხრით მიიღო განათლება, მაგრამ ხატვის მხრივ დიდ დროს მოლბერტის წინ კი არ ატარებდა, არამედ ქსოვილის შექმნის, მასზე ხატვის ტექნიკამ და ხელოვნებამ გაიტაცა. მისი წარმატება 1970 წლიდან იწყება, როდესაც წარმოადგინა ჩვენება მინი კაბებით, მოხატული ტყავის მაქსი პალტოებით და ჯინსებით.

რობერტო კავალი სწრაფად გახდა ყველაზე პოპულარული სავაჭრო მარკა არა მხოლოდ ევროპაში, არამედ ამერიკაში.

რობერტო კავალი 90–იან წლებში მოდის მთავარ ვარსკვლავად ითვლებოდა. მან დაამკვიდრა ტანსაცმელსა და აქსესუარებში ვეფხის ტყავისებრი ანაბეჭდი ასევე ჯინსის ქსოვილში ლიკრის ფიბრის შერევა, რამაც ჯინსის სამოსი დამყოლი და წელვადი გახადა.

რობერტო კავალი დაქორწინებულია ევა დურინგერზე, რომელიც მის ავსტრია იყო და 1977 წელის მის სამყაროს მეორე ადგილის მფლობელი. სწორედ ამ კონკურსზე გაიცნო რობერტო კავალიმ მისი მომავალი მეუღლე, რომელიც უკვე 30 წელია კავალის მოდის სახლის თანავტორი და ბიზნესპარტნიორია.

როგორც ცნობილია, რობერტო კავალიმ პირველი ბუტიკი 1972 წელს სენ-ტროპეში გახსნა. დღეს მათი რაოდენობა მთელ მსოფლიოში 40-ს აღემატება.

კავალის ბიზნესი მხოლოდ მოდის სახლით არ შემოიფარგლება. დიზაინერმა, რომელიც ცნობილია კარგი დასვენების, გართობისა და მხიარულების დიდ მოტრფიალედ 2001 წელს ფლორენციაში გახსნა ყველაზე პოპულარული და პრესტიჟული კაფე, მას მოჰყვა 2002 წელს კაფე მილანში, კლუბი ფლორენციასა და დუბაიში. თითოეულ მათგანს დიზაინერის ხელწერა ატყვია.

რობერტო კავალის ელჩები მოდის სამყაროში არიან შერონ სტოუნი, მადონა, სინდი კროუფორდი, დემი მური, კეტრინ ზეტა ჯონსი, გვინეტ პელტროუ, ბიონსე, ლენი კრავიტსი, შარლიზ სტერონი, ვიქტორია ბექჰემი და სხვანი.

რობერტო კავალის სავაჭრო მარკა რამდენიმე ხაზს მოიცავს, მათ შორის ბავშვებისთვის, ასევე სათვალეები, აქსესუარები და პარფიუმერია.

რობერტო კავალის აქვს თავისი ვენახები, შესაბამისად ის ასხამს ღვინოსა და არაყს. ასევე აქვს შოკოლადის ქარხანა.

რობერტო კავალის სუნამოს პრეზენტაციაზე, რომელიც დიზაინერის შესაფერისი გრანდიოზულობით ჩატარდა წარმოდგენილი იყო კავალის სამარკო ნიშნით არაყი და შოკოლადი.

**ხატია შამუგია, პარფიუმერული კომპანია „ისი–პარის“ წარმომადგენელი:**

– რობერტო კავალის სუნამოს შექმნას თავად ასე უწოდა: კავალის დაბადება. რობერტო კავალის სუნამოს ლიცანზია ძალიან ცნობილმა, გლობალურმა, პარფიუმერულმა გიგანტმა კომპანიამ „კოწი ჯგუფმა“ იყიდა. „კოწი ჯგუფი“ მოიცავს ისეთ სუნამოებს, როგორიც არის მარკ ჯაკობსი, ქლოე, ვალენსიაგა, ლანკასტერი, კელვინ კლაინი, იუპი, ჯილ სანდერი, დავიდოვი, ვერა ვანგი, ჩერუტი. შარშან, რობერტო კავალისა და „კოწი ჯგუფს“ შორის კონტრაქტს მოეწერა ხელი. სწორედ მათი ერთობლივი ქმნილება უკვე საქართველოშია. ქართველ ქალბატონებს უკვე შეუძლიათ ეს ჯადოსნური არომატი ატარონ. თვითონ რობერტო კავალი ამბობს, რომ საკმარისია ერთი წვეთიც კი ამ ჯადოსნური ფლაკონიდან, რომ ქალბატონი კიდევ უფრო მიმზიდველი, სექსუალური ხდება და წარმოუდგენელია, რომ ის მამაკაცისგან შეუმჩნეველი დარჩეს. თითოეული დეტალი, რომელიც სუნამოზე, მის ფლაკონზე, ყუთზეა დატანებული თავად ავტორთან ასოცირდება. წარმოუდგენელია, როგორც მისი სამოსი დაგრჩეს შეუმჩნეველი და ვერ მიხვდე, რომ ეს არის რობერტო კავალისგან, ასევე არის ეს არომატი, რომელიც ყოველთვის დასამახსოვრებელს ქმნის ქალბატონს. სუნამო ძალიან დახვეწილია, ის არის პარფიუმი და არა ტუალეტის წყალი, რომლის შექმნაშიც თავად რობერტო კავალი იღებდა მონაწილეობას.

# ფილმი „ხოდორკოვსკი“ თბილისში ჩამოიტანეს

ეკა ირემაშვილი

რიგით 61-ე ბერლინალეს მთავარ სენსაციად მიჩნეული დოკუმენტური ფილმი „ხოდორკოვსკი“ თბილისში პირადად მისმა რეჟისორმა და პროდიუსერმა ჩამოიტანეს. ნამუშევრის სპეციალური ჩვენება კინოთეატრ „ამირანში“ შედგა. ფილმის ქართველი საზოგადოებისთვის წარდგენამდე საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ნიკოლოზ რურუა დოკუმენტური ფილმის „ხოდორკოვსკი“ რეჟისორს კირილ ტუშსა და პროდიუსერს სიმონე ბაუმანს შეხვდა. შეხვედრის შემდეგ კი კინოთეატრ „ამირანში“ ფილმის პრემიერა ეროვნული კინოცენტრისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ორგანიზებით ჩატარდა. ჩვენებას ესწრებოდნენ ფილმის რეჟისორი კირილ ტუში, პროდიუსერი სიმონე ბაუმანი, საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორი თამარ ტატიშვილი, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ნიკოლოზ რურუა და სპეციალურად პრემიერაზე მიწვეული სტუმრები.

კირილ ტუშის გახმაურებული ფილმი ასახავს დრამას ხოდორკოვსკის ოდისეაზე, როგორ გახდა რუსეთის ყველაზე მდიდარი ადამიანი ქვეყნის ყველაზე ცნობილი პატიმარი. „ხოდორკოვსკი“ პირველად 2011 წელს ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზე პროგრამა „პანორამაში“ აჩვენეს. ფესტივალზე ფილმის ჩვენება შეფერხდა, რადგან კინოფირი ორჯერ მოიპარეს, თუმცა საბოლოოდ კინოსეანსი მაინც შედგა. ნავთობის მაგნატის ისტორიის კინოვერსიას სრული ანშლაგი მოჰყვა. ფილმი მთლიანად დოკუმენტურ ფაქტებს ეფუძნება. იუკოსის ნავთობის ყოფილი მფლობელი უკვე წლებია პუტინის პოლიტიკის მსხვერპლი და რუსეთის პირველი პატიმარია. ფილმში პუტინის ის განცხადებებიც არის გამოყენებული, სადაც ის ხოდორკოვსკის საქმის მიმართ პირად ინტერესს არ მალავს. სკანდალური ფილმი ოლიგარქის შესახებ რუსეთის პოლიტიკური ელიტისთვის ერთ-ერთი ყველაზე არასასურველი კინოსურათია, რაც კი ბოლო დროს შექმნილა.

– ეს ფილმი 61-ე ბერლინალეს სენსაციად იქცა. ფილმი თავისთავად ძალიან მნიშვნელოვანია, ის აკრძალულია რუსეთში. გახმაურებული ფაქტია, რომ ნამუშევარი რამდენჯერმე მოიპარეს პრემიერების წინ, არა მარტო რუსეთში, უცხოეთშიც კი. კირილ ტუშის სურათი მოაპარვინა პუტინმა თავის დაქირავებულ ხალხს, მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, მისი ჩვენება მაინც შედგა და 61-ე ბერლინალეზე ამ ფილმმა მოახდინა ნამდვილი ფურორი. დღეს კი ჩვენ მოგვეცა საშუალება, რომ ეს ფილმი წარგვედგინა ქართველი მაყურებლისთვის მის ავტორებთან ერთად. იმედია, ფილმი ქართულ ტელევიზიებშიც გავა და ქართველები მას მასობრივად ნახავენ, – განაცხადა თბილისური პრემიერის დასრულების შემდეგ კულტურის მინისტრმა.



ფილმის შემქმნელებმა კი განმარტეს, რომ მათი ნამუშევარი ქართველმა საზოგადოებამ დადებითად მიილო და რეაქციებიც ადეკვატური იყო.

– ძალიან მიყვარს საქართველო და ბედნიერი ვარ, რომ აქ ჩამოვედი. ყურადღებით ვაკვირდებოდი მაყურებლის რეაქციას და მიმაჩნია, რომ მათ ზუსტი რეაქციები ჰქონდათ. ისინი დიდი ყურადღებით ადევნებდნენ თვალს ჩვენს ნამუშევარს, ამიტომაც კმაყოფილი ვარ თბილისური პრემიერით, – აღნიშნა ფილმის პროდიუსერმა სიმონე ბაუმანმა.

**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო–აღდგენითი სამუშაოები**

2010 წელს ხობის ხარების დედათა მონასტრის უძველეს ტაძარში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახე საძვალე.

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა აკლდამის აღდგენასა და გამშვენებაში, დარეკეთ: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608. ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით. შედით მენიუში: სხვადასხვა—საქველმოქმედო—ხობის მონასტერი.

(საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 11 ნოემბრის 611/15 დადგენილებით, ხობის მონასტრის რესტავრაცია—განახლებისათვის შემოწირულობის შეგროვების მიზნით გამოყოფილი სატელეფონო ნომრები: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608, შეიცვალა ახალი ნომრით 0-901-900-900.

2012 წლის 10 იანვრიდან ყველა მობილური ოპერატორიდან (ბილაინის გარდა) და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ფასიანი ზარის განხორციელება შესაძლებელია შემდეგი თანმიმდევრობით: 0-901-900-900. ბილაინის აბონენტებს ზარის განხორციელება შეუძლიათ 20 იანვრიდან).




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

## განცხადებები

● იყიდება! ნებისმიერი სახეობის, ასაკისა და რაოდენობის ფოთლოვან და წიწვოვან ხე-მცენარეთა ნერგები, ფასი 5-დან 50 ლარამდე. დავეხმარებით აგრეთვე დეკორატიული კუთხეების მოწყობასა და მის გამწვანებაში. ტელ: 599-15-67-28; 2-36-28-78.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის განწენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● იყიდება ან იცვლება საკუთარი სახლი საერთო ფართით 110 კვ.მ. 1,5 ან 2-ოთახიან ბინაზე შესაბამისი თანხის დამატებით. ფასი 55.000 დოლარი. მისამართი: ნუცუბიძის I მ/რ, სახლი №5ა. ტელ: 599-41-52-29; 568-10-65-48; 232-52-29; 231-48-72.

● სმენის აღდგენა რამდენიმე დღეში ბიომასაჟით, ოსტეოქონდროზის, სახსრების დაავადებების, პროსტატიტის, ცისტიტის, ნევრიტების, რადიკულიტის, გასტრიტის, კოლიტის, ქოლეცისტიტისა და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში. მის: ქ.თბილისი, თ.აბულაძის ქ.20, დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 551-25-45-35, ბ-ნი ლევანი.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● იყიდება, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, საკარმიდამო მიწის ნაკვეთი 2000კვ. მ, შემოსაზღვრული, სარწყავი წყლით. ფასი: 1 კვ.მ – 3 ლარი. ტელ:. 0790-90-32-96, 253-15-87, 568-65-74-86.

● ვასრულებ სამღებრო სამუშაოებს უმაღლესი ხარისხით, შეღავათიან ფასებში. ტელ: 598-24-40-90; 557-41-60-91 დათო.

● ქირავდება ოროთახიანი კეთილმოწყობილი (ტელეფონი, ტელევიზორი, მაცივარი, გაზისა და წყლის გამათბობლები, ავეჯი) ბინა, ვაჟა-ფშაველას II კვარტალში. ტელ: 599-103-183.

# „ყველა ვარსკვლავის მატჩის“ გამოკითხვა დაიწყო

თბილისის სპორტის სასახლეში „ყველა ვარსკვლავის მატჩთან“ დაკავშირებით პრესკონფერენცია გაიმართა, სადაც სუპერლიგის აღმასრულებელი დირექტორი გიორგი ზაზაძე დამსწრე საზოგადოებას 2012 წლის „ოლ სტარზე“ ესაუბრა, რომელიც განსხვავებული ფორმატით ჩატარდება. ამის მიზეზი კი სუპერლიგაში ლეგიონერების სიჭარბეა, რომელთაგან შექმნილ გუნდს ქართველი კალათბურთელები დაუპირისპირდებიან.

**გიორგი ზაზაძე:**

– წლევანდელი სეზონის „ყველა ვარსკვლავის მატჩი“ წინა წლებისგან განსხვავებული იქნება. ადგილობრივი გუნდი ლეგიონერთა გუნდს დაუპირისპირდება და 29 აპრილს თბილისის სპორტის სასახლეში 13:00 საათზე გაიმართება. „ყველა ვარსკვლავის მატჩი-აქციის“ გამოკითხვები სუპერლიგის ვებ-გვერდზე დაიწყო და 26 აპრილს 23:00 საათზე დასრულდება. ქართველ მოთამაშეებს „არმიის“ მწვრთნელი კოტე ტუღუში უთავკაცებს, ხოლო ლეგიონერთა გუნდს შსს აკადემიის მწვრთნელი გიორგოს კეცელიდისი გაწვრთნის.

„ყველა ვარსკვლავის მატჩის“ ხმის მიცემის პროცედურა ასეთი იქნება: ერთ მხარეს თავს მოიყრიან ქართველი მოთამაშეები, ხოლო მეორე მხარეს – უცხოელი კალათბურთელები. გამოკითხვაში მონაწილე გულშემატკივარი ირჩევს სასტარტო ხუთეულებს ორივე მხრიდან და ხმას აძლევს ხუთეულების საკუთარ ვერსიას. ხმის მიმცემმა „ყველა ვარსკვლავის მატჩში“ მონაწილე თითოეული გუნდის ხუთეულისთვის უნდა აირჩიოს 2 უკანახაზელი, 2 ფორვარდი და 1 ცენტრი. გამოკითხვის შედეგად შეირჩევა „ყველა ვარსკვლავის მატჩის“ მონაწილე გუნდების სასტარტო ხუთეულები. ვინაიდან თითოეული გუნდის განაცხადში 12 მოთამაშეა, დარჩენილ 7-7 მოთამაშეს მწვრთნელები საკუთარი შეხედულებისამებრ შეარჩევენ. „ყველა ვარსკვლავის მატჩთან“ ერთად ჩატარდება კონკურსები სამქულიან სროლებსა და ბურთის ჩატენვებში. სნაიპერთა კონკურსში მონაწილეობას ის მოთამაშეები მიიღებენ, რომლებსაც მიმდინარე სუპერლიგის გათამაშებაში სამქულიანების ჩაგდების საუკეთესო პროცენტული მაჩვენებლები აქვთ. რაც შეეხება ჩატენვებს, აქ მონაწილეობა ნებაყოფლობითია.

ახლა რაც შეეხება სუპერლიგის ბოლოსწინა ტურს, რომელმაც უკვე გამოავლინა ის 8 საუკეთესო გუნდი, რომლებიც მედლებისთვის ბრძოლას გააგრძელებენ.

### არმია – სოხუმი 89:69

**(19:30, 21:10, 18:18, 31:11)**

მატჩი „სოხუმის“ უპირატესობით დაიწყო, რომლებიც საწყის ათწუთეულში 30:19 დაწინაურდნენ. თუმცა, მეორე მეოთხედში არმიელებმა შეძლეს მობილიზება და პირველი ტაიმის მიწურულს ანგარიში გაათანაბრეს – 40:40. დრამატული გამოდგა მესამე პერიოდი, რომელიც გუნდების გარდამავალი უპირატესობით წარიმართა და საბოლოოდ კვლავ ფრედ – 58:58 დასრულდა. გადამწყვეტ მეოთხედში „არმიამ“ საბოლოოდ მოახერხა მეტოქის გატეხა და სოლიდური უპირატესობის მოპოვება. დასკვნით პერიოდში სოხუმელებმა მეტოქეს წინააღმდეგობა ვეღარ გაუწიეს და მარცხი განიცადეს.



„არმიის“ შემადგენლობაში საუკეთესო ბენჯამენ ვუდსაიდი იყო, რომელმაც 19 ქულა, 10 შედეგიანი გადაცემა, 9 მოხსნა მიითვალა და სამმაგ დუბლამდე მხოლოდ ერთი მოხსნა დააკლდა. „სოხუმის“ რიგებში 21 ქულით ლევან ფაცაცია გამოირჩა, ორმაგ დუბლამდე კი ერთი მოხსნა დააკლდა სერგო ათუაშვილს – 15 ქულა და 9 მოხსნა.

### მატჩის შემდეგ:

**კოტე ტუღუში, არმიის მწვრთნელი:**

– დღევანდელი თამაშით კმაყოფილი ვარ, მიუხედავად იმისა, რომ იყო ძალიან ბევრი ხარვეზი. განვლილი ორი მატჩი „ბათუმთან“ და „რუსთავთან“ არცთუ კარგად ჩავატარეთ და ველოდით, რომ დღევანდელი მატჩი ძალიან დაძაბული იქნებოდა. შეიძლება ითქვას, რომ გუნდს გარკვეული ჩავარდნა ჰქონდა, მაგრამ სპორტში ხშირად ხდება ასეთი შემთხვევები და მთავარია, რომ კვლავ აღმასვლა დავიწყეთ. ამის მაგალითი კი სწორედ დღევანდელი მატჩია. მადლობა „სოხუმს“, რომელმაც ღირსეული წინააღმდეგობა გაგვიწია და კარგი კალათბურთი აჩვენა. ჩვენმა მეტოქემ ისეთი კალათბურთი დაგვიპირისპირა, რომელიც ჩვენი გუნდისთვის ყველაზე საჭირო იყო. ასეთი თამაშით გუნდმა კარგი ვარჯიში გაიარა პლეიოფების წინ. დასკვნით მეოთხედში შევძელით ჩვენი შეცდომების გამოსწორება, თუმცა, რეგულარული სეზონი სრულდება და ვარჯიშის დრო აღარ არის. „სოხუმი“ თავიდან სერიოზულ კლუბად ჩამოყალიბდა, მაგრამ შემდეგ პრობლემები შეექმნა. მინდა, მომავალში წარმატება ვუსურვო ამ კლუბს და გამოვხატო ჩემი და ჩემი გუნდის პატივისცემა „სოხუმისა“ და მისი თითოეული კალათბურთელის მიმართ.

**ვაჟა კვარაცხელია, სოხუმის მწვრთნელი:**

– ვულოცავ „არმიას“ ამ გამარჯვებას და კოტე ტუღუშს, რომელსაც ძალიან ვგულშემატკივრობ, რომ დიდი მწვრთნელი გახდეს. „არმია“ ნამდვილად ძლიერი გუნდია და კმაყოფილი ვარ ჩვენი ბიჭების თამაშით, მით უმეტეს, რომ ბოლო დროს გუნდში არცთუ სახარბიელო ვითარება გვქონდა. რიმვიდას სამულენასი კლუბიდან წავიდა და ახალი სიტუაციის მიჩვევა საკმაოდ რთული იყო. მიუხედავად ამისა, ბიჭებმა ბრწყინვალე თამაში აჩვენეს ისეთი გრანდის წინააღმდეგ, როგორიც „არმიაა“... რაც შეეხება რევაზ როგავას, რომელიც ძალიან პერსპექტიული ბიჭია, მას გაუჭირდა მეტოქის გამოცდილი და მაღალი დონის მოთამაშეების წინააღმდეგ თამაში. ფიზიკურად გუნდმა ვეღარ შეძლო არმიელთათვის წინააღმდეგობის გაწევა. თუმცაღა, ჩემი შეცდომებიც უნდა ვაღიარო. მეოთხე პერიოდში ზონური დაცვა არ უნდა გვეთამაშა და ბოლომდე უნდა გვებრძოლა, მაგრამ ვფიქრობ, ფინალი მაინც ასეთი იქნებოდა. ოთხი მოთამაშე დი სასტარტო ხუთეული ვერ გაუძლე... თამაშეებთან თამაშს. გუნდის გაძლიერ... კავშირებით კი ვერაფერს გეტყვით. ... პრეზიდენტ მინდი გულუას გადასაწყვე... ლი სათქმელია, რა იქნება მომავალში. ... თქმა ნამდვილად შემიძლია, რომ ხან... ვარ, „სოხუმის“ გუნდი აუცილებლად იახპარეზებს ასაკობრივ ლიგებში და ყოველთვის გაზრდის ნიჭიერ თაობას.

**ანატოლი ბოისა:**

– მინდა შევაქო „სოხუმის“ გუნდი, რომელმაც ძალიან კარგად ჩაატარა დღევანდელი მატჩი. როგორც კოტემ აღნიშნა, სამომავლოდ მართლაც ძალიან გამოგვადგება ეს თამაში. დაცვაში აღმოგვაჩნდა გარკვეული ხარვეზები და ნათლად დავინახეთ ჩვენი შეცდომები. თამაში სანახაობრივი გამოგვიდა და მაყურებელმა ისიამოვნა ამ თამაშით.

**გიორგი ჯეგრენაია:**

– „არმია“ ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია საქართველოში და, მიუხედავად წაგებისა, მაინც კმაყოფილი ვარ. სამი მეოთხედი თანასწორი თამაში იყო, მეოთხე პერიოდში კი პასის ხარჯზე გვაჯობეს და მოიგეს კიდეც. ჩვენს გუნდში აქამდე არსებული პრობლემები მოგვარდა. ახალი მწვრთნელი გვყავს და ყველანი ერთ მუშტად ვართ შეკრულნი. ეს დღეს თამაშზეც აისახა.

### თსუ – შსს 77:65

**(21:18, 22:21, 18:11, 16:15)**

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა უპირატესობა თავიდანვე მოიპოვა და პირველი ტაიმის ბოლოს 43:39 დაწინაურდა. სტუდენტებმა მოპოვებული უპირატესობა მესამე პერიოდშიც კიდევ უფრო გაზარდეს და მეტოქეს წინ გასვლის შანსი არ დაუტოვეს. გადამწყვეტ მეოთხედში შსს აკადემია კი შეეცადა მდგომარეობის გამოსწორებას, მაგრამ ამაოდ.

ამ მოგებით თსუ-მ საუკეთესო 8 გუნდში ბოლო ადგილი შეავსო. თსუ-ს 24 ქულით ბექა ჩიკვილაძემ ულიდერა, ხოლო შსს აკადემიის შემადგენლობაში საუკეთესო ბექა ბექაური იყო, რომელმაც 12 ქულითა და 14 მოხსნით ორმაგი დუბლი მიითვალა.

### ოლიმპი – თსსუ 96:76

**(27:11, 20:27, 25:23, 24:15)**

ოლიმპელები მატჩის საწყის ათწუთეულშივე დაწინაურდნენ, როდესაც მეოთხედი 27:11 მოიგეს. მართალია, მედიკოსებმა ეს სხვაობა მეორე მეოთხედში შეამცირეს, მაგრამ მატჩის მეორე ნახევარში მეტოქეს წინააღმდეგობა ვეღარ გაუწიეს. „ოლიმპმა“ თითქმის ყველა კომპონენტში აჯობა მეტოქეს და მორიგი გამარჯვება გაიფორმა.

თსსუ-ს შემადგენლობაში 18 ქულით მიხეილ ჭოჭუა გამოირჩა, ხოლო 15 ქულითა და 13 მოხსნით ორმაგი დუბლი აკაკი დვალიშვილმა შეასრულა. „ოლიმპის“ მხრიდან ორმაგი დუბლი ერთბაშად ორმა კალათბურთელმა მიითვალა. ივო პოგერმა 16 ქულა და 10 მოხსნა დააგროვა, ხოლო გიორგი ცინცაძის ანგარიშზე 14 ქულა და 11 შედეგიანი პასია. ორმაგ დუბლამდე ერთი

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## შედეგები

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

სანდერლენდი-ტოტენჰემი ............ 0:0
ბოლტონი-ფულემი ............ 0:3
ვესტ ბრომვიჩი-ბლექბერნი ............ 3:0
ლივერპული-ასტონ ვილა ............ 1:1
ნორვიჩი-ევერტონი ............ 2:2
ჩელსი-უიგანი ............ 2:1
სტოკი-ვულვზი ............ 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 31 | 24 | 4 | 3 | 76:27 | 76 |
| 2.სიტი | 31 | 22 | 5 | 4 | 75:25 | 71 |
| 3.ტოტენჰემი | 32 | 17 | 8 | 7 | 56:36 | 59 |
| 4.არსენალი | 31 | 18 | 4 | 9 | 62:41 | 58 |
| 5.ჩელსი | 32 | 16 | 8 | 8 | 55:37 | 56 |
| 6.ნიუკასლი | 32 | 16 | 8 | 8 | 48:42 | 56 |
| 7.ევერტონი | 32 | 12 | 8 | 12 | 34:34 | 44 |
| 8.ლივერპული | 32 | 11 | 10 | 11 | 37:34 | 43 |
| 9.სანდერლენდი | 32 | 11 | 9 | 12 | 42:37 | 42 |
| 10.ფულემი | 32 | 11 | 9 | 12 | 42:42 | 42 |
| 11.სტოკი | 32 | 11 | 8 | 13 | 31:44 | 41 |
| 12.ნორვიჩი | 32 | 10 | 10 | 12 | 44:51 | 40 |
| 13.ვესტ ბრომვიჩი | 32 | 11 | 6 | 15 | 39:43 | 39 |
| 14.სუონსი | 32 | 10 | 9 | 13 | 35:41 | 39 |
| 15.ასტონ ვილა | 31 | 7 | 13 | 11 | 34:43 | 34 |
| 16.ბოლტონი | 31 | 9 | 2 | 20 | 36:63 | 29 |
| 17.ქპრ | 31 | 7 | 7 | 17 | 35:54 | 28 |
| 18.ბლექბერნი | 32 | 7 | 7 | 18 | 43:67 | 28 |
| 19.უიგანი | 32 | 6 | 10 | 16 | 30:57 | 28 |
| 20.ვულვზი | 32 | 5 | 7 | 20 | 34:70 | 22 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

საუთჰემპტონი-პორთსმუთი ............ 2:2
ბირმინგემი-კრ.პალასი ............ 3:1
დერბი-იფსვიჩი ............ 0:0
ქოვენთრი-პიტერბრო ............ 2:2
ლესტერი-დონკასტერი ............ 4:0
მიდლსბრო-კარდიფი ............ 0:2
მილუოლი-ჰალი ............ 2:0
ნოტინგემი-ბრისტოლი ............ 0:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

რაიო-ოსასუნა ............ 6:0
ხეტაფე-ხიხონი ............ 2:0
ესპანიოლი-სოსიედადი ............ 2:2
სარაგოსა-ბარსელონა ............ 1:4
ბეტისი-ვილიარეალი ............ 3:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 30 | 25 | 3 | 2 | 100:27 | 78 |
| 2.ბარსელონა | 31 | 23 | 6 | 2 | 90:23 | 75 |
| 3.ვალენსია | 30 | 13 | 9 | 8 | 46:37 | 48 |
| 4.მალაგა | 30 | 14 | 5 | 11 | 44:43 | 47 |
| 5.ლევანტე | 30 | 13 | 6 | 11 | 42:41 | 45 |
| 6.ოსასუნა | 31 | 10 | 13 | 8 | 35:52 | 43 |
| 7.ესპანიოლი | 31 | 11 | 9 | 11 | 39:41 | 42 |
| 8.ხეტაფე | 31 | 11 | 9 | 11 | 33:39 | 42 |
| 9.სევილია | 30 | 11 | 9 | 10 | 36:32 | 42 |
| 10.ატლეტიკო | 30 | 11 | 9 | 10 | 42:35 | 42 |
| 11.რაიო | 31 | 12 | 4 | 15 | 48:53 | 40 |
| 12.ბეტისი | 31 | 11 | 5 | 15 | 38:44 | 38 |
| 13.ბილბაო | 30 | 9 | 11 | 10 | 44:42 | 38 |
| 14.სოსიედადი | 31 | 10 | 7 | 14 | 38:47 | 37 |
| 15.მალიორკა | 30 | 9 | 9 | 12 | 32:40 | 36 |
| 16.გრანადა | 30 | 10 | 4 | 16 | 28:46 | 34 |
| 17.ვილიარეალი | 31 | 7 | 11 | 13 | 31:45 | 32 |
| 18.სარაგოსა | 31 | 7 | 7 | 17 | 28:56 | 28 |
| 19.ხიხონი | 31 | 6 | 7 | 18 | 29:58 | 25 |
| 20.რასინგი | 30 | 4 | 13 | 13 | 23:45 | 25 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ხერესი-ვალიადოლიდი ............ 0:4
ალკორკონი-ალკოიანო ............ 2:1
ვილიარეალი ბ-ელჩე ............ 2:0
უელვა-გვადალახარა ............ 4:2
საბადელი-ხიმნასტიკი ............ 1:0
უესკა-ალმერია ............ 1:0
ლას პალმასი-ნუმანსია ............ 1:1

**იტალია. სერია ა**

ატალანტა-სიენა ............ 1:2
კალიარი-ინტერი ............ 2:2
კიევო-კატანია ............ 3:2
ლეჩე-რომა ............ 4:2
მილანია-ფიორენტინა ............ 1:2
ნოვარა-ჯენოა ............ 1:1
უდინეზე-პარმა ............ 3:1
ჩეზენა-ბოლონია ............ 0:0
პალერმო-იუვენტუსი ............ 0:2
ლაციო-ნაპოლი ............ 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 31 | 17 | 14 | 0 | 51:17 | 65 |
| 2.მილანი | 31 | 19 | 7 | 5 | 61:26 | 64 |
| 3.ლაციო | 31 | 16 | 6 | 9 | 47:38 | 54 |
| 4.უდინეზე | 31 | 14 | 9 | 8 | 43:29 | 51 |
| 5.ნაპოლი | 31 | 12 | 12 | 7 | 55:38 | 48 |
| 6.რომა | 31 | 14 | 5 | 12 | 49:41 | 47 |
| 7.ინტერი | 31 | 13 | 6 | 12 | 45:44 | 45 |
| 8.კატანია | 31 | 10 | 13 | 8 | 41:41 | 43 |
| 9.კიევო | 31 | 11 | 9 | 11 | 30:39 | 42 |
| 10.სიენა | 31 | 10 | 9 | 12 | 36:32 | 39 |
| 11.პალერმო | 31 | 11 | 6 | 14 | 44:49 | 39 |
| 12.კალიარი | 31 | 9 | 11 | 11 | 33:38 | 38 |
| 13.ატალანტა | 31 | 10 | 13 | 8 | 34:33 | 37 |
| 14.ბოლონია | 31 | 9 | 10 | 12 | 32:38 | 37 |
| 15.ფიორენტინა | 31 | 9 | 9 | 13 | 32:38 | 36 |
| 16.პარმა | 31 | 8 | 11 | 12 | 39:50 | 35 |
| 17.ჯენოა | 31 | 9 | 8 | 14 | 42:57 | 35 |
| 18.ლეჩე | 31 | 7 | 10 | 14 | 35:47 | 31 |
| 19.ნოვარა | 31 | 5 | 10 | 16 | 27:52 | 25 |
| 20.ჩეზენა | 31 | 4 | 8 | 19 | 18:47 | 20 |

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ბაიერნი-აუგსბურგი ............ 2:1
ვოლფსბურგი-დორტმუნდი ............ 1:3
კაიზერი-ჰოფენჰაიმი ............ 1:2
კიოლნი-ვერდერი ............ 1:1
ფრაიბურგი-ნიურნბერგი ............ 2:2
შტუტგარტი-მაინცი ............ 4:1
გლადბახი-ჰერტა ............ 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 29 | 20 | 6 | 3 | 66:22 | 66 |
| 2.ბაიერნი | 29 | 20 | 3 | 6 | 69:19 | 63 |
| 3.შალკე | 28 | 17 | 3 | 8 | 61:35 | 54 |
| 4.გლადბახი | 29 | 15 | 7 | 7 | 41:20 | 52 |
| 5.შტუტგარტი | 29 | 12 | 7 | 10 | 52:39 | 43 |
| 6.ვერდერი | 29 | 11 | 8 | 10 | 42:44 | 41 |
| 7.ჰანოვერი | 28 | 10 | 11 | 7 | 37:39 | 41 |
| 8.ლევერკუზენი | 28 | 11 | 7 | 10 | 39:38 | 40 |
| 9.ვოლფსბურგი | 29 | 12 | 4 | 13 | 41:52 | 40 |
| 10.ჰოფენჰაიმი | 29 | 9 | 10 | 10 | 34:40 | 37 |
| 11.მაინცი | 29 | 8 | 9 | 12 | 43:48 | 33 |
| 12.ნიურნბერგი | 29 | 9 | 5 | 15 | 27:41 | 32 |
| 13.ფრაიბურგი | 29 | 8 | 8 | 13 | 39:55 | 32 |
| 14.აუგსბურგი | 29 | 6 | 12 | 11 | 31:44 | 30 |
| 15.ჰამბურგი | 28 | 7 | 9 | 12 | 32:50 | 30 |
| 16.კიოლნი | 29 | 8 | 5 | 16 | 36:59 | 29 |
| 17.ჰერტა | 29 | 6 | 9 | 14 | 30:52 | 27 |
| 18.კაიზერი | 29 | 3 | 11 | 15 | 18:41 | 20 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

დინამო-ბრაუნშვაიგი ............ 2:2
ფრანკფურტი-ზანკტ პაული ............ 3:3
დუისბურგი-აინტრახტი ............ 2:0

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

აიაჩო-სენტ ეტიენი ............ 1:1
ბრესტი-ლილი ............ 3:1
ვალანსიენი-ტულუზა ............ 2:0
დიჟონი-ნანსი ............ 0:2
მონპელიე-სოშო ............ 2:1
ევიანი-რენი ............ 1:3
ლიონი-ოსერი ............ 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მონპელიე | 30 | 19 | 6 | 5 | 55:28 | 63 |
| 2.პსჟ | 30 | 17 | 9 | 4 | 54:32 | 60 |
| 3.ლილი | 31 | 15 | 11 | 5 | 56:35 | 56 |
| 4.ლიონი | 31 | 16 | 5 | 10 | 49:38 | 53 |
| 5.ტულუზა | 31 | 14 | 8 | 9 | 32:28 | 50 |
| 6.რენი | 31 | 13 | 9 | 9 | 41:35 | 48 |
| 7.სენტ ეტიენი | 31 | 13 | 8 | 10 | 38:35 | 47 |
| 8.ბორდო | 30 | 10 | 12 | 8 | 36:33 | 42 |
| 9.მარსელი | 29 | 10 | 10 | 9 | 36:30 | 40 |
| 10.ევიანი | 31 | 10 | 9 | 12 | 43:46 | 39 |
| 11.ნანსი | 31 | 10 | 9 | 12 | 31:37 | 39 |
| 12.ვალანსიენი | 31 | 10 | 7 | 14 | 31:36 | 37 |
| 13.დიჟონი | 31 | 9 | 7 | 15 | 37:51 | 34 |
| 14.ბრესტი | 31 | 6 | 15 | 10 | 27:30 | 33 |
| 15.აიაჩო | 31 | 7 | 12 | 12 | 32:50 | 33 |
| 16.ლორიენი | 30 | 7 | 11 | 12 | 28:38 | 32 |
| 17.ნიცა | 30 | 7 | 10 | 13 | 30:36 | 31 |
| 18.კაენი | 30 | 7 | 9 | 14 | 32:44 | 30 |
| 19.სოშო | 31 | 7 | 9 | 15 | 32:48 | 30 |
| 20.ოსერი | 31 | 5 | 12 | 14 | 36:46 | 27 |

**პორტუგალია. ა ლიგა**

ოლჰანენსე-ფერეირა ............ 1:2
რიუ ავე-ფეირენსე ............ 2:2
მარიტიმუ-ნასიონალი ............ 2:4
ბრაგა-პორტუ ............ 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პორტუ | 26 | 19 | 6 | 1 | 57:17 | 63 |
| 2.ბენფიკა | 25 | 18 | 5 | 2 | 56:22 | 59 |
| 3.ბრაგა | 26 | 18 | 4 | 4 | 54:23 | 58 |
| 4.მარიტიმუ | 26 | 14 | 6 | 6 | 39:31 | 48 |
| 5.სპორტინგი | 25 | 14 | 5 | 6 | 38:19 | 47 |
| 6.გიმარაეში | 26 | 12 | 3 | 11 | 32:32 | 39 |
| 7.ნასიონალი | 26 | 10 | 5 | 11 | 37:44 | 35 |
| 8.სეტუბალი | 26 | 8 | 6 | 12 | 23:41 | 30 |
| 9.ოლჰანენსე | 26 | 6 | 11 | 9 | 31:36 | 29 |
| 10.ფერეირა | 26 | 8 | 4 | 14 | 31:47 | 28 |
| 11.ჟილ ვისენტე | 26 | 6 | 9 | 11 | 24:37 | 27 |
| 12.ბეირა მარი | 25 | 7 | 5 | 13 | 23:28 | 26 |
| 13.აკადემიკა | 26 | 5 | 8 | 13 | 23:34 | 23 |
| 14.რიუ ავე | 25 | 6 | 4 | 15 | 23:33 | 22 |
| 15.ლეირია | 26 | 5 | 4 | 17 | 21:45 | 19 |
| 16.ფეირენსე | 26 | 3 | 9 | 14 | 20:43 | 18 |

**რუსეთი. პრემიერლიგა**

**ა ჯგუფი**

დინამო-რუბინი ............ 1:1
ლოკომოტივი-ზენიტი ............ 0:1
ცსკა-ანჟი ............ 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ზენიტი | 38 | 21 | 14 | 3 | 73:32 | 77 |
| 2.ცსკა | 38 | 17 | 15 | 6 | 66:40 | 66 |
| 3.დინამო | 38 | 18 | 9 | 11 | 59:44 | 63 |
| 4.ლოკომოტივი | 38 | 18 | 9 | 11 | 55:37 | 63 |
| 5.სპარტაკი | 37 | 17 | 11 | 9 | 57:40 | 62 |
| 6.რუბინი | 38 | 16 | 14 | 8 | 48:32 | 62 |
| 7.ანჟი | 38 | 16 | 12 | 10 | 43:35 | 60 |
| 8.ყუბანი | 37 | 15 | 10 | 12 | 43:36 | 55 |

**ბ ჯგუფი**

ამკარი-როსტოვი ............ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 9.კრასნოდარი | 37 | 13 | 10 | 14 | 46:51 | 49 |
| 10.ამკარი | 38 | 12 | 11 | 15 | 31:43 | 47 |
| 11.ტერეკი | 38 | 12 | 8 | 18 | 37:54 | 44 |
| 12.როსტოვი | 38 | 11 | 9 | 18 | 38:53 | 42 |
| 13.ვოლგა | 38 | 11 | 5 | 22 | 32:47 | 38 |
| 14.კრ.სოვეტოვი | 38 | 8 | 13 | 17 | 25:47 | 37 |
| 15.ტომი | 37 | 6 | 11 | 20 | 23:62 | 29 |
| 16.ნალჩიკი | 38 | 6 | 9 | 23 | 30:53 | 27 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

კილმანროკი-სელტიკი ............ 0:6
აბერდინი-დანდი ............ 3:1
დანფერმლაინი-ჰართსი ............ 1:2
რეინჯერსი-სტ.მირენი ............ 3:1
სტ.ჯონსონი-ინვერნესი ............ 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სელტიკი | 33 | 26 | 3 | 4 | 72:20 | 81 |
| 2.რეინჯერსი | 33 | 23 | 4 | 6 | 65:25 | 63 |
| 3.მოზერველი | 32 | 16 | 6 | 10 | 42:37 | 54 |
| 4.სტ.ჯონსონი | 33 | 14 | 8 | 11 | 42:36 | 50 |
| 5.დანდი | 33 | 13 | 10 | 10 | 55:43 | 49 |
| 6.ჰართსი | 33 | 14 | 6 | 13 | 41:32 | 48 |
| 7.კილმანროკი | 33 | 8 | 13 | 12 | 36:54 | 37 |
| 8.აბერდინი | 33 | 8 | 12 | 13 | 32:38 | 36 |
| 9.სტ.მირენი | 33 | 7 | 14 | 12 | 32:46 | 35 |
| 10.ინვერნესი | 33 | 8 | 8 | 17 | 36:54 | 32 |
| 11.ჰიბერნიანი | 32 | 6 | 8 | 18 | 33:61 | 26 |
| 12.დანფერმლაინი | 33 | 4 | 8 | 21 | 32:72 | 20 |

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ლუცერნი-ბაზელი ............ 1:1
სიონი-ციურიხი ............ 2:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ზალცბურგი-ინსბრუკი ............ 2:0
კაფენბერგი-ადმირა ............ 2:3
რაპიდი-ნოიშტადი ............ 2:1
რიდი-ავსტრია ............ 0:1

**ბელგია. პროლიგა**

**პლეი ოფი**

გენკი-გენტი ............ 2:0
ვარეგემი-მონსი ............ 0:2
სერკლი-ლეუვენი ............ 6:4
სტ.ტრუიდენი-ვესტრლო ............ 3:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

ანკარაგიუჯიუ-ქაისერი ............ 0:5
ბურსა-გაზიანთეპი ............ 0:2
ისთანბული-გენჩლერი ............ 1:0
სამსუნი-სივასი ............ 1:2
ფენერბახჩე-ანთალია ............ 2:0
ერჩიესი-მერსინი ............ 2:0

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

პრჟიბრჟამი-იაბლონეცი ............ 4:3
ლიბერეცი-სპარტა ............ 1:3

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ლეგია-რუხი ............ 2:0
შლიონსკი-ბელხატოვი ............ 1:0
იაგელონია-ვისლა ............ 1:0

**უკრაინა. პრემიერლიგა**

შახტარი-დინამო ............ 2:0
კარპატი-მეტალურგი(დ) ............ 0:2
ჩერნომორეცი-ზარია ............ 2:3

**აშშ. მლს**

კოლამბუსი-ნიუ იორკი ............ 1:4
კანზასი-ლოს ანჯელესი ............ 1:0
სან ხოსე-ვანკუვერი ............ 3:1
დ.ს.იუნაიტედი-სიეტლი ............ 0:0
სოლტ ლეიკი-კოლორადო ............ 2:0
პორტლენდი-ჩივასი ............ 1:2

**არგენტინა. კლაუსურა**

ბანფილდი-უნიონი ............ 2:2
ბოკა-არხენტინოსი ............ 2:1
კოლონი-ლანუსი ............ 1:0
რაფაელა-სან მარტინი ............ 3:1
ოლ ბოიზი-ტიგრე ............ 2:0

### კალათბურთი

**ნბა. რეგულარული სეზონი**

ინდიანა-ბოსტონი ............ 72:86
მემფისი-დალასი ............ 94:89
ნიუ ორლეანი-მინესოტა ............ 99:90
ფილადელფია-ორლანდო ............ 82:88
შარლოტი-ატლანტა ............ 96:116
*ზაზა ფაჩულია: 12 ქულა, 16 მოხსნა*
მილუოკი-პორტლენდი ............ 116:94
ფინიქსი-ლეიკერსი ............ 125:105
გოლდენ სტეიტი-დენვერი ............ 112:97
კლიპერსი-საკრამენტო ............ 109:94

### ჩოგბურთი

**ვტა. ჩარლსტონი. თიხა**

უილიამსი ს. ............ 6:1;6:1
შაფარჟოვა-ჰერცოგი ............ 6:0;6:0

### ჰოკეი

**ნჰლ. რეგულარული სეზონი**

დეტროიტი-ჩიკაგო ............ 2:2(0:1ბ)
ნიუ ჯერსი-ოტავა ............ 4:2
ბოსტონი-ბუფალო ............ 3:3(1:0ბ)
კალგარი-ანაჰაიმი ............ 5:2
პიტსბურგი-ფილადელფია ............ 4:2
რეინჯერსი-ვაშინგტონი ............ 1:4
ვინიპეგი-ტამპა ბეი ............ 3:4(ოტ)
კოლამბუსი-აილენდერსი ............ 7:3
მონრეალი-ტორონტო ............ 4:1
ფლორიდა-კაროლინა ............ 4:1
დალასი-სენტ ლუისი ............ 2:3
მინესოტა-ფინიქსი ............ 1:4
კოლორადო-ნეშვილი ............ 1:6
ვანკუვერი-ედმონტონი ............ 3:0
სან ხოსე-ლოს ანჯელესი ............ 3:2(ოტ)

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეროვნულმა არქივმა წიგნების გაციფრულება დაიწყო

ეკა ირემაშვილი

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ წიგნების გაციფრულება დაიწყო. პროექტის პრეზენტაცია ეროვნულ არქივში შედგა და მას იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი ოთარ კახიძე, ეროვნული არქივის გენერალური დირექტორი თეონა იაშვილი და ინტერნეტგვერდის ლიბ.გე-ს წარმომადგენელი ნათია გულიაშვილი უძღვებოდნენ. პროექტი ითვალისწინებს განრიდებული არასრულწლოვნების ჩართვას ეროვნულ არქივში წიგნების გაციფრულების პროექტში.

– ამ პროექტის ეგიდით ელექტრონული წიგნის პროგრამაში განრიდებისა და მედიაციის პროექტში მონაწილე არასრულწლოვნები ჩაერთვებიან. ეს პროგრამა თანაბრად სასარგებლოა როგორც მასში მონაწილე ახალგაზრდებისათვის, ისე საზოგადოებისათვის – ახალგაზრდა კითხულობს წიგნს, სწავლობს კომპიუტერთან მუშაობას და, ამავდროულად, საზოგადოებისათვის ქმნის ელექტრონულ ლიტერატურას, – აღნიშნა პროექტის პრეზენტაციაზე იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსმა ოთარ კახიძემ.

არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროექტს იუსტიციის სამინისტრო 2009 წლის ბოლოდან ახორციელებს. განრიდება სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატივას წარმოადგენს. თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ არასრულწლოვანმა პირველად ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული, პროკურორი უფლებამოსილია, იგი განარიდოს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. ასეთი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ პროკურორი უკავშირდება სოციალურ მუშაკს და არასრულწლოვნის საქმეს მას გადასცემს. სოციალური მუშაკი შეიმუშავებს არასრულწლოვნის შეფასება-დახასიათებას, რის საფუძველზეც განისაზღვრება, თუ რა კონკრეტული პირობების შესრულება იმოქმედებს დადებითად არასრულწლოვანზე და შეუწყობს ხელს მის გამოსწორებას. მხარეებთან შეთანხმებით დგება სამოქალაქო ხელშეკრულება, რომელსაც ხელს აწერენ არასრულწლოვანი, მისი მშობლები, პროკურორი, სოციალური მუშაკი და დანაშაულის შედეგად დაზარალებული პირი.

– ელექტრონული ბიბლიოთეკის შექმნაში დღეიდან „განრიდებისა და მედიაციის“ პროექტში ჩართული არასრულწლოვნებიც მიიღებენ მონაწილეობას. ელექტრონული წიგნის პროგრამა საზოგადოებისთვის სასარგებლო აქტივობის ერთ-ერთი საინტერესო სახეა. პროგრამის ფარგლებში, კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებს დაევალებათ მათთვის სპეციალურად შერჩეული წიგნის ელექტრონული ვერსიის შექმნა. სამოქალაქო ხელშეკრულების თანახმად, არასრულწლოვანს დაეკისრება მოვალეობები დაზარალებულის ან საზოგადოების წინაშე. საქმე სრულდება არასრულწლოვნის ნასამართლეობისა და სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მოხვედრის გარეშე. ელექტრონული წიგნის პროგრამა იუსტიციის სამინისტროს, ეროვნული არქივისა და ლიბ.გე-ს მიერ ერთობლივად, საგრანტო პროგრამის ფარგლებში განხორციელდება.

– ეროვნული არქივი, ლიბ.გე-თან ერთად, პროგრამაში ჩართულ ახალგაზრდებს მუშაობისათვის სასიამოვნო გარემოს შეუქმნის. წიგნები, რომლებსაც ისინი გააციფრულებენ, შემდეგში ელექტრონულ ბიბლიოთეკაში განთავსდება, – აღნიშნა ეროვნული არქივის ხელმძღვანელმა თეონა იაშვილმა პროექტის პრეზენტაციაზე.

წიგნების გაციფრულებასთან ერთად, ეროვნული არქივი სხვადასხვა პროგრამაშიც არის ჩართული. ეროვნული არქივი ფოტოხელოვან გურამ წიბახაშვილთან ერთად მუშაობს ახალ პროექტზე „ძველი და თანამედროვე ქუთაისი“, რომელიც ქალაქის ისტორიული ფოტოების დღევანდელი ანალოგების გადაღებას ითვალისწინებს.

– საუკუნის წინანდელი ქუთაისის ფოტოები დიმიტრი ერმაკოვს, გიორგი ნიკოლაძეს, ნიკოლოზ სალარაძესა და სხვა ფოტოგრაფებს ეკუთვნით. ძველი კადრების თანამედროვე ვარიანტებთან ერთად, გურამ წიბახაშვილი ქალაქის თანამედროვე არქიტექტურასაც აღბეჭდავს ფოტოზე. ახალი ფოტოები ეროვნული არქივის ფოტოსაცავს გაამდიდრებს. პროექტის ფარგლებში გამოფენა ქუთაისის იუსტიციის სახლში გაიმართება, – განმარტა თეონა იაშვილმა.

ასეთივე პროექტი გასულ წელს იუსტიციის სამინისტროს, ეროვნული არქივისა და გურამ წიბახაშვილის მონაწილეობით ბათუმში განხორციელდა და ბათუმის იუსტიციის სახლში გამოიფინა. მანამდე კი, 2009 წელს, ძველი თბილისის ფოტოების თანამედროვე ვარიანტები ფოტოგრაფმა გიორგი მეურმიშვილმა გადაიღო, რასაც სპეციალური გამოფენა თბილისში მიეძღვნა.

ეროვნული არქივის წარმომადგენლის თეა ქიმერიძის ცნობით, ეროვნული არქივის სამეცნიერო-საცნობარო ბიბლიოთეკაში დაცული მდიდარი პერიოდული გამოცემების გაცნობისას ცნობილი გახდა, რომ მე-19 საუკუნის ქართულ პრესაში რეკლამას მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. სხვადასხვა გაზეთის თითქმის ყველა ნომერი სარეკლამო შინაარსის განცხადებებს შეიცავს.

– 1860-იანი წლების გაზეთებში უხვად არის წარმოდგენილი სხვადასხვა პროდუქტისა და მომსახურების შესახებ. ბეჭდურ რეკლამებს მოგვიანებით დაერთო გრაფიკული რეკლამებიც, რომელიც მომხმარებლის თვალს იზიდავდა და პროდუქციას უფრო პოპულარულს ხდიდა. სარეკლამო განცხადებების მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოში დამზადებულ თუ იმ იმპორტირებულ საკონდიტრო, სამეურნეო საქონელს, მუსიკალურ ინსტრუმენტებს შეეხებოდა. რეკლამა დაინტერესებულ პირებს სხვადასხვა სასწავლო კურსზე იწვევდა. მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართული წარმოების სხვადასხვა სასმელის რეკლამებს, ინფორმაციებს სხვადასხვა ჰიგიენური საშუალების შესახებ. განსაკუთრებით საინტერესოა ის ბიბლიოგრაფიული ცნობები, რომლებიც გვაძლევს ინფორმაციას იმ წიგნებსა თუ ჟურნალ-გაზეთებზე, რომლებიც ამ პერიოდში იბეჭდებოდა და იყიდებოდა საქართველოში. საყურადღებოა ასევე თეატრალური აფიშები, რომლებიც მაყურებელს სპექტაკლების სანახავად იწვევდა, – განაცხადა თეა ქიმერიძემ.

ეროვნული არქივი არც იუბილარებს ივიწყებს. გასულ კვირას გამოჩენილი ქართველი მთამსვლელის მიხეილ ხერგიანის დაბადებიდან 80 წლის იუბილეს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულმა არქივმა ლეგენდარულ სპორტსმენთან დაკავშირებული მასალების მიმოხილვა მიუძღვნა.

– ეროვნული არქივის კინოდოკუმენტებს შორის არის მიხეილ ხერგიანისადმი მიძღვნილი ოთხი დოკუმენტური ფილმი – 1968 წელს რეჟისორ ოთარ გურგენიძის მიერ გადაღებული „მიხეილ ხერგიანი – კლდის ვეფხვი“, 1972 წელს ტელეფილმების სტუდიის ფილმი „გამარჯობა, მიშა“, ამავე წელს გადაღებული რეჟისორ თენგიზ ნოზაძის ფილმი „მიხეილ ხერგიანი“ და ამავე სახელწოდების 1981 წელს გადაღებული რეზო თაბუკაშვილის ფილმი. გარდა ამისა, მიხეილ ხერგიანს გამორჩეული ადგილი უჭირავს 1965 წელს თენგიზ ნოზაძის გადაღებულ ფილმში „ჭიდილი კლდესთან“. უახლესი ისტორიის არქივში, მინისტრთა საბჭოს სპორტისა და ფიზკულტურის კომიტეტის ფონდში, დაცულია მიხეილ ხერგიანის პირადი საქმე, სადაც გაერთიანებულია მისი ავტობიოგრაფიები, დახასიათება, სამაშველო ჯგუფის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული საქმიანობის ამსახველი მასალები. ფოტოარქივი ალპინისტისა და მისი ოჯახის წევრების ფოტოებსაც ინახავს, – განმარტა თეა ქიმერიძემ.

# ინდონეზიის კულტურის დღეები დაიხურა

ეკა ირემაშვილი

საქართველომ ინდონეზიის კულტურის დღეებს უმასპინძლა. მისი ორგანიზატორი ინდონეზიის საელჩო საქართველოში და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო იყვნენ. ღონისძიება ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის დრამის თეატრში ჩატარდა. ღონისძიებას საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენლები, ინდონეზიის საელჩოს თანამშრომლები და მიწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

ღონისძიების ფარგლებში გრიბოედოვის თეატრში შეკრებილი საზოგადოების წინაშე რვა მოცეკვავისა და ერთი ვოკალისტისგან შემდგარი მსახიობთა დასი წარდგა და ინდონეზიური ფოლკლორი წარმოადგინა. კონცერტის დაწყებამდე კი ქართველ მაყურებელსა და მიწვეულ სტუმრებს საშუალება მიეცათ, ინდონეზიელების მიერ მომზადებული ნაციონალური კერძები დაეგემოვნებინათ. როგორც ღონისძიებაზე მისულმა კულტურის მინისტრის მოადგილე დავით ცხადაძემ აღნიშნა, ინდონეზიის კულტურის დღეების ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები ინდონეზიური კულტურისა და ტრადიციების გაცნობას ითვალისწინებდა.

ამავე საღამოს ცნობილი გახდა, რომ მეგობრობისა და თანამშრომლობის ნიშნად, უახლოეს პერიოდში ქა-



ლაქ ჯაკარტაში საქართველოს საელჩოს გახსნაა დაგეგმილი, სამომავლოდ კი საქართველოს კულტურის დღეები ინდონეზიაში ჩატარდება.

**დავით ცხადაძე, კულტურის მინისტრის მოადგილე:**

– მსოფლიოს ასეთი ქვეყნიდან პირველად მოხდა კულტურული ღონისძიებების ჩატარება. ინდონეზიის კულტურა ქართველი საზოგადოებისთვის მაინც უცხოა. პროგრამა იყო საოცრად ორიგინალური, სპეციფიკური და ეგზოტიკური. ინდონეზიაში ეს ანსამბლი ძალიან პოპულარულია, თუმცა, მათი შემოქმედება აბსოლუტურად უცხოა ჩვენთვის. სასიხარულოა, რომ დაგეგმილია საქართველოს კულტურის დღეების ჩატარება ინდონეზიაში და სამომავლოდ ჩვენი საელჩოს გახსნა ჯაკარტაში.

**გიორგი ფხაკაძე, ინდონეზიის კონსული საქართველოში:**

– მიუხედავად იმისა, რომ ინდონეზიის კულტურული პროგრამა მხოლოდ ერთი დღით იყო წარმოდგენილი, ის საკმაოდ შთამბეჭდავი აღმოჩნდა ქართველი საზოგადოებისთვის. ინდონეზიის კულტურის დღეებამდე ჩატარდა ბიზნესფორუმი, შედგა საკმაოდ მნიშვნელოვანი შეხვედრები განათლებასთან დაკავშირებით, გაიმართა პრეზენტაციები. გრიბოედოვის თეატრში დაგეგმილი ღონისძიება ინდონეზიური კულტურისა და ტრადიციების გაცნობას ითვალისწინებდა. ეს იყო პირველი შეხვედრა და საკმაოდ მნიშვნელოვანი, მომავალში კი ინდონეზიასა და საქართველოს შორის ურთიერთობები კიდევ უფრო გაღრმავდება. ეს კი იმით გამოიხატება, რომ ჩატარდება საქართველოს კულტურის დღეები ინდონეზიაში და გაიხსნება საქართველოს საელჩო.

# „ყველა ვარსკვლავის მატჩის“ გამოკითხვა დაიწყო

დასაწყისი მე-9 გვერდზე

ქულა დააკლდა გიორგი გამყრელიძეს – 9 ქულა და 12 პასი.

### დინამო – სტუ 102:81
(28:16, 20:16, 24:22, 30:27)

მატჩი თავიდანვე დინამოელთა უპირატესობით წარიმართა და პირველ ტაიმში სოლიდური უპირატესობა მოიპოვეს – 48:32. ტექნიკოსებმა ვერც დარჩენილ დროში გაუწიეს მეტოქეს სათანადო წინააღმდეგობა და საბოლოოდ „დინამომ“ დიდი ანგარიშით იმარჯვა – 102:81.

გამარჯვებულთა შემადგენლობაში ორმაგი დუბლით ერთბაშად ორი კალათბურთელი გამოირჩა – ქეინ კარტერმა 30 ქულა და 15 მოხსნა მიითვალა, ხოლო მილან ოლუიჩის ანგარიშზე 19 ქულა და 18 მოხსნაა. სტუ-ს გუნდში 28 ქულით თავი გიორგი ხანიაშვილმა გამოიჩინა, რომელმაც საკუთარ გუნდს 28 ქულა შესძინა.

### ბათუმი – რუსთავი 73:82
(27:23, 22:15, 13:19, 11:25)

აუტსაიდერთა მატჩი თავდაპირველად ზღვისპირელთა უპირატესობით წარიმართა, რომლებიც საწყისს ათწუთეულში 27:23 დაწინაურდნენ, ხოლო ტაიმის ბოლოს 49:38 გავიდნენ წინ. თითქოს ყველაფერი იქით მიდიოდა, რომ ბათუმელები ბოლო ადგილს სწორედ რუსთაველებს გადაულოცავდნენ, მაგრამ სულ სხვაგვარად წარიმართა შეხვედრის მეორე ნახევარი. მესამე მეოთხედის მიწურულს ქვემოქართლელებმა სხვაობა 5 ქულამდე შეამცირეს – 57:62, ხოლო დასკვნითი მეოთხედის მე-5 წუთზე საყაიმო ანგარიშში 64:64 დააფიქსირეს. „რუსთავმა“ გადამწყვეტ პერიოდში ჩინებული თამაშის წყალობით დაწინაურებაც მოახერხა და მატჩის დასრულებამდე 1,19 წუთით ადრე 10 ქულით გავიდნენ წინ 77:67. დარჩენილ დროში ბათუმელები მეტოქესთან ვერაფერს გახდნენ და მარცხი განიცადეს, რუსთაველებმა კი მიმდინარე სეზონში რიგით მე-3 გამარჯვება იზეიმეს და ბოლო ადგილს საბოლოოდ დააღწიეს თავი. მასპინძელთა რიგებში ორმაგი დუბლით თავი ლაშა კეშელავამ და ავთანდილ ელიაშვილმა გამოიჩინეს. კეშელავამ 23 ქულა და 11 მოხსნა მიითვალა, ხოლო ელიაშვილის ანგარიშზე 13 ქულა და 15 მოხსნაა. „რუსთავს“ 23 ქულით რატი ბააკაშვილმა ულიდერა, ხოლო 16 ქულითა და 10 შედეგიანი პასით ორმაგი დუბლი ლევან ხმელიძემ შეასრულა.

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.არმია | 19 | 19 | 01737:1230 | 38 |
| 2.ოლიმპი | 19 | 16 | 31625:1377 | 35 |
| 3.ქუთაისი | 19 | 15 | 41621:1444 | 34 |
| 4.შსს | 19 | 11 | 81660:1469 | 30 |
| 5.დინამო | 19 | 10 | 91563:1615 | 29 |
| 6.სოხუმი | 19 | 10 | 91502:1466 | 29 |
| 7.თსსუ | 20 | 7 | 131591:1724 | 27 |
| 8.თსუ | 19 | 7 | 121534:1642 | 26 |
| 9.სტუ | 19 | 5 | 141424:1658 | 24 |
| 10.რუსთავი | 19 | 3 | 161336:1640 | 22 |
| 11.ბათუმი | 19 | 2 | 171376:1704 | 21 |

მოამზადა მიხეილ ფორფოლიანმა

# სკანვორდი




1. ქურციკი; 2. ყვავილი; 3. ზღვის დიდი კიბო; 4. სახელმწიფო აზიაში; 5. მექსიკური მცენარე; 6. მდინარე ჩრდილო ამერიკაში; 7. „დაუშვი!“ (დოკერების მეტყველებიდან); 8. გამოუწვავი აგური; 9. სამიანი ნარდში; 10. აღვირის ნაწილი; 11. ტვირთმზიდავი ხარი; 12. ქალაქი სვანეთში; 13. სტადიონი ბრაზილიაში; 14. ჯომოლუნგმა; 15. შინაური ცხოველი; 16. სურინამის დედაქალაქი; 17. ხეთების ქალღმერთი; 18. სომხური კერძი; 19. ... ხაჩატურიანი; 20. მთავარი სისხლძარღვი; 21. სიმძიმის ასაწევი მექანიზმი; 22. საფრენი აპარატი; 23. ბედ-იღბალი; 24. სამოდელო სააგენტო თბილისში; 25. ახალი ქვის ხანა; 26. ინდოელი პოეტი, დრამატურგი (IV-V ს.ს.); 27. სიყვარულის ღმერთი რომაულ მითოლოგიაში; 28. ... ჟირარდო; 29. იემენის დედაქალაქი; 30. ზნეობის მკაცრად დამცველი ადამიანი; 31. თეფში; 32. ძვირფასი ქვა; 33. ჰო, დიახ; 34. ნათესების მტერი.

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. „ხერესი“; 2. ხვატარი; 3. პოინტერი; 4. კლაიპედა; 8. მონასტერი; 9. ბოისკაუტი; 11. პანკისი; 12. ცანა; 14. არფა; 16. კოლექცია; 17. მეტონიძე; 19. ფროიდი; 21. ფობია.

**თარაზულად:** 5. ბოქსიორი; 6. ჯარგვალი; 7. „პასტორალი“; 10. ტენორი; 13. „ილიადა“; 15. სნუკერი; 18. გოგენი; 20. ბატუტი; 22. პროვიზორი; 23. ბილბორდი; 24. ჭიჭინაძე.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ფაჩულია; 2. „რენო“; 3. კოკაი; 4. პრაიდი; 6. სახარება; 9. რუტინა; 13. კარდიფი; 14. პაოლინი; 15. „პოპოლო“; 17. ლხინი; 18. ჩხუტი; 20. იედო.

**თარაზულად:** 1. „ფერხისა“; 5. მარსი; 7. კონტური; 8. ჩონგური; 10. სესხი; 11. ატენი; 12. ბატატი; 16. სახიბი; 17. „ლანჩა“; 19. რემა; 21. ეოლითი; 22. ანკეტა; 23. კოპიჭი; 24. „მიმინო“.

# „ტიტანიკის“ მარშრუტს ბრიტანული ლაინერი გაივლის

ბრიტანეთის ქალაქ სოუთჰემპტონიდან გავიდა ლაინერი „ბალმორალი“, რომელიც „ტიტანიკის“ მარშრუტს გაივლის.

ლაინერის მგზავრებს შორის პირველივე რეისზე აისბერგთან შეჯახებისას ჩაძირული „ტიტანიკის“ ყოფილი მგზავრების შთამომავლები და ახლობლებიც არიან.



გეგმის თანახმად, ხომალდი „ტიტანიკის“ ჩაძირვის ადგილს მომავალ კვირა დღეს გაივლის. ტრაგედიის ადგილზე, რომელიც 100 წლის წინ მოხდა, მემორიალური ხასიათის მსახურება ჩატარდება.

ცნობისთვის: ტიტანიკი – ოლიმპიკის კლასის ინგლისური ლაინერი. მეოცე საუკუნის დასაწყისისთვის უდიდესი სამგზავრო გემი. ფლობდა კომპანია „ვაით სთარ ლაინი“, აშენდა გემთსაშენში „ჰერალდ ენდ უოლფი“, ბელფასტში, ჩრდილოეთ ირლანდიაში.

ტიტანიკის პირველი გასვლიდან ოთხი დღის შემდეგ, 1912 წლის 14 აპრილს, შუაღამემდე, ტიტანიკი აისბერგს შეეჯახა.

1912 წლის 15 აპრილის დილით გემი ჩაიძირა, შეჯახებიდან 2 საათისა და 40 წუთის შემდეგ. ჩაძირვამ 1,517 ადამიანის დაღუპვა გამოიწვია (სულ 2,223 მგზავრი), რაც ტიტანიკის კატასტროფას ერთ-ერთ უდიდესს ხდის საზღვაო ისტორიაში.

დიდი მსხვერპლი ნაწილობრივ იმით იყო განპირობებული, რომ გემზე საკმარისი რაოდენობის ნავი არ იყო.

ნავების რაოდენობა სულ 1.178 ადამიანზე იყო გათვლილი.

# მესამე სამყაროს ქვეყნებს დახმარება შეუმცირეს

პირველად ბოლო 14 წლის განმავლობაში დასავლეთმა განვითარებად ქვეყნებს დახმარება შეუმცირა. ავტორები გადაწყვეტილების მოტივაციისას განმარტავენ, რომ შედარებით მდიდარი ქვეყნები გლობალური რეცესიის გამო მკაცრი ეკონომიკის რეჟიმზე გადადიან.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საერთაშორისო დახ-



მარება წელს 2,7%-ით შემცირდება. დახმარების მოცულობა ყველაზე მკვეთრად ავსტრიამ, ბელგიამ, საბერძნეთმა, იაპონიამ და ესპანეთმა შეამცირეს.

ეს იმ ფონზე, როდესაც ღარიბი ქვეყნები, მსოფლიო ეკონომიკის განვითარების შენელების გამო, სასწრაფო დახმარებას საჭიროებენ.

ტერმინში განვითარებად მოიაზრება ისეთი ქვეყნები, სადაც შედარებით დაბალი ცხოვრების დონეა, განუვითარებელი ინდუსტრიული ბაზა და საშუალო ან დაბალი ჰუმანური განვითარების ინდექსია.

ტერმინმა ხმარებიდან განდევნა შედარებით ადრეული ცივი ომისდროინდელი „მესამე მსოფლიო“, რომელმაც დროთა განმავლობაში ნეგატიური ასოციაცია შეიძინა.

განვითარება მოიცავს თანამედროვე ინფრასტრუქტურას (ფიზიკურსა და ინსტიტუციონალურს) და ასევე დაბალი დამატებული ღირებულების სექტორებიდან, როგორებიცაა სასოფლო მეურნეობა და ბუნებრივი რესურსების წარმოება, გადანაცვლება უფრო მაღალტექნოლოგიურ და ინტელექტუალურ სფეროებზე.

განვითარებული ქვეყნების ეკონომიკა ემყარება მუდმივ თვითუზრუნველყოფად ეკონომიკურ ზრდასა და ცხოვრების მაღალ დონეს.

ტერმინის „განვითარებადი ქვეყანა“ მიკუთვნება მსოფლიოს ყველა ნაკლებად განვითარებულ ქვეყანაზე მიზანშეუწონელია: ზოგიერთი ღარიბი ქვეყანა საკუთარ ეკონომიკურ სიტუაციას ვერ აუმჯობესებს, არამედ, პირიქით, ხანგრძლივ ეკონომიკურ კრიზისს განიცდის.

# გიუმრის სამხედრო საწყობში ხანძარი გაჩნდა

გუშინ, გამთენიისას, სომხეთში, გიუმრის სამხედრო ბაზაზე, სამხედრო საწყობში ხანძარი გაჩნდა.

სააგენტო „ნიუს.ამ“-ის ინფორმაციით, ხანძრის ჩაქრობაში არა მხოლოდ საგანგებო სიტუაციების სამსახური და მეხანძრეები, თავად სამხედრო ნაწილის სამხედრო მოსამსახურეებიც მონაწილეობდნენ.

ხანძრის ლოკალიზება მხოლოდ 2 საათის შემდეგ, ადგილობრივი დროით 06:50 საათზე მოხერხდა, მისი ჩაქრობა კი კიდევ 2 საათის შემდეგ, 08:40 საათზე გახდა შესაძლებელი.

დაშავებულთა და ზარალის შესახებ ინფორმაცია ამ დრომდე არ ვრცელდება.

გიუმრი სიდიდით მეორე ქალაქია სომხეთში, მდებარეობს 126 კილომეტრში ერევნიდან.

გიუმრის ყოფილი სახელწოდება: კუმარი 1840 წლამდე, 1840-1924 წლებში ალექსანდროპოლი, 1924-1991 წლებში – ლენინაკანი. განთავსებულია შირაკის პლატოზე, შირაკის ოლქის ცენტრი.

# ბენედიქტ მეთექვსმეტე: „კაცობრიობა სიბნელეში იძირება“

კაცობრიობა სიკეთისა და ბოროტების გაურჩევლობის გამო სიბნელეში იძირება. ამის შესახებ სააღდგომო მესის დროს რომის პაპმა ბენედიქტ მეთექვსმეტემ განაცხადა.

– სიბნელე, რომელიც ეფარება ღმერთს და ჩრდილის ქვეშ აქცევს ფასეულობებს, რეალური საფრთხეა ჩვენი არსებობისა და მთელი მსოფლიოსთვის, – განაცხადა პონტიფიკმა.



მისივე თქმით, ტექნიკური მიღწევების არასწორი გამოყენება არის საშიშროება, რომელიც კაცობრიობას ემუქრება.

– თუ ღმერთი და მორალური ფასეულობები, განსხვავება სიკეთესა და ბოროტებას შორის დარჩება სიბნელეში, მაშინ სხვა „სინათლე“, რომელსაც გვაძლევს ჩვენ დაუჯერებელი ტექნიკური მიღწევები, არის არა მხოლოდ პროგრესი, არამედ საშიშროება, რომელიც ჩვენ გვემუქრება“, – განაცხადა პაპმა.

ბენედიქტე მეთექვსმეტე, ერისკაცობაში იოზეფ ალოის რაცინგერი (დ. 16 აპრილი 1927, მარკტლ-ამ-ინი, ბავარია, გერმანია) – რომის პაპი 2005 წლის 19 აპრილიდან დღემდე, კათოლიკე თეოლოგი.

მღვდლად ეკურთხა 1951 წელს. უკვე 31 წლის ასაკში გახდა ფრაიზინგის ფილოსოფიურ-თეოლოგიური უმაღლესი სასწავლებლის პროფესორი. იყო დოგმატიკის პროფესორი ბონის, მიუნსტერის, ტიუბინგენისა და რეგენსბურგის უნივერსიტეტებში.

ვატიკანის მეორე მსოფლიო კრების დროს რაცინგერი იყო კიოლნის კარდინალის იოზეფ ფრინგსის მრჩეველი. მისი შედგენილი ტექსტებით, რომელსაც იგი კარდინალის მოხსენებებისთვის ადგენდა, გაითქვა მსოფლიო კრებაზე სახელი.

1977 წელს პავლე მეექვსეს მიერ დანიშნულ იქნა მიუნხენისა და ფრაიზინგის არქიეპისკოპოსად და იმავე წელს მიენიჭა კარდინალის წოდება.

1981 წლიდან, ვიდრე პაპად არჩევამდე, იყო რწმენის კონგრეგაციის თავკაცი. ამ მაღალი უფლებამოსილებით მთელი ამ წლების განმავლობაში იცავდა კათოლიკური ეკლესიის ქრისტიანული მოძღვრების სიწმინდეს ლიბერალიზმის მომძლავრებისგან (განსაკუთრებით დასავლეთ ევროპაში) და შიდაგამთიშველური გამოვლინებებისგან, ასევე წინ აღუდგა გარკვეულ მღვდელთა პოლიტიკურ (სოციალისტურ) აქტიურობებს ლათინურ ამერიკაში.

# თეირანთან მოლაპარაკებათა მორიგი რაუნდი სტამბოლში გაიმართება

ირანის ბირთვული პროგრამის საკითხზე „ექვსეულსა“ და თეირანს შორის მოლაპარაკებათა მორიგი რაუნდი სტამბოლში გაიმართება.



როგორც უცხოური მედია წერს, შეხვედრის თურქეთში გამართვა ირანს ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა თეირანში მარტში განხორციელებული ვიზიტისას შესთავაზა.

– ჩვენ ირანულ მხარეს შევთავაზეთ, რომ შეხვედრა სტამბოლში გამართულიყო და ირანი ამ წინადადებას მიესალმა, – აღნიშნა ერდოღანმა.

ირანის ბირთვული პროგრამის საკითხზე „ექვსეულსა“ (ფორმატი „5+1“: გაეროს უშიშროების საბჭოს ხუთი მუდმივმოქმედი წევრი და გერმანია) და თეირანს შორის მორიგი შეხვედრა 13-14 აპრილსაა დაგეგმილი. მხარეებს შორის ბოლო შეხვედრა უშედეგოდ დასრულდა.

აშშ და სხვა სახელმწიფოები ირანს ბირთვული იარაღის შექმნაში ადანაშაულებენ, ოფიციალური თეირანი კი ყველა ბრალდებას უარყოფს და აცხადებს, რომ მისი ბირთვული პროგრამა მიმართულია მხოლოდდამხოლოდ ელექტროენერგიის გაზრდილი მოხმარების დასაკმაყოფილებლად.

ირანის ბირთვული პროგრამის განხორციელება დაიწყო 1967 წელს, როდესაც აშშ-მ ირანის შაჰ მუჰამედ რეზა ფეჰლევის 5 მეგავატის სიმძლავრის ატომური რეაქტორი მისცა.

რეაქტორების მშენებლობაში ტექნოლოგიურ დახმარებას ირანს შემდგომში უწევდნენ გერმანია და საფრანგეთი.

ირანმა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შეთანხმებას ხელი მოაწერა 1968 წელს, ხოლო რატიფიცირება გაუკეთა 1970 წელს.

# ჰიმალაის მთებში მაშველებმა 30 ცხედარი აღმოაჩინეს

პაკისტანში, ჰიმალაის მთებში, სამაშველო ოპერაცია მიმდინარეობს. მაშველები ვერტმფრენების საშუალებით ზვავში მოყოლილი ჯარისკაცების პოვნას ცდილობენ.



გავრცელებული ინფორმაციით, მაშველებმა 30 ცხედარი აღმოაჩინეს. დანარჩენი ჯარისკაცების ბედი ამ დროისათვის უცნობია.

სიაჩენის მწვერვალი, სადაც ზვავი ჩამოწვა, პაკისტანისა და ინდოეთის სადავო ტერიტორიაზეა.

შეგახსენებთ, რომ პაკისტან-ინდოეთის საზღვარზე სიაჩენის მწვერვალიდან ზვავი გუშინ დილას ჩამოწვა, შედეგად გუარის ყაზარმები და იქ მყოფი 150-მდე სამხედრო თოვლის საფარის ქვეშ მოყვა.

ჰიმალაები (ჰიმალაი) – ქედი აზიაში, რომელიც ვრცელდება შემდეგ ქვეყნებში: ინდოეთი, ნეპალი, ჩინეთი, პაკისტანი, ბუტანი, მიანმარი და ავღანეთი. იგი ფართობით თითქმის ათჯერ აღემატება საქართველოს ფართობს.

ჰიმალაები ერთადერთი მთიანი სისტემაა მსოფლიოში, სადაც მდებარეობს 11 ისეთი მწვერვალი, რომელთა სიმაღლე აღემატება 8 000 მეტრს. მათ სხვანაირად რვაათასიანებს უწოდებენ.

შედარებისთვის შესაძლებელია მწვერვალ აკონკაგუას (ანდები) მოყვანა, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან 6 962 მ-ია და უმაღლესი მწვერვალია აზიის ფარგლებს გარეთ, მაშინ როდესაც ჰიმალაის სისტემა შეიცავს 100-ზე მეტ მწვერვალს, რომელთა სიმაღლე 7 200 მეტრს აღემატება. მათი დაპყრობის მცდელობა და ისტორია მეცხრამეტე საუკუნის ბოლოდან იწყება. ჰიმალაის მწვერვალებზე მოწყობილმა ექსპედიციებმა ბევრი ცნობილი ალპინისტის სიცოცხლე შეიწირა.

ჰიმალაის და ზოგადად მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალია ჯომოლუნგმა. მისი სიმაღლე ოფიციალურად 8 848 მეტრია.

# საფრანგეთში სერიული მკვლელი გაჩნდა

საფრანგეთში კიდევ ერთი სერიული მკვლელი გაჩნდა, რომელსაც მოტოციკლეტი ჰყავს. ფრანგმა პოლიციელებმა მის კვალს უკვე მიაგნეს. მკვლელის მსხვერპლი უკვე ოთხი ადამიანი გახდა. ბოლოს მან გასულ ხუთშაბათს 47 წლის ქალი მოკლა. ყველა მსხვერპლი მცირეკალიბრიანი პისტოლეტითაა მოკლული.

ყოველი მკვლელობის შემდეგ ეჭვმიტანილი შემთხვევის ადგილს მოტოციკლით ტოვებს, ზუსტად ისე, როგორც ამას ტულუზელი მკვლელი აკეთებდა. გამომძიებლებმა ჯერ ვერ მიაკვლიეს პრინციპს, რომლის მიხედვითაც მკვლელი თავის მსხვერპლს არჩევს. აღნიშნული მკვლელის არსებობის შესახებ მაშინ გახდა ცნობილი, როდესაც საფრანგეთი ჯერ კიდევ შოკში იყო ტულუზაში მომხდარი ამბის გამო.

ამჟამად კი მკვლელობები პარიზის სამხრეთ მდებარე ესსონის დეპარტამენტში ხდება. მართალია, ხელისუფლება აღნიშნავს, რომ ჯერჯერობით არ არსებობს არავითარი მტკიცებულება იმისა, რომ ეს მკვლელობები ტერორიზმთანაა დაკავშირებული, თუმცა, საფრანგეთის შს მინისტრი კლოდ გეანი სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ პარიზის გარეუბანში სერიული მკვლელი გაჩნდა. ფრანგული მედია აღნიშნავს, რომ ოთხივე მკვლელობა ჩადენილია მოტოციკლიანი მკვლელის მიერ დღე-ღამის ერთსა და იმავე დროს – 16-დან 18 საათამდე. მკვლელობებს ასევე აერთიანებს ის, რომ მკვლელი მსხვერპლს თავში ესვრის ერთი და იმავე იარაღიდან.

მოამზადა ვერა მამულაშვილმა

# TV პროგრამა

ორშაბათი
9 აპრილი

07.30 ჩვენი დილა 11.00 დოკ. ფილმი „ჰარლი დევიდსონი„ 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.45 მხ. ფილმი „თეთრი ქარავანი“ 14.15 „10+10“ 15.15 „ჩვენი ფერმა„ 16.00 მოამბე 17.00 დოკ. ფილმი „უძველესი აღმოჩენები„ 18.00 პეპე და მეგობრები 19.05 სერ.„მიმინო და მტრედი„ 21.00 კართული დოკუმენტალისტიკა22.00 აუდიტორია 23.00 საფეხბურთო მიმოხილვა 00.00 ღამის საუბრები 00.45 საფარი 01.15 მოამბე 01.35 მხ. ფ. „სიზმრებში„ (18) 03.20 მხ. ფილმი „გზაჯვარედინი„ (ე. გარსია)

08.00 დოკ. ფილმი 09.00 საბ. ფილმი 10.30 დოკ. ფილმი 11.30 ქართული დოკუმენტალისტიკა 13.00 მხ. ფილმი „ნაპირიდან ნაპირამდე„ 14.30, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 16.00 დოკ. ფილმი 19.00 სერ. „ხუთი და„ 20.00 მხ. ფილმი „ელისაბედ სმარტის ამბავი„ 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 01.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 02.00 მხ. ფილმი „სიკვდილი ხელმეორედ„

07.30 იმედის დილა 10.05 სერ. „მოპარული ბედნიერება„ 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.00 ქრონიკა 11.30 სერ. „ქალის სიტყვა„ 12.30 დღის შოუ 14.30 ტვ-მარკეტი 14.40 სერ. „ბოგონა გარეუბნიდან„ 16.00 სერ. „შურისძიების საფასური„ 17.40 სერ. „ევა ლუნა„ 18.40 სერ. „შურისძიების სახელით„ 21.00 სერ. „მემკვიდრეები„ 22.00 სერ. „სახლი ძველ უბანში„ 2 ს. 23.00 მხ. ფილმი „კიდევ ერთი ქართული ისტორია„ 00.45 მხ. ფილმი „მტრის საწოლში„ (ჯ. რობერტსი) 02.55 მხ.ფ.„ბრუკლინური კანონი„ (15) (ა.ბოლდუინი) 05.25 მხ. ფილმი „მოგზაური„ (კ. კოქსი)

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. „დედის გული„ 11.00 სერ. „კლონი„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 06.00 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 15.30 იღბლიანი ბორბალი 17.00 სერ. „ტერეზა„ 18.45 სერ.„მიყვარხარ ლოლა„ 19.50 სერ.„ველური ყვავილი„ 22.00 ნიჭიერი 23.30 შერეკილები 00.30 შუა დღე 02.00 პატრული 02.30 მხ. ფილმი (ტიტ.)

08.00 ან. ფილმი 08.55 სერ. „მარია ემილია„ 10.00 მხ. ფილმი 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 12.15 სერ. „ტაქსის მძღოლი„ 13.00 მზესუმზირა (პირდ.) 15.30 პულსი 16.00 იცხოვრე ფეხბურთით 17.10 სერ. „ველური მთვარე„ 18.00 მხ. ფილმი 21.00 სერ.“გაუხსნელი საქმე„ 22.00 მხ. ფილმი 00.00 მზესუმზირა 02.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 02.30 „დრო„ 09.00 მუსიკა 09.30 სერ. „სიამაყე„ 10.30 დოკ. ფილმი 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.00 „დრო„ 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.25 სერ. „ქალი გაიცნობს„ 12.50, 19.35 სერ.„წყნარი ოკეანის მარგალიტი„ 13.50 1000 წვრილმანი 15.15 სერ. „სიამაყე„ 16.30 დროის ვექტორი 21.00 ზღაპრის კონა 23.00 სახლი ბათუმში 23.30 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.30 განთიადი 10.00 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.35 კვირიაკე 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00 საეკლესიო კალენდარი 12.10 მხ. ფილმი „გზა„ 13.15 კონცერტი— ბარდანაშვილი 13.30 დოკ. ფილმი „ვნების კვირა წმინდა მიწაზე“ 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ. ფილმი „წმინდა ოთხთავი„ 16.55 დოკ. ფილმი „ნაძარცვის კვალდაკვალ„. 18.10 დოკ. ფილმი „ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები„ 18.20 დიდ ხარ შენ უფალო 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 დოკ. ფილმი „სარფი მოლენი„ 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 სალვთისმეტყველო საუბრები 22.40 დოკ. ფილმი „ორაგულის ბედი„ 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დიდი მარხვა 00.30 განთიადის სტუმარი 00.55 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**9 აპრილი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,6678 |
| ევრო | 2,2122 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2,6518 |
| რუსული რუბლი | 0,0561 |

**აღმოსავლეთ საქართველო:** მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 1-5, ღამით — -4 -1

**დასავლეთ საქართველო:** წვიმა, ტემპერატურა დღისით — 2-4, ღამით — -3-0

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 0-3, ღამით — -5 -2

## ამინდის პროგნოზი 9 აპრილისთვის



# ფაჩულია შარლოტში საუკეთესოდ ცნეს

ზაზა ფაჩულიამ სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა. მეტიც, ქართველი ცენტრი გუშინ შარლოტში მოგებული მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს. 12 ქულა და 16 მოხსნა მოედანზე მყოფთაგან ყველაზე უკეთესი შედეგი გახლდათ, რის წყალობითაც „ატლანტამ" მასპინძლები 116:96 გაანადგურა, ქართველმა ცენტრმა კი მიმდინარე სეზონში მე-11 ორმაგი დუბლი შეასრულა.



ფაჩულიამ მართლაც დიდებულად ითამაშა და ის მწვრთნელმა მოედანზე კარგა ხნით გააჩერა. მთლიანობაში ზაზამ 38 წუთი ითამაშა და საუკეთესო შედეგიც აჩვენა.

ფაჩულიამ მეტოქის ფარს თამაშიდან 6-ჯერ შეუტია და 5 ჩააგდო. ზაზამ 2-დან ორივე საჯარიმოც მიითვალა. ქართველი ცენტრი შეუდარებელი იყო ფარზე ბრძოლაში და საბოლოოდ პირად ანგარიშზე 16 მოხსნა ჩაიწერა. აღსანიშნავია, რომ შარლოტელთაგან 5 მოხსნაზე მეტი არავის დაუგროვებია, ხოლო ატლანტელებში ფაჩულიას შემდეგ საუკეთესო შედეგი (6 მოხსნა) ივან ჯონსონს ჰქონდა. ზაზა სხვა სათამაშო კომპონენტებშიც ჩინებულად გაისარჯა – 3 პასი, 2 ჩაჭრა და 2 დაფარება საკმაოდ კარგი რეზულტატია.

„ატლანტას" 34 მოგება და 23 წაგება აქვს და ამ მაჩვენებლით ჯორჯიული გუნდი აღმოსავლეთ კონფერენციაში მეხუთე ადგილს ინარჩუნებს, თუმცა, „ორლანდო" ძალიან ახლოსაა. ფაჩულიას გუნდს 2 ურთულესი გამოცდა ელის – 11 აპრილს ბოსტონში, ხოლო 13-ში – ორლანდოში.

*მოამზადა მიხეილ ყორყელიანმა*

# გოგი ოჩიაური ბრწყინვალების ორდენოსანია

**ეკა ირემაშვილი**

ქართველი მოქანდაკე, გოგი ოჩიაური, საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ბრძანებით ბრწყინვალების ორდენით დაჯილდოვდა. ხელოვანის ბრწყინვალების ორდენით დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დარბაზში გაიმართა. როგორც შეკრებილ საზოგადოებას კულტურის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ განუცხადა, საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 10 იანვრის განკარგულებით, ხელოვნებაში გამორჩეული მიღწევებისა და საქართველოს წინაშე აღმატებული ღვაწლისათვის, ცნობილ ქართველ მხატვარსა და მოქანდაკეს გოგი ოჩიაურს ბრწყინვალების ორდენი გადაეცა.

დაჯილდოების ცერემონიაზე შედგა მოქანდაკის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი მასშტაბური ალბომის პრეზენტაციაც. ქართველი მოქანდაკე, თბილისის სამხატვრო აკადემიის პედაგოგი და საქართველოს უზენაესი საბჭოს ყოფილი წევრი გოგი ოჩიაური ათობით ნამუშევრის ავტორია. მათ შორისაა – ცნობილი ქანდაკება „აჯანყება", ვაჟა-ფშაველას ძეგლი, „დიდების მემორიალი", რომელსაც საყოველთაო ეროვნული შერიგების ძეგლი ეწოდება, იგი ყველაზე მნიშვნელოვანი სკულპტურული ჯგუფია არა მხოლოდ გოგი ოჩიაურის შემოქმედებაში, არამედ, საერთოდ, თანამედროვე ქართულ ქანდაკებაში – იდეის, მხატვრული ამოცანების გადაწყვეტისა და მასშტაბურობის მხრივ.

– პრეზიდენტის ბრძანებით, ბრწყინვალების ორდენი გადაეცა საქართველოს ძალიან დამსახურებულ ხელოვანს, მხატვარს, მოქანდაკეს, პედაგოგს, ბატონ გოგი ოჩიაურს, ვინც ნახევარ საუკუნეზე ბევრად მეტია ემსახურება ქართულ ხელოვნებას, ქართულ სახელოვნებო სამყაროს და ეწევა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას. ეს ორდენი არის ერთგვარი მადლიერება მისადმი და ვულოცავ კიდევ ერთხელ სულით და გულით. ბატონ გოგის ეკუთვნის როგორც მონუმენტური ფიგურები, რომელთა უმრავლესობა თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში დგას, ასევე მცირე ზომის ქანდაკებები, წიგნის ილუსტრაციები, პორტრეტები და გრაფიკული ნამუშევრები. მას გაფორმებული და დასურათებული აქვს ანა კალანდაძის, გრიგოლ აბაშიძის, გიორგი ლეონიძის, ვაჟა-ფშაველას, გურამ რჩეულიშვილის წიგნები, ასევე შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი", – განაცხადა კულტურის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ.

ორდენოსან მხატვარსა და მოქანდაკეს პერსონალური გამოფენები აქვს ჩატარებული როგორც საქართველოში, ასევე საზღვრებს გარეთ – რუსეთში, ჰოლანდიაში. ნახევარ საუკუნეზე მეტია, სისტემატურად მონაწილეობს რესპუბლიკურ და საკავშირო გამოფენებში. მისი ძირითადი ნამუშევრებიდან აღსანიშნავია ქორწინების სახლის ბარელიეფი თბილისში, „შენ ხარ ვენახი" თბილისში, „ქალის ტორსი" ადლერში, კომპოზიცია „ზღვა" ბიჭვინთაში, ვაჟა-ფშაველას ძეგლი თბილისში, „სიცოცხლის ხე" კუნძულ ტექსელზე, სკულპტურული კომპლექსი „რეკვიემი" ვაკის პარკში, ალეგორიული ქანდაკება „რესტავრაცია" თბილისში.



– ბატონი გოგის მიერ შესრულებული პორტრეტებიდან გამორჩეულია დიმიტრი უზნაძის, სულხან-საბას ორბელიანის, დავით გურამიშვილის, რუსუდან თიკანაძის, ზურაბ ნიჟარაძის, მეუღლის პორტრეტი, ჩახოიანის პორტრეტი, ა. რატიანის პორტრეტი, კორნელი კეკელიძის პორტრეტი და სხვა ცნობილი საზოგადო მოღვაწეების პორტრეტები, – აღნიშნა ნიკოლოზ რურუამ.

ბრწყინვალების ორდენოსან მხატვარს სხვადასხვა წლებში არაერთი ჯილდო აქვს მიღებული – გოგი ოჩიაური არის საქართველოს სახალხო მხატვარი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ხალხთა მეგობრობის ორდენოსანი, რუსეთის სამხატვრო აკადემიის საპატიო წევრი, მიღებული აქვს სსრკ-ის სახელმწიფო პრემია. 1998 წელს კი გოგი ოჩიაურს მიენიჭა ადამიანის ტიტული, რომელიც ამერიკის ბიოგრაფიული ინსტიტუტის საერთაშორისო კვლევითი საბჭოს ნომინაციაა.

გოგი ოჩიაურს ბრწყინვალების ორდენი ხელოვნების სფეროში გამორჩეული მოღვაწეობისთვის გადაეცა.

– ახლა მაქვს საშინელი უხერხულობის გრძნობა, თუმცა, ამავე დროს, ბედნიერი ვარ. ეს დამოკიდებულება, რაც აქ ვნახე, ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის. დღეს პატივისცემა ვიგრძენი კოლეგებისგან, პრესისგან, რა თქმა უნდა, პრეზიდენტისგან, რისთვისაც თითოეულ თქვენგანს განსაკუთრებულ მადლობას ვეუბნები, – აღნიშნა დაჯილდოების ცერემონიის დასასრულს გოგი ოჩიაურმა.


# 28 მარტიდან

**უნიკალური პროექტი**

„ახალ თაობასთან" ერთად იყიდება უნიკალური პროექტის

**„ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო — 100 წიგნი"**

22-ე ტომი

# აინშტაინი

„100 წიგნში" შედის იმ ადამიანთა ბიოგრაფიები, რომელთაც დიდი კვალი დატოვეს მსოფლიო პოლიტიკაში, მეცნიერებასა და კულტურაში.




**გაზეთი და წიგნი ერთად 8 ლარი**


## ასტროპროგნოზი 9 აპრილისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

**რთული დღეა**

**ვერძი** – მშვიდად იმოქმედეთ, ზედმეტი აქტიურობა დღეს არ ღირს. **კურო** – არ გარისკოთ, დღეს ამის დრო არ არის. **ტყუპები** – ფული გაქვთ, მაგრამ ცოტა შემოინახეთ. **კირჩხიბი** – ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით. **ლომი** – ხალხზე ზემოქმედება ადვილად გამოგდით, მაგრამ თავი შეიკავეთ, ზედმეტი არ მოგივიდეთ. **ქალწული** – არ აჩქარდეთ, შეცდომა დაუშვებელია. **სასწორი** – ნუ შეეცდებით საქმის გარკვევას, ყველაფერს ისედაც ნათელი მოეფინება. **ღრიანკალი** – დაისვენეთ, გადაღლილი ხართ. **მშვილდოსანი** – თავს მეტი ყურადღება მიაქციეთ, ფორმაში ყოფნა საუკეთესო გამოსავალია. **თხის რქა** – სახლში კარგი ამბავია, გახარებული ხართ. **მერწყული** – რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **თევზები** – ნუ ზარმაცობთ, საქმე ბოლომდე მიიყვანეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი

**თარაზულად:** 4. საიდუმლოდ დათქმული სიტყვა ან ფრაზა; 5. კედელზე გასაკრავი ხალიჩა; 6. თმის სამაგრი; 7. ქალაქი ჰოლანდიაში; 8. რესტორანი გერმანიაში; 10. კეთილთვისებიანი სიმსივნე; 13. შინაური ფრინველი; 15. საჩხვლეტი იარაღი ფარიკაობაში; 16. სამის აღმნიშვნელი წინსართი; 17. სხეულის გარეთა საფარი; 20. ერთგვაროვანი დიდი სივრცე; 21. გამოკლების ნიშანი; 22. სტუდქალაქი ამერიკაში; 23. ბუნებრივი.

**შვეულად:** 1. სახელმწიფოს ერთპიროვნული მმართველი; 2. ველოტრეკი; 3. ავადმყოფი მკურნალი ექიმის მიმართ; 4. წესრიგის დამცველი ორგანო; 5. გენების კომპლექსი; 9. ქალაქი ჩინეთში; 11. უთვალავი; 12. მუსიკალური წყობა; 14. ჭურჭელი, რომელიც მასში მოთავსებულ პროდუქტს ტემპერატურას უნარჩუნებს; 18. მუსლიმანთა მოძღვარი; 19. მძაფრსუნიანი მწვანილი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

